სამხედრო ომში შესვენებაა, საჰაერო ომი გრძელდება A4
"საოჯახო ტოტოს" ცხრილი A8
"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 31 მარტი, 2003 წელი. №88 (300)
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### სადამ ჰუსეინის აუმოქმედებელი რეზერვი

ერაყელი დიქტატორის შეიარაღებაში სამხედრო ავიაცია, მათ შორის სუ-25 კ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, 1986-87 წლებში, სადამ ჰუსეინმა თბილისის საავიაციო ქარხანას დაამზადებინა.

A3

## ომი

### ერაყის ომმა ამერიკის პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს შორის განხეთქილება წარმოშვა

კონფლიქტის დაწყებამდე რამსფელდმა სულ მცირე ექვსჯერ მაინც მოითხოვა, რომ ომში გასაგზავნ ჯარისკაცთა რაოდენობა შეემცირებინათ, რასაც მიაღწია კიდეც.

A5

## უცხოეთი

### ირანი ამერიკის გაფრთხილებას პროპაგანდას უწოდებს

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, ირანმა შეერთებული შტატების გაფრთხილებას პროპაგანდა უწოდა. ორი დღის წინ ვაშინგტონმა ირანს მოუწოდა - ერაყის ომში არ ჩაერთოს.

A5

## ეკონომიკა

### "კავკასიონზე" დივერსიები ისევ მოდაშია

გუშინ საქართველო-რუსეთის მაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" დივერსანტებმა ააფეთქეს. ხაზის გათიშვას თბილსრესის მესამე ენერგობლოკის გამორთვაც დაემატა და, შედეგად, საქართველოს ენერგოსისტემა ისევ "ნულზე დაჯდა".

A6

## სამართალი

### მოსამართლის ოჯახი იმ ობიექტის მფლობელი გახდა, რომლის აუქციონზე გაყიდვის გადაწყვეტილება თავად გამოიტანა

დმანისის მოსამართლემ, როგორც დაინტერესებულმა მხარემ, საქმის განხილვაზე უარი განაცხადა და იგი ბოლნისის რაიონის მოსამართლე ლიპარტელიანს გადაუგზავნა. ამჯერად, სასამართლომ აუქციონი კანონიერად ცნო და, კოლეგა მოსამართლესთან ერთად, ყველა ობიექტი მყიდველებს საკუთრებაში დაუკანონა.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | ☼ |
| ქუთაისი | 16 | ☼ |
| ბათუმი | 12 | ☼ |
| სოხუმი | 15 | ☼ |
| ფოთი | 14 | ☁ |
| თელავი | 9 | ☼ |
| ზუგდიდი | 16 | ☼ |
| გორი | 9 | ☼ |
| ახმეტა | 11 | ☼ |
| ჭიათურა | 12 | ☁ |
| გაგრა | 14 | ☼ |
| სამტრედია | 15 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1250 |
| ევრო | 2.2774 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3176 |
| რუბლი | 0.0677 |

# შეიძლება, მთავრობა თავისით "დაეცეს"


ზაურ ბულეჟაველის ფოტო
სამთავრობო ძალების ცენტრში ავთანდილ ჯორბენაძე, მაგრამ დიდი ხნით?

ბადრი კოპლატაძე

თავი დაანებეთ აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების შეთავსებას - ასეთი განცხადებით გამოვიდა მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მისი აღშფოთება ბრიტანული და თურქული ავიაკომპანიების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილებამ გამოიწვია. ამ ფაქტში არაფერი არაორდინარული არ იქნებოდა, რომ არა ერთი ნიუანსი. ის გადაწყვეტილება პარლამენტს თავდაპირველად უმრავლესობამ, ანუ მთავრობის მხარდამჭერმა ფრაქციებმა წარუდგინეს, რასაც შემდგომ ოპოზიციაც შეუერთდა.

გასულ კვირას კიდევ ერთი საინტერესო მოვლენის მომსწრეც გავხდით. პარლამენტმა პირველი მოსმენით მრეწველების ინიციატივით მომზადებული ახალი საგადასახადო კოდექსი მიიღო (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის კოდექსია, რომლის შესახებაც პრეზიდენტი შევარდნაძე ერთ-ერთ რადიო ინტერვიუში ისე საუბრობდა, როგორც უკვე მიღებულ და ამოქმედებულ კანონზე). მთავრობის მხრიდან მთავარი მომხსენებელი ფინანსთა მინისტრი იყო. მან ზოგადად მხარი დაუჭირა ახალ კოდექსს, თუმცა თავისი შენიშვნებიც გამოთქვა. შენიშვნები კი იმდენად პრინციპული ხასიათის იყო, რომ, უნდა ვივარაუდოთ, ფინანსთა მინისტრი ახალი კოდექსის ეფექტურობაში დარწმუნებული სულაც არ არის.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სიტყვები და ჭეშმარიტებები

ჰიშამ მულჰამი
ეგვიპტელი ჟურნალისტი

- თქვენო უდიდებულესობავ, ენა იმპერიის მშენებლობის ხატოვანი საშუალებაა, - ასე უპასუხა ეპისკოპოსმა აპილამ ესპანეთის დედოფალ იზაბელს 1492 წელს, როცა მან თავისი შედგენილი ესპანური ენის პირველი ლექსიკონი სამეფო კარზე წარადგინა, დედოფალმა კი ჰკითხა, რაში უნდა გამოეყენებინათ ეს ახალი წიგნი.

ყოველი ომი ქმნის საკუთარ ლექსიკას, ტერმინებს, შედარებებსა თუ ხატოვან გამოთქმებს. ასე იყო ძველი რომის იმპერიის მშენებლობისათვის გაჩაღებული ომებიდან მოკიდებული - დღევანდელ ომებამდე, რომლებიც მდინარე პოტომაკის ნაპირებზე მდებარე თანამედროვე რომის განმტკიცებას ისახავს მიზნად. აღნიშნული ტერმინები და სიტყვა-თქმანი, უმეტეს შემთხვევაში, ისეთივე ქმედითი, სისხლიანი და გამანადგურებელია, როგორც ბრძოლებისას გამოყენებული იარაღის სახეობები.

ევროპელი მეცნიერი კარლ კლაუზევიცი, რომელმაც წარმატებით შეისწავლა მსოფლიო ისტორიულ ომთა წარმოების ტექნოლოგიები, სამართლიანად შენიშნავდა, რომ ომის ნანგრევებიდან წამოშლილი ნისლი არა მხოლოდ მიწიერ, ემპირიულ მოვლენებს ეხვევა, არამედ -

გაგრძელება A4 გვერდზე

## უუნარო ხელისუფლების გარიგება ღარიბთა ხარჯზე

ზურაბ ნოღაიდელი

ამ დღეებში პარლამენტი იხილავს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტს. განხილვების მიმდინარეობა გვაიძულებს, საზოგადოებას გავაცნოთ ჩვენი მოსაზრებები.

გადასახადების შემცირების შემოთავაზებული მოდელი, მართლაც გამოიწვევს საგადასახადო სისტემის გამარტივებას. ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ დარჩება გადასახადები. თუმცა, საგადასახადო სიმძიმის ტვირთი, უპირველეს ყოვლისა მოეხსნება მსხვილ ბიზნესს. შემოთავაზებული პროექტი, ხშირ შემთხვევაში, ართულებს გადასახადების გამოთვლისა და გადახდის წესებს, რაც განსაკუთრებულ ტვირთად დააწვება მცირე და საშუალო მეწარმეებს.

პროექტით, ამჟამად მოქმედი 12 საერთო-სახელმწიფოებრივი და 6 ადგილობრივი გადასახადის ნაცვლად სამი (რეალურად ოთხი) საერთო-სახელმწიფოებრივი და ერთი (რეალურად სამი) ადგილობრივი გადასახადი დარჩება. პროექტის ავტორები მოკლევადიან პერსპექტივაში ელიან ნეიტრალურ ფისკალურ ეფექტს, ხოლო მომავალში კი შემოსავლების თანდათანობით და განუხრელ ზრდას.

ეს არის გაუგონარი ტყუილი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, თუ რა თქმა უნდა, ბიუჯეტის და არა მსხვილი ბიზნესის შემოსავლებზეა საუბარი. გავაანალიზოთ, რა მოყვება ახალი საგადასახადო კოდექსის რეალიზაციას.

გაგრძელება A6 გვერდზე

# "საოჯახო ტოტოს" გათამაშება დაიწყო

N1 გათამაშების ცხრილი იხილეთ B1 გვერდზე



## პოზიცია

### ერაყის კონფლიქტი - საქართველოს ინტერესები, მორალი, პოლიტიკა და ნამეტნაობა

გიორგი მარგველაშვილი

რამდენიმე დღეა, რაც მსოფლიო ახალი კონფლიქტის, ახალი საერთაშორისო დაპირისპირების წინაშე დგას. კოალიციის ჯარებმა გადალახეს ერაყის საზღვარი და ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს. დიდი ხნის მოსალოდნელმა ომმა, რეალური სახე მიიღო. ჩვენი მიზანია ერაყის კამპანიის პროცესში, მაშინ როდესაც იკვეთება საერთაშორისო პოლიტიკის ახალი კონტურები, მოვძებნოთ ჩვენი როლი და განვამტკიცოთ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკური მისია. ამ მხრივ არჩევანი საზოგადოდ მრავალი არაა. არსებობს სამი შესაძლებელი არჩევანი – ან მოკავშირეთა, ან ერაყის მხარდაჭერა, ან ნეიტრალიტეტი. მაგრამ, საქართველოს კონტექსტში, ვითარება კიდევ უფრო იოლია. გამომდინარე იმ გეოპოლიტიკური ვითარებიდან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ნეიტრალიტეტი და პასიური პოზიცია, ჩვენ სწრაფად მოგვაქცევს იმ ძალთა ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც დღეს ღიად თუ ფარულად ჰუსეინის მომხრეებად და მოკავშირეთა მოწინააღმდეგეებად მოგვევლინებიან. ანუ ჩვენ დღეს რეალურად ვაშინგტონს და მოსკოვ-ბაღდადს შორის ვირჩევთ. შეერთებული შტატების მხარდაჭერის შესუსტება საქართველოში, არა შესაძლებლად, არამედ აუცილებლობით გამოიწვევს რუსეთის გავლენის გაძლიერებას. ნეიტრალიტეტი და მორალური დიდაქტიკა, ჩვენთვის დღეს ფუფუნება, იგი პროჰუსეინული არჩევანის ტოლია. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყანა

გაგრძელება A2 გვერდზე

### რატომ არ ვუჭერ მხარს ომს და მკვლელობის ნებისმიერ ფორმას

ირაკლი კაკაბაძე
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ლექტორი
ამერიკის სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში

გაზეთ "24 საათის" 21 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის, დავით გამყრელიძის წერილი, რომელიც თავის პოზიციას გვამცნობს იმის თაობაზე, თუ რატომ უჭერს იგი ომს მხარს. დათო ჩემი მეგობარია და მას უკვე დიდი ხანია, რაც ვიცნობ. ის გამორჩეული ქართული ოჯახის შვილია და მე მას, ყველა შემთხვევაში, პატივისცემით მივმართავ. გარდა ამისა, ჩვენი მეგობრობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეობის პერიოდში ჩაისახა, რაც იმის უფლებას მაძლევს, რომ მას მეგობრის პოზიციიდან მივმართო.

პირველ აბზაცში დათო აცხადებს, რომ ის ქართველი პოლიტიკოსისათვის მეტად უჩვეულო ნაბიჯს დგამს დღევანდელ დღეს, როდესაც ომის მომხრის პოზიციიდან ლაპარაკობს. მე ძალიან დიდი მოსურნე ვარ, რომ მას ეს უჩვეულო ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ მთელს მის სტატიაში უჩვეულოს ვერაფერს წავაწყდი. პირიქით, ეს სტატია კონიუნქტურის მიერ ნაკარნახევია თავიდან ბოლომდე და ჩვენდა საუბედუროდ ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა იგივე აზრზეა, ღიად თუ მალულად.

საზოგადოდ რომ ომს არ მიესალმება დათო, ეს მეტად სასიხარულოა. ნამდვილად კარგია, რომ ამ საყოველთაო კოლონიურმა ისტერიამ საერთო საკაცობრიო იდეალების მცირე ნაწილი მაინც ვერ ჩააქრო მასში. შემდეგ კი ის უკვე გადადის იმ მიზეზების ჩამოთვლაზე, რომელიც მას ამ გადაწყვეტილებას უადვილებს.

პირველი მიზეზი, ჩემი აზრით აბსოლუტურად უსუსურია. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წევრი საკუთარ ხალხს არ უნდა უცხადებდეს, რომ ქვეყანას დამოუკიდებლობის

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოზიცია A3 ინფორმაცია A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საოჯახო ტოტო
B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# რატომ არ ვუჭერ მხარს ომს და მკვლელობის ნებისმიერ ფორმას

## ღია წერილი ჩემს მეგობარ დათო გამყრელიძეს

პირველი გვერდიდან

ნატამალიც კი არ გააჩნია. თუ ეს მართლა ასეა და დათო ვერაფერს ცვლის ამ სიტუაციაში, მაშინ რაღა უნდა მას პარლამენტში. თუკი ქვეყანა ასეთ საშინელ დღეშია, ეს პასუხიმგებლობა არცერთმა საჯარო მოხელემ არ უნდა აიცილოს თავიდან. რა თქმა უნდა, პირველ რიგში აღმასრულებელი ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, მაგრამ მასთან ერთად მონურ რეჟიმში ყოფნა თითოეულ იმ პოლიტიკოსის დამსახურებაცაა, რომელიც დღეს თუ ამ ბოლო 11 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში იდგა. ის ნიშნის მოგებით ამბობს, რომ 2003 წელს გადაწყდება ჩვენი ბედიო. იმედია, მართლაც ამ წელს გადაწყდება ჩვენი ბედი უკეთესობისაკენ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში იმ აზროვნების სტილით, რომელსაც დათო იყენებს.

1994 წელს ჩვენ აფხაზეთის ტერიტორიაზე გაერო-ს წესდების დარღვევით დავაკანონეთ რუსი მშვიდობისმყოფლები. ამაზე, საქართველოს მთავრობა დათანხმდა ცნობილი ჰაიტის მაგალითის სანაცვლოდ. აშშ-მ და რუსეთმა ერთმანეთში მოილაპარაკეს, რომ აშშ-ს მიეცემოდა ჰაიტიში შესვლის უფლება, როგორც მშვიდობისმყოფელი ძალისა, და სამაგიეროდ რუსეთი მიიღებდა ამ მანდატს საქართველოში. ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ საქართველოში ეს მიიღეს, როგორც ფაქტი და არავითარი წინააღმდეგობა გაერო-ს ამ წესდების დარღვევას არ გაეწია. ამაში დათოს ნამდვილად ვერავინ დაადანაშაულებს, რადგანაც ამ დროს ის მხოლოდ "ალდაგის" სამსახურში იყო დაკავებული და არ ეცალა ეროვნული პოლიტიკისათვის, მაგრამ დღეს ფაქტი ფაქტად რჩება, რომ აფხაზეთში რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალთა დაკანონება რუსულ-ქართულ-ამერიკულმა შეთანხმებამ. ის ნუთუ ამერიკის ინტერესები სამხრეთ რუსეთისა დაემთხვა და მე ამის ცოცხალი მოწმე გახლდით სწორედ ამერიკაში. მეც ერთ დროს მეგონა, რომ ამერიკას დემოკრატიული საქართველო ჩვენზე მეტად უნდა, მაგრამ იქ ცხოვრების 10 წლის განმავლობაში კარგად მივხვდი, რომ დემოკრატიული საქართველო ჩვენზე მეტად არავის ენდომება, და მათ შორის - არც ამერიკას. აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება მხოლოდ ჩვენი მშვიდობიანი ძალისხმევით შეიძლება და არა გარეშე ძალაზე აპელირებით. გარეშე ძალაზე აპელირების ჭეშმარიტი დადასტურება 11 წელია ვერ აგვარებს ამ პრობლემას და დათო მასთან შედარებით მხოლოდ მოგვარეობს ამ საქმეში. გაეროს წესდება რომ ძალაში ყოფილიყო და დიდ სახელმწიფოებს არ დაერღვათ მანიპულაციებით, მაშინ მშვიდობისმყოფელი ძალა ან შვეიცარიიდან, ან არგენტინიდან ან კი ზიმბაბვედან უნდა ყოფილიყო, რადგანაც მეზობელ სახელმწიფოებს არა აქვს უფლება მშვიდობისმყოფელის როლი ითამაშოს მის გვერდზე მყოფ ქვეყანაში. აქ ამერიკა ინტერესთა კონფლიქტია.

კარგი იქნებოდა რომელიმე ჩვენს პოლიტიკოსს ცოტაოდენი მაინც ნამდვილდენის პოლიტიკურ მეცნიერებაში და თვალი გადაევლო ისტორიული მოვლენებისათვის. გაეროს წინამორბედი ერთა ლიგა შეიქმნა დიდი ამერიკელი პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის ხედვის თანახმად, რომლის მიხედვითაც მსოფლიო თანამეგობრობაში "დიდი უნდა იყოს პატიოსანი და პატარა დაცული". ეს არის ერების შორის დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ეს არის ყოველგვარი იმპერიალიზმის შემაკავებელი ფაქტორი. აგრეთვე, არ უნდა იყოს ორმაგი სტანდარტები საერთაშორისო თანამეგობრობაში. ექსპერტმა, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი არ არის დემოკრატიული, მაგრამ, განა ის არის ეროვნული? საუდის არაბეთიც არ არის დემოკრატიული ქვეყანა. უფრო მეტიც, ეს ქვეყანა მხილებულია საერთაშორისო ტერორიზმის რამდენიმე ყველაზე შემზარავი შემთხვევის ფინანსურ თუ კადრობრივ მხარდაჭერაში. რატომ არ დაიწყო ასეთი განმათავისუფლებელი ომი საუდის მმართველი წინააღმდეგ? ამერიკაში და ევროპაში ხომ მრავლად უცხოვრიათ იქნა ორმაგ მეტი საუკუნის წინ. აგრეთვე აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა, სადაც ნავთობი არ არის ან არის, მაგალითად ნიგერია. ნუთუ იქ არ ხოცავდა საკუთარ ხალხს ადგილობრივი დიქტატორი, გენერალი აბაჩა? ერაყის ეგრეთწოდებული განმათავისუფლებელი ომი რომ ფულიანდერესებიდან არის განსაზღვრული და არა დემოკრატიისა, ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ ზოგიერთი ამერიკული ბიზნესისათვის მსოფლიო იყოფა "ჩვენს ძაღლიშვილებად" და "მათ ძაღლიშვილებად" (ჰარი ტრუმენის ცნობილი სენტენცია). ამ შემთხვევაში საუდის არაბეთი "საკუთარი ძაღლიშვილია", რომელიც დიდ კაპიტალს იძლევა, თუმცა საკუთარ და სხვის მოსახლეობასაც კი ხოცავს, მაგრამ ნავთობკორპორაციებს და მათ მეგობრებს სამაგიეროდ კი ახეირებს. უფრო მეტიც, სადამ ჰუსეინიც "საკუთარი ძაღლიშვილი" იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში. დათო ახსენებს სწორედ იმ პერიოდს, როდესაც სადამ ჰუსეინი ირანთან ომში ბავშვებს უშვებდა საომრად, ქურთ მოსახლეობას კი გაზით წამლავდა და ამაში მას ამერიკის უსიტყვო მხარდაჭერა ჰქონდა. რა, მაშინ ის სხვა სადამ ჰუსეინი იყო? არა, უბრალოდ მაშინ ის ამერიკული კორპორაციების მეგობარიც იყო და ამერიკის მტრის მტერიც, ანუ "ჩვენი ძაღლიშვილი". მე წინაალმდეგი ვარ, რომ ზურაბ კაკაბაძისა და ერეკლე გამყრელიძის შვილები "ვინმეს ძაღლიშვილები" ვიყოთ, რამეთუ ჩვენ ადამიანის შვილები ვართ და თანაც ღირსეული და საამაყო ადამიანების შვილები. ამ მამების შვილებისათვის ყველანაირი იმპერიალიზმი კატეგორიულად მიუღებელია - როგორც რუსული, ასევე ამერიკული და თუნდაც ჩვენი საკუთარი.

ერაყის კავშირი ალ-ქაიდასთან დადგენილი და აღიარებული რომ იყოს, ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, იტალია, არ გამოვიდოდნენ ომის მოწინააღმდეგედ. ალ-ქაიდასთან კავშირი საუდის არაბეთისა და, ნაწილობრივ, პაკისტანის პრეროგატივაა, რომელიც აგრეთვე არ გახლავთ დემოკრატიის კუნძული და რომელსაც აგრეთვე აქვს მასობრივი განადგურების იარაღი. ამ სახელმწიფოებიდან წამოსულმა კამიკაძეებმა ნამდვილად შეუქმნეს საფრთხე ამერიკის ეროვნულ უსაფრთხოებას და 3 ათასზე მეტი ამერიკელის სიცოცხლეც შეიწირეს 2 საათის განმავლობაში. ეს ერაყს არ გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ სადამ ჰუსეინის დაცვას არც მე ვაპირებ, არც ჟაკ შირაკი და არც კანცლერი შრიოდერი.

მე აბსოლუტურად ვეთანხმები დათოს იმაში, რომ ლიბერალური დემოკრატიის დასამკვიდრებლად ჩვენ ძალები არ უნდა დავიშუროთ მთელს მსოფლიოში. ეს სრულიად ესადაგება ვუდრო უილსონის ხედვასა და ელეონორ რუზველტის მიერ ჩამოყალიბებულ "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას". მაგრამ, მაშინ რა ვუყოთ კომუნისტურ ჩინეთს, რომელიც აგრეთვე არ არის ლიბერალური დემოკრატიის ქვეყანა. რატომ სდუმს დათო ტიბეტის ოკუპაციის შესახებ? მე არ მინდა მჯეროდეს რომ, "ძალა აღმართს ხნავს" და ამ აღმართთან ერთად დათოსაც.

იმიტომაც აბსოლუტურად ვეთანხმები დათოს, რომ აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენ საკუთარი ძალები უნდა ვიხმაროთ, და არა დიდი "დერჟავების". აფხაზეთს მხოლოდ ჩვენი საკუთარი მშვიდობიანი ძალისხმევით დავიბრუნებთ და არა რომელიმე დიდი თუ უბედ ძალაზე აპელირებით.

მე მახსოვს, როდესაც საბჭოთა საოკუპაციო ჯარი ავღანეთში შევიდა, მაშინდელი პრესის ფურცლებზე გამოჩნდა კომპარტიული აქტივისტების წერილები, სადაც ისინი მიესალმებოდნენ საბჭოთა ჯარების მიერ ინტერნაციონალური ვალის მოხდას და ავღანეთის განთავისუფლებას ამერიკულ-იმპერიალისტური გავლენისგან. ისინი ერთად მადლობას უხდიდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ მან მათ ასეთი ბედნიერება მიანიჭა. მე და შენ დათო ამ კომპარტიულ აქტივისტებს შორის არ ვყოფილვართ, თუმცა ქვეყნის მმართველი მაშინ იგივე იყო, დღესაც რომ არის. დღეს ჯორჯ ბუშის მიმართ გაგზავნილი სამადლობელი წერილები ძალიან მაგონებს იმ კომპარტიულ წერილებს, რომლებშიც საკუთარი მერკანტილური გარდა არაფერი ამოძრავებდათ. ჯორჯ ბუშსა და ლეონიდ ბრეჟნევს შორისაც უფრო მეტ საერთოს ვხედავ, ვიდრე განსხვავებას, თუმცა მინდა, რომ ვცდებოდე. ძალიან გამეხარდება, რომ ვცდებოდე. ჩვენ იმ თაობას ვეკუთვნით, რომელიც ლეონიდ ილიას ძის ეპოქაში იზრდებოდა და იმ დროს ჩვენ კოლაბორაციონიზმს გადავურჩით.

და ბოლოს, მინდა ვთხოვო ყველა ის ჯარი მოსამსახურეს, რომელიც დღეს პოლიტიკოსს უწოდებს საკუთარ თავს, რომ ცოტა მეტი განათლება მიიღოს ისეთ დისციპლინაში, რომელსაც პოლიტიკური მეცნიერება ჰქვია. ამ განათლების მიღება ახლა საქართველოშიაც შეიძლება და, როგორც ოტავაში, არასწორია არ არის. ისევე, როგორც მე, მინდა ვისწავლო ბევრი რამ დათოსაგან ბიზნესში და საერთოდ სამედიცინო საქმეში, იქნებ მანაც აიცალოს და ცოტათი უფრო განათლებული მოჩვენება. ამ ქვეყანაში არიან ხალხი, რომელსაც ხანდახან ჩვენზე უფრო კარგად იციან და ნასწავლიც აქვთ მათი საქმიანობა.

აუცილებლად უნდა ვიცოდეთ ის, რომ XXI საუკუნეში ძალადობა და მკვლელობა პოლიტიკის გადაწყვეტის მიუღებელ ფორმად, რომელსაც არც მემარჯვენეები და არც მემარცხენეები მხარს არ უნდა უჭერდნენ. ინფორმაციის საუკუნეში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება უნდა გახდეს ჩვენი პოლიტიკური იმპერატივი. ეს ერთნაირად ეხება როგორც სადამ ჰუსეინს, ისე ჯორჯ ბუშსაც და ვლადიმერ პუტინსაც. მე-20 საუკუნის უდიდესმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მაჰათმა განდიმ დაგვანახა, რომ მსოფლიოში უძლიერესი იმპერიის დამარცხება მშვიდობიანი ბრძოლის გზით, სხვათაშორის, მას არასოდეს აუღია ხელში იარაღი და ამან ის უფრო დიდ ჰუმანისტად შეიყვანა მსოფლიო ისტორიაში, ვიდრე სტალინი, ბრეჟნევი და ჯორჯ ბუში ერთად აღებული. მკვლელობა უნდა გამოცხადდეს საერთაშორისო კრიმინალად და მსოფლიო მთავრობამ არ უნდა მისცეს საშუალება ძლიერს, რომ სუსტი დაჩაგროს და გაანადგუროს. სწორედ ეს იყო დიდი ამერიკელი პრეზიდენტის და ჰუმანისტის ვუდრო უილსონის ხედვა.

ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც სწორედ მაშინ იყო უძლეველი, სანამ მისი იარაღი მხოლოდ სიმართლე, თავისუფლების წყურვილი და სიყვარული იყო. ამის მოწმე დათოც იყო ჩემთან ერთად. როგორც კი იარაღი ავიღეთ და ერთმანეთს ვესროლეთ, მაშინვე დავმარცხდით.

ის კი ნამდვილად გამახარებს, რომ პედიატრს ბავშვების ხოცვა კარგად არ მიაჩნდეს. და საერთოდ, მინდა ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო დათოსაც და ჩვენს ქვეყანასაც.

# ერაყის კონფლიქტი - საქართველოს ინტერესები, მორალი, პოლიტიკა და ნამეტნაობა

პირველი გვერდიდან

პოლიტიკურ რუკაზე, ჩემთვის ამ განსაზღვრის ერთადერთი გზა, რუსეთის საპირწონედ ძლიერი მოკავშირის ძებნა და ამ მოკავშირესთან ერთგული თანამშრომლობაა; საამისოდ არგუმენტებიც გამაჩნია:

პირველყოვლისა ესაა ამერიკის, როგორც ლიდერის როლი თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში. საქართველოს ამერიკა სჭირდება არა მხოლოდ იმისთვის, რომ შეინარჩუნოს თავისი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა, არამედ იმისთვისაც, რომ მოახერხოს თანამედროვე ცივილიზაციის სივრცეში ინტეგრირება. იმისთვის, რომ იყოს თანამედროვე სახელმწიფო და იმოქმედოს, არა როგორც ერთ-ერთმა მცირე და განუვითარებელმა ერმა, რომლის შვილებიც ძალიან კარგ ხაჭაპურს აცხობენ და კარგი ღვინის დაწურვა იციან, არამედ, როგორც სახელმწიფომ, რომელიც სწორედ რომ თავისი ინტეგრაციის დონისა და ადამიანური რესურსების მეშვეობით, ადეკვატურ როლს თამაშობს მსოფლიო თანამეგობრობაში. ჩვენი ისტორიის მანძილზე, დამპყრობელთა მიზანი, რომლითაც ისინი ებრძოდნენ ჩვენს ერს, სწორედ საქართველოს გლობალური პოლიტიკიდან დეზინტეგრაცია იყო. ეს მისია ყველაზე წარმატებით რუსეთის იმპერიამ შეასრულა, მაგრამ დღეს ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ისევ გავხდეთ წევრი ცივილიზებული სამყაროსი და ეს შესაძლებლობა ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. აქვე დავამატებ იმასაც, რომ ეს ინტეგრაცია სრულიადაც არ არის აუცილებელი ისტორიული პროცესი. სრულიად შესაძლებელია, რომ ისტორიამ ჩვენ გვერდით, პარალელურად ჩაგვიაროს. კარლ იასპერსი თავის ისტორიის ანალიზში გამოყოფს ერებს, რომლებიც ისტორიული ღერძული დროის პარალელურად არსებობდნენ, მაგრამ არ იყვნენ ჩართული მასში, არ იყვნენ ცივილიზაციის ნაწილი. დიდი შესაძლებლობაა იმისა, რომ ჩვენ ამ ერთა რიცხვში მოვხვდეთ. ჩვენ ვართ პატარა ერი, და იმისათვის, რომ არ მოხდეს ჩვენი გაფერმკრთალება, არ გაუფასურდეს ჩვენი მნიშვნელობა, არ შთანგვთქას დიდმა მეზობელმა, ჩვენ მუდმივად შეუცდომელ გადაწყვეტილებებს უნდა ვიღებდეთ. ჩვენ არა გვაქვს შეცდომების უფლება, ჩვენ ვერ გავაცდენთ დროს, პირიქით - ჩვენ მუდმივად უნდა ვეწეოდეთ მას. დროის, ცივილიზაციის რიტმს კი დღეს ამერიკის შეერთებული შტატები აწესებს და ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მათთან დაახლოების შესაძლებლობა.

ამავე დროს, ამერიკასთან თანამშრომლობა ჩვენ გვაძლევს ქართული არჩევანის გაკეთების თავისუფლებას. თანამედროვე დასავლური კულტურა ეფუძნება იმ ღირებულებებს, რომლებიც ასე ახლობელია ჩვენთვის. ესაა თავისუფლება, ინდივიდის პატივისცემა, ტოლერანტობა. ყოველივე ეს ბუნებრივია ჩვენი კულტურისა და ჩვენი შინაგანი წყობისათვის. ის პრინციპები, რომელთა პოპულარიზაციასაც დასავლეთი საქართველოში ახორციელებს, ჩემთვის, როგორც ამ პროცესებში ჩართული ადამიანისათვის, ჯერჯერობით არც ერთხელ არ ყოფილა მიუღებელი. მეტიც, მათი დანერგვისა და დამკვიდრების ფორმაში, ყოველთვის მოიაზრება ქართული კონტექსტის, ქართული ინტერპრეტაციის არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობა. დემოკრატია, ადამიანის უფლებათა დაცვა, დეცენტრალიზაცია, პასუხისმგებელი მთავრობა, კანონის უზენაესობა – ამ პრინციპთაგან რომელია უცხო ქართველისათვის, ან ამ პრინციპებიდან რომელი მოწოდებულა დირექტივის ან დოგმას ფორმით? ჩვენი თანამშრომლობის ფორმატი არასდროს ყოფილა განსაზღვრული ყალიბებითა და მზა რეცეპტებით. თანამშრომლობის პირობად ყოველთვის რჩებოდა უზოგადეს პრინციპთა პატივისცემა, ერთგულება იმ პრინციპთა, რომელთაც შეიძლება დღეს, ზოგადსაკაცობრიო ვუწოდოთ. ამ მხრივ, ამერიკასთან, როგორც ზესახელმწიფოსთან თანამშრომლობა, ყოველთვის პარტნიორობისა და ქართული შინაარსის პატივისცემის ფონზე მიმდინარეობდა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა მსოფლიოსთან საკუთარი სახის შენარჩუნებით ინტეგრაციისა.

ჩვენ სწორედ ამ ქვეყანასთან სტრატეგიული თანამშრომლობის გზით უნდა წავიდეთ და ვუერთგულოთ მას, როგორც მოკავშირეს და როგორც პარტნიორს, არა მათი, არამედ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე. ამერიკა არაა თვითმიზანი, იგი მხოლოდ საშუალებაა საქართველოსთვის მიზნის მისაღწევად.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც მე დღევანდელი დილემის გააზრებისას მეხმარება. ეს იყო ილია ჭავჭავაძისა და პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა მიმოწერა. ჩვენთვის ამ მიმოწერაში დევს ის პასუხი, რომლითაც დღესაც შეიძლება იხელმძღვანელოს მოქალაქემ არჩევნის გაკეთებისას. გაგახსენებთ: პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წევრებმა, აღშფოთებულნი იყვნენ რა იმ უსამართლობით, რომელსაც ოსმალები კვიპროსზე, ბერძენი მოსახლეობის წინააღმდეგ სჩადიოდნენ, გადაწყვიტეს დახმარების ხელი გაეწოდებინათ ჩაგრულთათვის. მაგრამ, ამ ნაბიჯის გადადგმამდე, მათ ილია ჭავჭავაძეს მიმართეს და საკითხზე მისი მოსაზრების გაგება ისურვეს. ილია ჭავჭავაძის პასუხი, რომლითაც მან პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს მიმართა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ 1897 წელს მიმდინარე მოვლენების ჭრილში, არამედ დღესაც შეიძლება იქნეს გამოყენებული ჩვენი დილემის გადაჭრისას. ილია სრულიად იზიარებს სტუდენტთა გულის წადილს, იგი პოლიტიკურადაც და მორალურადაც ბერძენი ხალხის ბრძოლას მხარს უჭერს, მეტიც, საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტშიც, მას ეს ბრძოლა მნიშვნელოვნად მიაჩნია, მაგრამ იგი წერს: "ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას." და კიდევ: "იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტნაობით უნდა მიეცეს. ნამეტნაობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გავუზიაროთ და შევწიროთ".

აი, სწორედ ამ კონტექსტში, საკუთარი ქვეყნისა და მამულის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შევაფასოთ რეალობა. დღეს კოალიციის მხარდაჭერა და ამავე დროს ნაკლები პათეტიკა ჰუსეინის წინააღმდეგ მიმართული აქციის დაგმობის თვალსაზრისით, სწორედ, რომ ერისა და "თავისიანის" საკეთილდღეოდ ნაფიქრი ნაბიჯია. ჩვენი ქვეყანა რთული არჩევნების წინაშე დგას, ჩვენ რთული რეალობის კონტექსტში ვცხოვრობთ. დღეს არ ჩარევა ან მაღალი ზნეობის დიდაქტიკური ქადაგება სხვას არას გამოიღებს შედეგად, გარდა იმისა, რომ საქართველოს მომავლის განსაზღვრის პროცესიდან გამოთიშავს იმ მოთამაშეებს, რომელთაც საქართველოსათვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა ძალუძთ, და გააძლიერებს გავლენას იმ სახელმწიფოთა, რომელთაც საქართველოსთვის ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების სტატუსი ემეტებათ. ამდენად, დღეს ერაყის კამპანია, საქართველოს კონტექსტში უნდა გავიაზროთ, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე კვიპროსზე მიმდინარე პროცესებს, სწორედ რომ საქართველოს კუთხით იაზრებდა. კვიპროსელების მხარდაჭერას, რასაც შინაგანად ემხრობოდა, ილიამ "ნამეტნაობა" უწოდა. დღეს კი, იმ ძალთა გამოსვლების მოტივაციას, რომლებიც მოკავშირეებს აკრიტიკებენ, ნაწილს შესაძლოა დივერსიული, ხოლო ნაწილს გაპრანჭული ვუწოდოთ.

ალბათ, ეს პირველ რიგში იმ სპონტანური ემოციის ტიპებს ეხებათ, რომლებიც ბუნებრივად არეულნი არიან ჩვენს ინფორმაციით გადატვირთულ დროში. ასეთი ტიპი, ფსიქიკის ლაბილურობიდან გამომდინარე, ასეთ რელობაში, კარგავს იმ საფუძველს, იმ მიწის შეგრძნებას, რომელზეც იგი დგას. ასეთ ნატურებს უჭირთ იმის გააზრება, რომ პატარა წერტილი რუკაზე, რომელიც ძალიან საშიშ გეოპოლიტიკურ ადგილასაა დასმული, აი სწორედ ესაა ის ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობენ, და რომ ამ ქვეყანას გააჩნია თავისი პრობლემები. "რატომ არ შეიძლება ყველაფერი კარგად იყოს? რატომ არ შეიძლება ჩვენ ნეიტრალურნი ვიყოთ, რატომ არ შეიძლება არ დაიღვაროს უდანაშაულო სისხლი?" – კითხულობენ ისინი და ჰგონიათ, რომ მსოფლიო ტკივილების პანაცეას მიაგნეს. ეს ან ბოდვაა ან გემოვნებადაკარგული პრანჭვა. "და რატომ არ შეიძლება ჩვენ ჩიტუნები ვიყოთ და ნაზად დავფრინავდეთ ლაჟვარდ ცაში?" – იმიტომ რომ ასეთია რეალობა. და ეს "იმიტომ" ბევრად უფრო მნიშვნელოვანია დღეს ჩვენთვის, ქართველებისთვის, ვიდრე ბრიტანელებისა თუ ამერიკელებისათვის. დღეს ჩვენ ბევრად უფრო ადეკვატურნი უნდა ვიყოთ ვიდრე ფრანგები თუ გერმანელები. დღეს ჩვენ ვერ ვიქნებით "ნაზი, ცაში მოლივლივე ჩიტუნები", იმიტომ, რომ ვართ ქართველები და ნებისმიერი შეცდომა და გაპრანჭულ-ინტელექტუალური განარნარება შეიძლება სამშობლოდ დაგვიჯდეს. "და რატომ არ შეიძლება ჩვენ ჩვენი თავის იმედი გვქონდეს" – მესმის კიდევ ერთი პაციფისტის აღშფოთება – იმიტომ, რომ აი, შენნაირი ჩიტუნებითაა სავსე ეს ქვეყანა, რომელთაც არაფრის შნო არა აქვთ, რომელთაც ვერ გაურკვევიათ, რა როლი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს თანამედროვე სამყაროში, რისი უნარი აქვს ამ ქვეყანას და რა არჩევანი დგას მის წინაშე, რომელმაც ზედმეტად გადაიტვირთა თავი ჩომსკისა და ფუკოს კითხვით, სი-ენ-ენის ყურებით და რადიკალ-ლიბერალური პრესის ანალიზით. განათლება, უფრო სწორედ ინფორმაცია, ოხერი რამაა, ზომაზე მეტ უარყოფით შედეგებს იძლევა და შესაძლოა სრულიად "აჭრას" მოუმზადებელი ტვინი. და თუ დაიბენით, მოიქეცით უფრო მარტივად – გადართეთ ტელევიზორი რუსეთის არხებზე და ნახეთ რა გაშმაგებით აკრიტიკებენ ისინი კოალიციის წევრებს, რა ჰეროიკულ ტონში იცავენ ჰუსეინის რეჟიმს და როგორ ილესავენ კბილებს საქართველოს წინააღმდეგ. მარტივად მოუსმინეთ მათ და მიხვდით, რომ არჩევანი ჩვენთვის არა ერაყში ომსა და მშვიდობას შორისაა, არამედ არჩევანი საქართველოს ინტერესებს ეხება. ამ რეალობაში კი, სადაც სიკეთის მაძიებლები კი არ დალაჟვარდობენ, არამედ რუსული ვერტმფრენები დაფრინავენ, არის ერთი ქვეყანა, რომლის იმედიც ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს და ეს ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები. ეს ქვეყანა დღეს ომს აწარმოებს და ჩვენ მის გვერდით უნდა ვიდგეთ.

ჩვენ დღეს მოკავშირეთა გვერდით ვდგევართ, ვდგევართ მკვიდრად და სწორედ ისე, როგორც ჩვენს ქვეყანას სჭირდება და მოეთხოვება. ჩვენ არ დაგვიწყია ეს ომი, მაგრამ, როდესაც ომი გაჩაღდა, ჩვენ გვეყო სიბრძნე და ვაჟკაცობა სწორი ნაბიჯის გადადგმისა. შეერთებული შტატები ვერ დაივიწყებს ამ მხარდაჭერას, პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს მხარდაჭერა მთელი მსოფლიოს თვალწინ და კრიტიკულ მომენტში გაკეთდა. ამ კონტექსტში მეც ჩემი ქვეყნის არჩევნის გვერდით ვდგევარ. შესაძლოა, მე რომ ამერიკელი ან ბრიტანელი ვყოფილიყავი, ქუჩაში გამოვსულიყავი ომის საპროტესტო მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ დღეს, მე სრულიად ერთმნიშვნელოვნად მხარს ვუჭერ ჩემი ქვეყნის არჩევანს, მეტიც, ჩემს მთავრობას, რომელმაც, ქვეყნისათვის პოლიტიკურად ბრძნული ნაბიჯი გადადგა.

და ბოლოს, საუბარი მინდა მორალით და საერთაშორისო პოლიტიკური რეალობის ანალიზით დავამთავრო.


"მხარს ვუჭერ ჩემი ქვეყნის არჩევანს, მეტიც, ჩემს მთავრობას".
REUTERS

მორალი და პოლიტიკა, სახელმწიფო და მორალი, ომი და კაცთმოყვარეობა - ეს თემები, უცნაურ წყვილებს ქმნიან. ეს არც დაპირისპირებული ან ურთიერთგამომრიცხავი თემებია, მაგრამ არც ისეთი საკითხები, რომელთა ერთობლივი განხილვა იოლია. უფრო სწორად, ამ საკითხთა ერთად განხილვა შესაძლებელია, მაგრამ, როდესაც მათ განხილვას ერთად ვიწყებთ, თითქოს ვკარგავთ იმ ძირითადს, იმ არსობრივს, რომელიც თვითოეულ ამ თემაში მოიაზრება. მსჯელობის დაწყებისთანავე იგრძნობა გარკვეული "შეუთავსებლობა", რომელიც ჩვენს ამოსავალ ცნებებს რეალობასა და შინაგან ლოგიკას უკარგავს. ანალოგიისათვის წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ დავამზადოთ სკამი, მაგრამ ჩვეულებრივი სკამის მაგივრად დავამზადეთ გიგანტური - ასმეტრიანი, ან მიკროსკიპული – ორსანტიმეტრიანი სკამი. ჩვენ მიერ დამზადებული ნივთი ნამდვილად სკამის ფორმისაა, მაგრამ, მან დაკარგა "სკამობის" შინაგანი ლოგიკა, დაკარგა თავისი არსი. სწორედ ასე, როდესაც მორალს სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ურთიერთობებში, არა როგორც დამხმარე, არამედ ამოსავალ ცნებად გულისხმობენ, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ავეჯის მაღაზიაში ვიღაც, აბსოლუტურად სერიოზულად, ცდილობს შემომთავაზოს ჩემი სახლისთვის ორსანტიმეტრიანი გარნიტურის ყიდვა. მორალი და პოლიტიკა, არა ერთმანეთის გამომრიცხავი, არამედ, უფრო პარალელურად არსებული, მაგრამ ერთობლიობაში განსახილველად არაადეკვატური ცნებებია. მსოფლიოს ისტორიაში არ არსებობდა სახელმწიფო, რომელიც, მორალის პრინციპებზე დაფუძნებული, რეალურად იფუნქციონირებდა; ხოლო ის სახელმწიფოები, რომელთაც მაქსიმალურად სცადეს თავისი მოქმედების პრინციპად მორალისა და ზნეობრივი ღირებულებების აღება, თანამედროვე კაცობრიობის ისტორიაში ანტიჰუმანურ რეჟიმებად ჩაეწერენ. ბოლო პრეცენდენტი – რელიგიურ მორალზე აგებული ავღანეთი, თვალნათელი მაგალითია იმისა, საით მიჰყავს ქვეყანა მცდელობას, საკუთარი მორალი გახადო სახელმწიფოს ამოსავალ პრინციპად. კომუნისტური რეჟიმი – ისიც კომუნისტური მორალის, მაღალი იდეალების დანერგვის პრინციპით მუშაობდა და, სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ძერწავდა "ახალ ადამიანს" და აგდებდა "გამოუსადეგარ მასალას".

სწორედ ამიტომ, დღეს, მესაუბრებიან რა ომის მორალურობისა და მოკავშირეთა აგრესიაზე, მე უბრალოდ არ მესმის ამ საუბრის შინაარსი. ამერიკის, ინგლისის თუ საფრანგეთის მორალზე სერიოზული საუბარი, ისევე არაადეკვატურია, როგორც საფრანგეთის გრიპზე, ინგლისის პადაგრასა თუ ამერიკის შაკიკზე. მორალურობა ინდივიდის პრეროგატივაა და არ შეიძლება მიუდგეს სახელმწიფო პოლიტიკას. რასაკვირველია, სახელმწიფოში, და განსაკუთრებით დემოკრატიულ სახელმწიფოში, არსებობს კავშირი ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა ზნეობრივ არჩევანსა და წარმოებულ პოლიტიკას შორის. ანუ, კავშირი თვითოეული ადამიანის ზნეობასა და იმ კურსს შორის, რომელსაც ატარებს ესა თუ ის ქვეყანა. მაგრამ ისევ, ეს იმდენად განსხვავებული განზომილებებია, რომ აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ შორეულ ანალოგიაზე. მეტიც, თვითოეული მოქალაქე, მაშინ, როდესაც იგი აყალიბებს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკური პროცესის მიმართ, პრინციპში აპელირებს ისეთი რიცხვებითა და ცნებებით, რომელთა საფუძველზე ძნელია ბუნებრივი პოზიციის ჩამოყალიბება. ანუ, პროცესი – მორალური არჩევანი – სახელმწიფოს პოლიტიკა იმდენად გაშუალებულია, რომ რეალურად, მათ შორის მხოლოდ ეფემერული კავშირი თუა შესაძლებელი.

ამიტომაც, როდესაც მე დღეს თვალს ვადევნებ კოალიციის ან სხვა ქვეყნების პოზიციას, ჩემთვის მორალისა და ზნეობის პრობლემატიკა ბევრად ნაკლები სინათლით იკვეთება, ვიდრე მათთვის, ვინც აკრიტიკებს ერთ ან მეორე მხარეს სწორედ რომ მორალის კუთხიდან. ჩემთვის ამ პროცესების ანალიზისას ბევრად უფრო მნიშვნელოვანია იმის დანახვა და გააზრება, თუ რა მიმართულებით ვითარდება მსოფლიო თანამეგობრობა და რა ტენდენციებს დაეფუძნება იგი ხვალ. ჩემთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ მე ვარ ქართველი და საქართველოს ბედი დამოკიდებულია სწორედ ამ პროცესებზე და ჩვენი ქვეყნის ამ პროცესებში ადეკვატურ ჩართვაზე.

ამდენად, ვფიქრობ, რომ იმათ, ვინც თავი გამოიდეს სწორედ რომ მორალური პოზიციიდან გამომდინარე ამა თუ იმ მხარის კრიტიკით, არა მხოლოდ ვერ გაიაზრეს მორალისა და პოლიტიკის არსობრივად ერთდროულად განხილვის პრობლემურობა, არამედ ვერ გაიაზრეს თავისი მოქალაქეობა. სწორ მოქალაქეობრივ პოზიციაზე მყოფთათვის კი, ჩემი აზრით, დილემაზე პასუხი ნათელია – საქართველოს სჭირდება კოალიციისათვის მხარის დაჭერა, ეს ჩვენს ინტერესშია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# სადამ ჰუსეინის აუმოქმედებელი რეზერვი

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*ერაყის ტერიტორიაზე ცხრა დღის წინ დაწყებული საომარი მოქმედების განმავლობაში, მოკავშირეთა ჯარების წინსვლის შეჩერებას, სადამ ჰუსეინი, შეზღუდული საშუალებებით - რუსული წარმოების ტანკებით, საარტილერიო დანადგარებითა და "ფედაინების" რაზმებით ცდილობს. თუმცა, ერაყელი დიქტატორის შეიარაღებაში ასევე სამხედრო ავიაცია, მათ შორის სუ-25 კ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, 1986-87 წლებში, სადამ ჰუსეინმა თბილისის საავიაციო ქარხანას დაამზადებინა. ამ სახეობის მოიერიშეები საკამოდ ეფექტურია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად, მაგრამ სუ-25-ების იმედი ჰუსეინს უკვე აღარ უნდა ჰქონდეს.*



*ერაყული ავიაგამანადგურებლის ბედი "უდაბნოს ქარიშხლის" დროს.*

ომის პირველ დღეებში, მოკავშირეთა ავიაციის მთავარ სამიზნედ ბაღდადიდან 80 კილომეტრით დაშორებული ელ-ჰაბანიას ბაზა იქცა, სადაც 1991 წლის ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხალს" გადარჩენილი სადამ ჰუსეინის ავიაციის ნარჩენებია კონცენტრირებული. ერაყელებს აქ რამდენიმე საბჭოთა წარმოების გამანადგურებლების გარდა, განლაგებული ჰყავდათ სუ-25 კ მოიერიშე თვითმფრინავების პოლკი, რომლის უმრავლესობა სადამ ჰუსეინმა კრემლის დახმარებით 1986-87 წლებში შეიძინა. ამ ტიპის თვითმფრინავების 68 ერთეული, თავის დროზე, კერძოდ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, თბილისის საავიაციო ქარხანაში დამზადდა. 16 წლის წინ ერაყში ჩატანილი მოიერიშეების საგარანტიო მომსახურებას და ერაყელი ტექნიკოსების მომზადებას, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის დავალებით, საქართველოდან წარგზავნილი 30-მდე ქართველი სპეციალისტიც აწარმოებდა. მათ შორის იმყოფებოდა თბილავიამშენის ამჟამინდელი მთავარი ინჟინერი გოჩა გოგუაძე.

***"მე იქ ვიყავი ამ თვითმფრინავების გარანტირებულ მომსახურებაზე, მაშინ ხომ საბჭოთა კავშირი აძლევდა ერაყს შეიარაღებას. ეს იყო 88-89 წლები. დაახლოებით 68 ერთეული შეიძინეს. ტექნიკის მიწოდება 3-4 წელი გრძელდებოდა",*** - *ამბობს გოგუაძე.*

სხვადასხვა, მათ შორის მოკავშირეთა, სამხედრო წყაროების მონაცემებით, სადამ ჰუსეინს იმ 68 თვითმფინავიდან, ამჟამად საბრძოლო მარაგში უნდა ჰყავდეს დაახლოებით 30 - მდე მოიერიშე. მაგრამ ამ პოტენციალის გამოყენებას ართულებს ის გარემოება, რომ, მოკავშირეთა ავიაციის დაბომბვის შედეგად, სამხედრო აეროდრომისა და სამხედრო თვითმფრინავების უმრავლესობა მწყობრიდან არის გამოსული. მეორე მხრივ, სერიოზული პრობლემაა საბრძოლო რესურსი, რის გამოც, ავიაციის გენერალ ვალერი ნაყოფიას განმარტებით, 17 წლის წინ შეძენილი მოიერიშეები პირველივე შემთხვევისთანავე მოკავშირეთა ავიაციის იოლ ნადავლად იქცევიან.

***"მით უმეტეს, რომ ეს არის პირველი თვითმფრინავები, პირველი სერიისა, რომლებიც, ახალ მოდელებთან შედარებით, უფრო გამარტივებულია, გარდა ამისა, ჰაერში მოკავშირეებს აქვთ უპირობო უპირატესობა, რაც, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, გადამწყვეტი ფაქტორია ომის მოსაგებად. ავიაციის მხარდაჭერა, რასაც მოკლებულია ჰუსეინი, ხელ-ფეხს უხსნის და თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს ქვეით ძალებს. მოკავშირეები ერაყის ავიაციას თავის წამოყოფის საშულებას არ მისცემენ",*** - აცხადებს გენერალი ნაყოფია.

როგორც ცნობილია, კამპანია "უდაბნოს ქარიშხლის" დროს, სადამ ჰუსეინის მთელი ავიაციის განადგურებას მოკავშირეებმა რამდენიმე საათი მოანდომეს. ერაყელ დიქტატორს 12 წლის წინანდელი მოვლენები კარგად ახსოვს და ამიტომ საეჭვოა, რომ გაბედოს საავიაციო ბრძოლაში ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირება. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე ათეული სამხედრო თვითმფრინავი, რომელთა შორის საბჭოთა საქართველოში დამზადებული მოიერიშეებიც შედიან, ჰუსეინის კამიკაძე პილოტებმა უკანასკნელ მომენტში მაინც ჩააბან ბრძოლაში.

# სამხედრო კარიერას მხოლოდ განათლებულები გააგრძელებენ

*ქართულ ჯარში მიმდინარე რეფორმების კონცეფციის მიხედვით, შეიარაღებული ძალების რაოდენობა 20 ათასიდან 15 ათასამდე უნდა შემცირდეს. რა კონტიგენტს შეეხება შემცირება, რა პრინციპით განხორციელდება ეს პროცესი და რამდენად უმტკივნეულოდ ჩაივლის იგი? ამ და სხვა საკითხებზე თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი, ბრიგადის გენერალი დიმიტრი ლეჟავა საუბრობს.*

**-ბატონო დიმიტრი, რა პერიოდში უნდა მოხდეს შემცირებები და შეიარაღებული ძალების რომელ კონტიგენტს შეეხება იგი?**

- დავიწყოთ იმით, რომ შეიარაღებული ძალების რეფორმა გრძელვადიანია და 2015 წლამდე გაგრძელდება. უშუალოდ შემცირებები კი 2005 წლისთვის უნდა დასრულდეს. უცხოელ მრჩეველთა ჯგუფმა რეფორმის რამდენიმე ვარიანტი შემოგვთავაზა. თუ საზღვაო ძალები თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში დარჩება და სამოქალაქო პირები თავდაცვის სამინისტროში აღარ იმუშავებენ, მაშინ შეიარაღებული ძალების რაოდენობა 15 ათასამდე შემცირდება.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ 15 ათასში საერთოდ ყველა სამხედრო მოსამსახურე იგულისხმება და არა მხოლდ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა.

**- 15 ათასი - რამდენად არის საკმარისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის?**

-როცა ჯარი მცირდება, უნდა გაიზარდოს რეზერვი. ერთ მაგალითს გეტყვით: შვეიცარიის შეიარაღებულ ძალებში სამი ათას ხუთასი კაცია, მაგრამ, თუ ქვეყანას დაჭირდება, შეუძლია 700 ათასი რეზერვისტი ერთ დღე-ღამეში შეკრიბოს და კბილებამდე შეაიარაღოს. ჩვენც, ალბათ, ამ გზით უნდა წავიდეთ. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს. იცით, რომ ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით რეზერვისტთა ბატალიონები მზადდება, რამდენიმე სამხედრო შენაერთს სხვა ქვეყნები მოამზადებენ. მაისში გორში უნდა გაიხსნას უნტერ ოფიცერთა სკოლა, რომელიც სერჟანტებს მოამზადებს. ინვენტარი - მაგიდით დაწყებული და ცარცით დამთავრებული - გერმანიიდან უკვე ჩამოიტანეს. პედაგოგებად კი ისინი იმუშავებენ, რომლებსაც განათლება საზღვარგარეთ აქვთ მიღებული. წელიწადში ამ სკოლამ დაახლოებით 300 სერჟანტი უნდა მოამზადოს.

**- სამხედრო მოსამსახურეთა შემცირება რა პრინციპით მოხდება?**

- თავდაპირველად სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება, შემდეგ კი კონტინგენტი გამოცდილებისა და სამხედრო განათლების მიხედვით შეირჩევა. ვისაც კლასიკური სამხედრო განათლება არ ექნება, ის სამხედრო კარიერას ვერ გააგრძელებს. ამასთან, გეტყვით, რომ რეფორმის დასაწყისისთვის შეიარაღებულ ძალებში კლასიკური სამხედრო განათლება მხოლოდ 10 პროცენტს ჰქონდა, დღეისთვის კი ეს ციფრი 40 პროცენტამდე გაიზარდა.

**- წვევამდელთა რაოდენობაც შემცირდება?**

- საგაზაფხულო გაწვევის გეგმა 11 ათასი წვევამდელიდან თითქმის 6 ათასამდე შემცირდა. იცით, რომ რეზერვისტთა ბაზაზე ახალი ბატალიონები კომპლექტდება, ბუნებრივია, წვევამდელთა რიცხოვნობაც მცირდება, რადგან მათ ადგილს რეზერვისტები იკავებენ.

*მედია-ნიუსი*

# ეუთოს ელჩები ედუარდ კოკოევს შეხვდნენ

გუშინ ცხინვალში ჩავიდნენ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ეუთოს წევრი 15 ქვეყნის ელჩები და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლები. მათ შორის იყო ეუთოში რუსეთის ელჩი ალექსეი ალექსეევიც.

მათი ვიზიტის მიზანი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეუთოს იმ პროგრამის მიმდინარეობის გაცნობა იყო, რომელიც მოსახლეობის მიერ იარაღის ჩაბარების სანაცვლოდ რეგიონის ინფრასტრუქტურის აღდგენას ითვალისწინებს.

ცხინვალში განლაგებული შერეული სამშვიდო ძალების ქართული შენაერთის მეთაურის მიხეილ ქებაძის ინფორმაციით, ელჩებმა დაათვალიერეს სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის ტერიტორიაზე მოსახლეობის მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღი - ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, სანადირო თოფები, მცირეკალიბრიანი შაშხანები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და ტყვიები. აღნიშნული იარაღის სანაცვლოდ, ეუთო ქურთის თემის საავადმყოფოს საკანალიზაციო სისტემას აღადგენს.

გუშინვე ეუთოს წევრი ქვეყნების ელჩები დახურულ კარს მიღმა სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოევსა და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბორის ჩოჩიევს შეხვდნენ.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** თვდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი -200 ლარი, შესაძლოა 1 000 ლარამდე გაიზარდოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკული დახმარების პროგრამით საქართველოს ექვს სასაზღვრო რაიონში არსებული აეროდრომების რეკონსტრუქცია იგეგმებოდა. პირველ რიგში, აღნიშნული სამუშაოები კოდორის ხეობაში იყო გათვალისწინებული, მაგრამ ერაყის ომმა გეგმებში კორექტივები შეიტანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე თბილისის ვაკის რაიონში პარტიის თავმჯდომრის, დედაქალაქის საკრებულოს წევრის ლევან გაჩეჩილაძის, ხოლო საბურთალოს რაიონში ამავე პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, რაგბის ფედერაციის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის კანდიდატურებს დააყენებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე აცხადებს, რომ საქართველოს მიერ აშშ-ს მიმართ წარმოებული პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იქნება ის თუ შეერთებული შტატები 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მემკვიდრის ძებნას დაიწყებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუდაუთის ბაზა აფხაზეთის საკუთრებაა და როდესაც რუსი სამშვიდობოები ამ ობიექტის გამოყენებას შეწყვეტენ, მთელი ინფრასტრუქტურა აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებს გადაეცემა, - აცხადებს სოხუმის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი რაულ ხაჯიმბა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის" დელეგაცია, თურქეთის "მშრომელთა პარტიის" ყრილობას დაესწრება, რომელიც აპრილის მესამე დეკადაში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის წევრი ელენე თევდორაძე ქართულ დელეგაციასთან ერთად გუშინ სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მორიგ სესიაზე გაემგზავრა. როგორც თევდორაძემ განაცხადა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის დღის წესრიგში ჩეჩნეთისა და ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებების საკითხების განხილვაა შეტანილი, თუმცა საქართველოს დელეგაცია შეეცდება, პარალელურად აფხაზეთის საკითხი დააყენოს და ასამბლეის ყურადღება აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე გაამახვილოს. **ინტერ-პრესი**

# შეიძლება, მთავრობა თავისით "დაეცეს"

### ძლიერი წერტილოვანი იერიშები მთავრობაზე - ოპოზიციის მთავარი იარაღი

პირველი გვერდიდან

ეს ორი ფაქტი, თუ მათ პროცედურულ და პოლიტიკურ საბურველს ჩამოვაშორებთ, ასეთ სურათს იძლევა: საპარლამენტო უმრავლესობის მიღებული გადაწყვეტილებები მთავრობასთან, როგორც ერთიან ორგანოსთან, შეთანხმებული არ არის. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ზემოთ ნახსენები ფრაზა, მთავრობის ფუნქციების შეთავსების შესახებ, სწორედ სამთავრობო ფრაქციებისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. სიტუაცია ერთი შეხედვით პარადოქსულია - მთავრობა და მისი მხარდამჭერი ფრაქციები, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოქმედებენ, თუმცა ასეთი უცნაურობები ქართული პოლიტიკისათვის უცხო ნამდვილად არ არის. ყველაფრის თავი და თავი კი, სხვადასხვა სახელისუფლო ძალებს შორის უკვე კულმინაციას მიღწეული ის შიდა დაპირისპირებაა, რომლის ცენტრში კვლავ ავთანდილ ჯორბენაძის ფიგურა დგას.

რამდენიმე სერიოზული საპარლამენტო და სამთავრობო მარცხის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრის მდგომარეობა კვლავ ძალზე რთულია, რაც მის შიდასახელისუფლო მოწინააღმდეგეებს აქტიურობისკენ უბიძგებს. პარლამენტში სამთავრობო ფრაქციების ქმედებები კი ამ პროცესის მხოლოდ საჯარო გამოვლინებაა. სულ უფრო ადვილი შესამჩნევი ხდება უმრავლესობის სხვადასხვა დაჯგუფებების ინდივიდუალური თამაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს ორ-სამ კვირაში, როდესაც პარლამენტი გასული წლის ბიუჯეტის შესახებ კონტროლის პალატის ანგარიშს მიიღებს და პირველი კვარტლის შედეგებს განიხილავს, ეს პროცესი კიდევ უფრო ხილული გახდება. ახლავე შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ ამ საკითხებზე დებატები სახელმწიფო მინისტრისათვის ურთულესი იქნება. ამას ემატება ისიც, რომ აპრილის ბოლოს სავალუტო ფონდის მიერ მთავრობისათვის მიცემული ვადაც იწურება, მდგომარეობა კი კვლავაც უცვლელია. თავის მხრივ, თითქმის ნულოვანია თვითონ ჯორბენაძის აქტივები. ეს ყველაფერი მხოლოდ ამყარებს მოსაზრებას ავთანდილ ჯორბენაძის და სხვა რამდენიმე მინისტრის პოსტიდან შესაძლო წასვლის შესახებ. ახლა კითხვები ამ გადაწყვეტილებების მიღების დროსა და მათ პოლიტიკურ გაფორმებას უკავშირდება.

ამ მიმართულებით პრობლემას ქმნის ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო მინისტრი "მოქკავშირის" თავმჯდომარეობასაც ითავსებს. მაგრამ ახალი სახელისუფლო პარტიის - "აბრეშუმის გზის" გამოჩენა, "მოქკავშირის" თავმჯდომარეობიდან ჯორბენაძის გადადგომასაც, მთლიანობაში, სახელისუფლო ძალებისათვის ნაკლებად მტკივნეულს ხდის. არც ის არის გამორიცხული, ჯორბენაძეს არჩევნებისთვის უფრო აქტიური მზადება "დაევალოს" და სამთავრობო ტვირთიც ამ საბაბით მოეხსნას. შექმნილ სიტუაციაში ავთანდილ ჯორბენაძეს მხოლოდ ერთი შანსი აქვს - შარშანდელი მოდელი გაიმეოროს და მარტო ფინანსთა მინისტრის გადაყენებით სცადოს ფონს გასვლა.

მთავრობაში მიმდინარე პროცესები თავისებურ გამოხატულებას ჰპოვებს ოპოზიციაშიც, მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ ამაზე არავინ საუბრობს. ზოგიერთი პარტია, როგორც ჩანს, შიშობს, რომ ოპოზიციის ნაწილი ახალ სახელისუფლო გადანაწილებებში ჩართვას გეგმავს. აქედან გამომდინარე, კვლავ გაჩნდა ბრალდებები შევარდნაძესთან ფარული ალიანსების შესახებ. პარალელურად პრესაში ვრცელდება ინფორმაციები, ამა თუ იმ ოპოზიციური ლიდერის შესაძლო სახელმწიფო მინისტრობაზეც. შეიძლება, ოპოზიციურ პარტიებში, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდობლობამ იჩინა თავი და, სავარაუდოდ, ასეთ განცხადებებსაც უფრო პრევენტული დანიშნულება უნდა ჰქონდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოპოზიციის შევარდნაძესთან ფარული ალიანსების თემა სამთავრობო წრეებში ყოველთვის უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევდა.

ნაკლებად მოსალოდნელია და პოლიტიკურად - გაუმართლებელი, რომ, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, რომელიმე ოპოზიურმა პარტიამ გარისკოს და სახელისუფლო ტვირთი იკისროს. მით უფრო, რომ შექმნილი სიტუაცია მთლიანად ოპოზიციური ფრონტისათვის აშკარად მომგებიანია, რადგანაც მთავრობის სისუსტე მათ წინასაარჩევნოდ მოქმედების თითქმის შეუზღუდავ სივრცეს უქმნის. თუ ბოლო დროს ასე გავრცელებულ სამხედრო ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ახლა ოპოზიციის მთავარი საზრუნავი მთავრობაზე მაქსიმალურად ზუსტი და ძლიერი წერტილოვანი იერიშების მიტანაა. თუმცა დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლების მიღწეული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი მთავრობა, ბაღდადისაგან განსხვავებით, შეიძლება თავისით "დაეცეს".

# საპროტესტო აქცია ქუთაისის სასკოლო ოლქის შენობაში

*საქართველოს განათლების სისტემაში შექმნილ არაჯანსაღ გარემოზე ბოლო ხანს ბევრს საუბრობენ. ბუნებრივია, რომ სისტემაში არსებული რთული ვითარება რეგიონებზეც მტკივნეულად აისახება. ამის მაგალითად მასწავლებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირ "სოლიდარობის" განცხადებებიც გამოდგება. ისინი იმერეთის სკოლებში არსებულ სხვადასხვა კანონდარღვევებსა და კორუფციულ შემთხვევებზე მრავალ ფაქტს ფლობენ, თუმცა ქალაქისა და მხარის განათლების განყოფილებებიდან არც ერთ მათგანზე ადეკვატური რეაგირება არ განხორციელებულა. დამოუკიდებელი პროფკავშირის წევრების განმარტებით, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ "სოლიდარობის" აქტივისტებმა, ქუთაისის სასკოლო ოლქის შენობაში საპროტესტო აქცია მოაწყვეს და განათლების სამინისტროსგან სასკოლო ოლქის ხელმძღვანელობის გადაყენება მოითხოვეს.*

ბექა სისაური
ქუთაისიდან

"სოლიდარობის" ლიდერის მანანა ღურჭუმელიძის განმარტებით, სასკოლო ოლქში კორუმპირებული დირექტორების დაცვას ნებისმიერი ხერხით ცდილობენ. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ სკოლა აღარ არის ის დაწესებულება, სადაც ბავშვი ცოდნას უნდა იღებდეს. ადგილობრივ სკოლებში ქაოსი სუფევს, სასწავლო პროცესი უმეტესწილად ჩაშლილია, სასკოლო ოლქს კი ფუნქცია აქვს დაკარგულიო. პროფკავშირს მიაჩნია, რომ მხარეში განათლების სისტემა არამარტო მოშლილია, არამედ მთლიანად კორუფციაშია ჩაფლული. ღურჭუმელიძის განმარტებით, სკოლებში ფულის კეთების სხვადასხვა მექნიმიზმი არსებობს. კორუფციის ერთ-ერთ წყაროდ მას ბიუჯეტიდან სკოლების არათანაბარი დაფინანსება მიაჩნია: **"ქუთაისში არსებულ ელიტარულ სკოლებს, ბიუჯეტში გაბერილი საოფისე თანხები აქვთ ჩასმული. ძალიან ძნელია, სკოლის დიერქტორმა, რომელმაც "იჩალიჩა" და საოფისე ხარჯად ბიუჯეტში 10 000 ლარის ჩასმა დაამტკიცა, სასწავლო წლის განმავლობაში 10 000 ლარის ცარცი და ფურცელი შეიძინოს. ამიტომაც ისინი ცდილობენ და იოლად აკეთებენ ცნობას, სადაც მითითებულია, რომ ეს თანხები სკოლის რემონტისთვის გამოიყენეს. სინამდვილეში კი თანხის უმეტესი ნაწილი დირექტორების ჯიბეში მიდის. მათთვის შემოსავლის წყაროდ იქცა ეგრეთ წოდებული სამეურნეო საბჭოებისთვის განკუთვნილი თანხებიც, რისთვისაც მშობლები თვეში 2 ლარს იხდიან. ვთქვათ, ქუთასის ერთ-ერთ სკოლას ჰყავს 1200 ბავშვი, 1200 ბავშვის მიერ გადახდილი 2 ლარი თვეში 2400 ლარს შეადგენს. სასწავლო წლის მანძილზე კი ეს თანხა დაახლოებით 21 600 –ს აღწევს. აღნიშნული თანხა სპეცანგარიშზე ირიცხება. მისი ხარჯვის კანონიერებას კი, ფაქტობრივად არავინ ამოწმებს.**

**ისიც აღსანიშნავია, რომ კარგი სპეციალისტი სკოლაში მუშაობის დაწყებას ფულის გადახდის გარეშე ვერ ახერხებს. ამის შესახებ ვაკანსია და კონკურსი არსად ცხადდება. სამაგიეროდ თანხის გადახდის შემთხვევაში ყველაზე დაბალი ინტელექტის მასწავლებელსაც კი მუშაობის საშუალება ეძლევა. მასწავლებლად მუშაობის დაწყების "სტავკები" სხვადასხვა სკოლაში სხვდასხვაა. მინიმალური ღირებულება 300 დოლარია, თუმცა არსებობს 1000 დოლარიანი სკოლებიც.**

**სკოლებში მიმდინარეობს წიგნების, საკონცერტო ბილეთებისა და სხვადასხვა ნივთების ყიდვა-გაყიდვა, რაც მინისტრის ბრძანებით კატეგორიულად აკრძალულია, თუმცა ამის გამო დასჯილი დირექტორი არავის უნახავს. იქამდე მივედით, რომ სკოლის დირექტორი ბავშვში უკვე მომხმარებელს ხედავს.**

პროფკავშირის მიერ მოპოვებული ერთ-ერთი შესაძლო კორუფციის და სხვა სახის დანაშაულის შემცველი ფაქტი ქუთაისის მეცამეტე რუსული სკოლის დირექტორს, ნანა ლომთაძეს ეხება. ამავე სკოლის რამდენიმე მასწავლებელი და მშობელი მას, თანხის გამოძალვას, ბავშვების შევიწროებას, რუსეთის საელჩოს მიერ ნაჩუქარი წიგნების ბავშვებზე მიქირავებას და სხვა მრავალ კანონდარღვევას აბრალებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რუსეთის საელჩომ საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალური წერილითაც მიმართა. აღსანიშანავია ისიც, რომ ნანა ლომთაძეზე ქუთაისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მასწვლებლისგან ქრთამის სახით 400 დალარის გამოძალვის ფაქტზე. პოლიციის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებამ აღნიშნული ფაქტები მოკვლევით დაადსატურა, თუმცა მოგვიანებით, დაზარალებულების საზღვარგარეთ გამგზავრების გამო, საქმე შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ქრთამის გამოძალვის ფაქტი მოკვლევამ დაადასტურდა, სასკოლო ოლქმა ლომთაძე რატომღაც გამართლებულად მიიჩნია და საყვედურიც კი არ აკადრა.

პროფკავშირები ქუთაისის სკოლებში არსებულ კორუფციის შემცველ სხვა ფაქტებსაც ფლობენ. მაგალითად, ისინი აცხადებენ, რომ ოცდამეთვრამეტე სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეებს ფულის მიტანას სთხოვდნენ. თუკი არ მიიტანდნენ, ბავშვებს სახლში უშვებდნენ.

ზამთრისთვის სკოლებს გასათბობად ბიუჯეტიდან 50 000 ლარი გამოუყვეს. პროფკავშირების განცხადებით, მათ ამ თანხის განკარგვა ქუთაისის 26-ე სკოლაში გააკონტროლეს. აღმოჩნდა, რომ ფულის გამოყოფის შემდეგაც სკოლაში იმდენივე ღუმელი ენთო, რაც ადრე ჰქონდათ. პროფკავშირის განმარტებით, არცერთ ზემოაღნიშნულ ფაქტზე სასკოლო ოქლისაგან შესაბამისი რეაგირება არ ყოფილა. უფრო მეტიც, ღურჭუმელიძე აცხადებს, რომ ოქტომბრის თვეში სასკოლო ოლქმა მოსწავლეთა სწავლის დონის გამოსავლენად თვითონ ჩაატარა უკანონო ტესტირება, რომელიც არ იყო შეთანხმებული განათლების სამინიტროსთან. მიუხედავად იმისა, რომ ტესტირება ნებაყოფლობითი გახლდათ, სასკოლო ოლქმა ტესტები იმათაც მიჰყიდა ვინც ტესტირების გავლაზე უარს აცხდებდა. ტესტები ზოგ სკოლაში 30 თეთრი ღირდა, ზოგან 50, ზოგიერთი ყოჩაღი დირქტორი კი თურმე ლარადაც ყიდდა. სასკოლო ოლქს აღნიშნულზე მოკვლევაც უწარმოებია, თუმცა შესაბამისი მტკიცებულებები ვერ მოუპოვებია. ტესტებთან ერთად სასკოლო ოლქს გამოშვებული აქვს წიგნი, სახელწოდებით - "ბაგრატი". სოლიდარობის წევრები აცხადებენ, რომ ოლქი ამ წიგნებსაც სკოლაში ყიდდა. იმის გამო, რომ აღნიშნული წიგნის პირველი თხუთმეტი გვერდი გუბერნატორის გამოსვლებს აქვს დათმობილი, პროფკავშირები მას ხუმრობით ბრეჟნევის წიგნს ადარებენ.

ღურჭუმელიძეს მიაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული ნაბიჯებისკენ სასკოლო ოლქს უხელფასობა უბიძგებს. "24 საათის" კითხვას, ფლობს თუ არა "სოლიდარობა" სასკოლო ოლქის ხელმძღვანელობაზე კონკრეტულ კორუფციულ ფაქტებს ღურჭუმელიძე შემდეგნაირად პასუხობს:

**"საქართველოში ყველასათვის ცნობილია ნავთობის მაფია, სიგარეტის მაფია, ასეთივე მაფიაა შემქნილი განათლებაშიც და ისინი საკმაოდ ჩუმად დიდ ფულს აკეთებენ."**

"სოლიდარობის" წარმომადგენლები მომავალში საპროტესტო აქციების გაძლიერებასაც აპირებენ. ისინი სასკოლო ოლქის შენობის დაკავებას და იქ შიმშილობის გამოცხადებას გეგმავენ. რაც შეეხება სასკოლო ოლქის ხელმძღვანელობის კომენტარს, ქეთევენ კიკნაძე აქციის მსვლელობისას თბილისში გახლდათ. მისი მოადგილე ხარაბაძე კი აქციის მონაწილეთა გამონათქვამებს კატეგორიულად არ ეთანხმება და ოლქის უმოქმედობას შესაბამისი ფუნქციების არქონით ხსნის.

აღნიშნული უფუნქციობის შედეგი კი საქართველოში განათლების დონის მკვეთრი დაცემაა. საერთაშორისო ექსპეტები ამაზე უკვე კარგა ხანია საუბრობენ. თუკი ამ ფაქტორს მასწავლებელთა დაბალ ხელფასსაც დავუმატებთ, საქართვლოს მომავალი თაობის აღზრდის საკითხი მთლად ნათელ ფერებში ვერ დაიხატება.

არაბული რაკურსი

## სიტყვები და ჭეშმარიტებები

პირველი გვერდიდან

ენასაც. აქედან გამომდინარე, ცნობილი ფრაზა – " ჭეშმარიტება ომის უპირველესი მსხვერპლია" - თავის პირვანდელ ცხოველმყოფელობას დღემდე ინარჩუნებს. ტერმინები, გამოთქმები თუ შედარებები საბოლოო მიზანს ისევე მსახურებენ, როგორც ავტომატები, რაკეტები და ყუმბარები, მათი მეშვეობით ამართლებენ საშუალებებს და გაურბიან დაკისრებულ პასუხისმგებლობას.

დღევანდელი ომიც, "ერაყის განმათავისუფლებელი აქცია", რომელიც ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა აღნიშნული ქვეყნის წინააღმდეგ მოკავშირეთა ძალების ან, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, "ნებაყოფლობით შექმნილი კოალიციის" მეშვეობით წამოიწყეს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და, კერძოდ, არაბულ სახელმწიფოებში სხვადასხვაგვარად ინათლება. მისი კლასიფიკაციისათვის განსხვავებულ ტერმინებსა და გამოთქმებს იყენებენ, დაწყებული იმ ლამის უფლის მოწყალების სადარი დეფინიციიდან, როგორიც გახლავთ "ერაყის განმათავისუფლებელი აქცია" და დამთავრებული "ერაყის საოკუპაციო აგრესიით", რომელსაც თავისუფლებასა და დემოკრატიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მეორე შემთხვევაში, გამუდმებით ისმის საზარელი სიტყვები: მტრობა, ახალი იმპერიალიზმი, კოლონიური ზრახვები და სხვა.

საგულისხმოა, რომ ამერიკის საინფორმაციო საშუალებები "ერაყში ომის", ხოლო არაბული მედია "ერაყის წინააღმდეგ ომის" შესახებ საუბრობენ. "ნიუ იორკ თაიმსსა" და მის მსგავს სხვა გაზეთებში დროდადრო გაკრთება ხოლმე შეფასება - "ერაყის დაპყრობითი ომი", მაშინ, როცა საინფორმაციო არხმა "ბი-ბი-სი"-მ თავისი ქვეყნის მთავრობის ლოზუნგი "ეროვნულ-განმათავისუფლებელი ოპერაცია" უკრიტიკოდ და უაპელაციოდ აიტაცა.

სხვათა შორის, 1991 წლის სპარსეთის ყურის ომმა მოგვცა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა, ვთქვათ, "უდაბნოს ქარიშხალი", "გონიერი ჭურვები", "დედაომი", "ოპერაცია კეთილდღეობის განმტკიცებისათვის" და ასე განსაჯეთ, "ახალი მსოფლიო წესრიგი", თუ "მასობრივი მოსპობის იარაღიც" კი მაშინდელია.

მაშინ რეგიონი მართლაც შეარყია სამხედრო ქარიშხალმა, თუმცა იმდროინდელი ბრძოლა ერაყის დღევანდელ ომთან შედარებით, დედ-მამით ობოლი ბავშვივით მოკრძალებულად გამოიყურებოდა. მას არ განუმტკიცებია, მაგალითად, ქურთთა კეთილდღეობა, და ასიდან სამოცდაათზე მეტი მაშინდელი ჭურვიც არც თუ ისე გონიერი ყოფილა; პირიქით, უგუნური და მეტისმეტად სისხლისმღვრელიც კი იყო.

იმ ომმა მართლაც დაამკვიდრა თანამედროვე სტანდარტები, მაგრამ ის, რაც ამ სტანდარტებს მოჰყვა, არც წესრიგი გახლდათ, არც მსოფლიოს მომცველი და, მით უფრო, არც ახალი.

ამერიკის დღევანდელმა ომმა კი ხელახლა მიგვაბრუნა ძველ სამხედრო შეხედულებებთან, ანუ ცნებასთან - "საჰაერო დარტყმა მტრის წინააღმდეგ", რომელიც ცნობილია, როგორც "შოკი და შიში". აღნიშნული სინტაგმა სტრატეგიული კვლევების ცნობილმა სპეციალისტმა ჰარლინ ულმანმა "ძველი აღთქმიდან" ისესხა 1996 წელს გამოცემული თავისი წიგნის სათაურად და იმ ერთგვარი ღვთიური სასჯელის აღსანიშნავად, რომელიც ყოველ ღვთის ურჩსა და უარმყოფს დაატყდება. სხვათა შორის, ეს ცნება ფაშისტური გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომში დამკვიდრებული "ელვისებური შეტევის" თავისებურ მოდიფიკაციას წარმოადგენს. ულმანის აზრით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ამერიკის მიერ, იაპონიის ორი - ქალაქის ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოყრილი ატომური ბომბები იყო "შოკისა და შიშის" ბიბლიური ცნების მკაფიო მაგალითი.

იმავე ულმანს თუ ვერწმუნებით, გამოდის, რომ ერაყის წინააღმდეგ დღევანდელი ომიც, რომელიც, ფაქტობრივად, ერაყის მთავრობის "თავის წაწყვეტის" მცდელობაა, ომის პირველივე დღიდან, ისევ იმ "დარტყმისა და გაცამტვერების" კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.

პასუხისმგებელ პირთა განცხადებით, შეტევა აუცილებელი იყო მიზანში ამოსაღებად შესაფერისი მომენტის გათვალისწინებით.

თავდაცვის მინისტრმა (რამდენად შესაფერისია ეს სახელი!) ერაყის დასაშინებლად ამერიკის არსენალის უდიდესი არაატომური ბომბის საცდელი აფეთქება მოითხოვა. ამ ბომბს არცთუ კეთილხმოვანი სახელწოდება აქვს; მაგრამ სამხედროებმა მას სახელი "გაუპრანჭეს" და მოფერებით "დედოჭურვი", ან " დედაბომბი" უწოდეს, რომლის მიზანიც, ვგონებ, სადამ ჰუსეინის "დედაჩიხში" შეყვანა უნდა ყოფილიყო.

ერაყელებს, ამერიკის აგრესიაზე თავდაპირველი გაღიზიანებული რეაქციებისას დიდი შემოქმედებითი უნარი არ გამოუმჟღავნებიათ და მომხვდურთ, უბრალოდ, "შეუგნებლებს" ანდა "უვიცებს " ეძახდნენ, მაგრამ მერე "უსასტიკესი ბრძოლის" მოწოდებით გამოვიდნენ, რომელიც, მართალია, ბევრად ჩამოუვარდება ამერიკელთა "დედა ომის" მგზნებარებას, მაგრამ სადამს ჯერ კიდევ აქვს დრო (თუმცა, ძალიან მცირე) ახალი გამოთქმებისა და ტერმინების შესაქმნელ-შესათხზველად; რათა მერე ეს ტერმინები თანამედროვე არაბული სამხედრო-პოლიტიკური ლექსიკონის ნაწილად იქცეს ისეთივე წარმატებით, როგორითაც უწინაც შეუტანია ამ საქმეში წვლილი "ძრწოლის მომგვრელ მეთაურს" - ერაყის პრეზიდენტს და აღნიშნული ლექსიკონი გაუმდიდრებია იმგვარი გამოთქმებით, როგორიცაა " სადამის უმწიკვლოება", "არაბთა მახვილი" და, ასე განსაჯეთ, "მოციქულის ბადიშიც" კი.

თავის მხრივ, ამერიკელებმაც ისესხეს ტერმინები საკუთარი წინა ომებიდან. მაგალითად, "ქირურგიული დარტყმები" - მხოლოდ სამხედრო სამიზნეებისა და არა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული იერიშების აღსანიშნავად, რომლებიც, თუკი დაიჭრებიან, ან დაიხოცებიან, ამერიკული ლექსიკონის თანახმად, "დამატებით მსხვერპლად" იქცევიან (სხვათა შორის, ეს ტერმინი ძალიან უყვართ ისრაელელებს და თავიანთი შეტევების შემდეგ მას ხშირად იყენებენ ხოლმე).

ამერიკელთა ზოგიერთი გამოთქმა, სადამ ჰუსეინის შემდეგ, ერაყის სახელმწიფოებრივ მომავალს შეეხება; თუმცა ეს გამოთქმები არაბთა ეროვნულ თავმოყვარეობას მტკივნეულად აღიზიანებენ, რადგან ისრაელის საოკუპაციო ლექსიკონიდან ნასესხები ჩანან. მაგალითად, საუბარი თავდაპირველი "სამხედრო საბჭოს" შესახებ, რომელსაც, წესით, ერაყის მთავრობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი "გარდამავალი პერიოდის" შემდგომ, "სამოქალაქო მმართველობა" უნდა მოჰყვეს.

გამოთქმა "დომინოს თეორიაც" კი, რომელიც ცივი ომის პერიოდის შავბნელ წლებში იყო გავრცელებული და რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ჩარევას ამართლებდა, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში კომუნიზმის გავრცელებისა და ამ ქვეყანათა დომინოს კოჭებივით ერთმანეთის მიყოლებით დამხობის აღკვეთის მიზნით, აღსდგა ისტორიის სამაროვნიდან და თავში მოექცა დღევანდელობას, რათა ერაყში ომის მერე დემოკრატიის ექსპორტი გაამართლოს, რისი მეოხებითაც ეს შუამდინარული ქვეყანა უნდა იქცეს თავისუფლებისა და საჯაროობის ისეთ ნიმუშად, რომელიც რეგიონის სხვა სახელმწიფოებშიც გავრცელდება და ამ ქვეყნებს ერთმანეთის მიყოლებით გააბამს დემოკრატიის კაკანათში.

სხვათა შორის, ვიეტნამის ომის დროს, რომელსაც ამერიკის თავდაცვის სამინისტრო ომად არც კი სცნობდა და ოფიციალურ დონეზე, "საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად" იხსენიებდა, პოლიტიკური ტერმინოლოგიის "გამომსახველობითობამ" დიდ და მანამდე არნახულ წარმატებებს მიაღწია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თუკი ამერიკის ჯარები საჰაერო შეტევისას, შეცდომით, სოფლებს დაბომბავდნენ და ამას უდანაშაულო სამოქალაქოთა მსხვერპლი მოჰყვებოდა, აღნიშნული შეტევა მარტივად ცხადდებოდა "სანავიგაციო შეცდომად". ზოგჯერ კი ეს იერიშები ისეთი სურრეალისტური სახელითაც ინათლებოდნენ, რომ რაიმე ნათელი აზრის გამოტანა ძნელი იყო. ვთქვათ, "რუტინული თავდაცვითი რეაქცია დროის შეზღუდულ მონაკვეთში".

ეს წარმატებული სიტყვაკაზმულობა ერთი არაჩვეულებრივი გამოთქმით დაგვირგვინდა, რომელსაც ვიეტნამის ომის პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან გამოთქმად მიიჩნევენ. "გულწრფელობის დეფიციტი" - ამ სინტაგმას იყენებდნენ ჟურნალისტები, მეცნიერები თუ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის, თავდაცვის მინისტრის რობერტ მაკნამარასა თუ მთავრობის იმ სხვა წევრების მისამართით, რომლებიც საკუთარ ხალხს ომის სინამდვილეს არაზუსტად, დამახინჯებულად და უკმარად აწვდიდნენ. ეს გამოთქმა, იმ დღიდან მოკიდებული, აღელვებს ამერიკის ყველა იმ პრეზიდენტს, ვინც კი სისხლიან ომებსა თუ შეტაკებებში შეიარაღებული ძალის გამოყენებას მოისურვებს. ხოლო თუ ერაყის ომი დიდხანს გაგრძელდა და ადამიანური და მატერიალური მსხვერპლი მოიტანა, ვერაფერს არგებს ჯორჯ ბუშს მტკიცებანი იმის თაობაზე, რომ ყველაფერი წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით მიდის; თუკი მის მთავრობასაც შეეყრება "გულწრფელობის დეფიციტის" სენი, რომელიც პრეზიდენტ ჯონსონისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა.

*გაზეთი "ალ - აჰრამი"*
*28.03.03.*

**არაბულიდან თარგმნა**
**გიორგი ლოგუაშვილი**

# სახმელეთო ომში შესვენებაა, საჰაერო ომი გრძელდება

შოთა უტიაშვილი




საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, ერაყის სამხრეთში განლაგებულმა მოკავშირეთა არმიის ქვედანაყოფებმა მიიღეს ბრძანება: მინიმუმ ორი კვირით შეაჩერონ შეტევა. ამასობაში საქმეს არტილერია და ავიაცია მოკიდებს ხელს. ბოლო დღეების მანძილზე ისინი ბაღდადის ირგვლივ განლაგებულ რესპუბლიკური გვარდიის დივიზიებს ინტენსიურად ბომბავენ.

"ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ჩვენ შეტევა მეტისმეტად მსუბუქი ძალებით დავიწყეთ,"- განუცხადა ფრონტზე მყოფი ქვედანაყოფის მეთაურმა თავის ჯარისკაცებს. "როიტერის" კორესპონდენტმა გაიგონა, როგორ უთხრა ოფიცერმა ჯარისკაცებს, რომ "შესვენება" შეიძლება 35-40 დღე გაგრძელდეს.

სხვა კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ცენტრალურ ერაყში განლაგებული ამერიკული ჯარები სანგრებს თხრიან და პოზიციებს ნაღმავენ. "როგორც ჩანს, ისინი ორი კვირის განმავლობაში მაინც აპირებენ იქ ყოფნას," – უთხრა ქვედანაყოფის ოფიცერმა კორესპონდენტს.

ექსპერტები და მასმედია, მოწინააღმდეგის ძალების შეუფასებლობისა და არასწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს პენტაგონს,. ბრალდებების საპასუხოდ, მოკავშირეთა ცენტრალური სარდლობის უფროსმა, ტონი ფრენკსმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა.

ფრენკსმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბაღდადზე თავდასხმა დროებით გადაიდო.

"ამ ინფორმაციას ერაყიდან ავრცელებენ, - განაცხადა ფრენკსმა, - საბრძოლო ოპერაციები გრძელდება ჩრდილოეთით, დასავლეთით და ბაღდადის გარშემო" (საყურადღებოა, რომ მას არ უხსენებია ყველაზე მნიშვნელოვანი - სამხრეთის მიმართულება).

კითხვაზე - ომი, რომელიც 11 დღის წინ დაიწყო, გაგრძელდება თუ არა ზაფხულამდე - ამერიკის ცენტრალური შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ ეს არავინ იცის.

"ჩვენ არ გვჭირდება ჩვენი თავისთვის იმის შეხსენება, რომ მივაღწევთ ზუსტად იმ შედეგს, რაც მიზნად დავისახეთ. რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, ეს არამარტო მისაღები, არამედ აუცილებელიცაა."

ბრიფინგზე ფრანკმა ასევე განაცხადა, რომ ტერორისტების ბანაკები ჩრდილოეთ ერაყში განადგურებულია.

გენერალს ამ ოპერაციის დეტალებზე არ უსაუბრია. ვაშინგტონი ჩრდილოეთ ერაყში განლაგებულ ალ-ისლამის დაჯგუფებას ქიმიური იარაღის დამზადებასა და ოსამა ბინ ლადენის ტერორისტული ორგანიზაციების ქსელის მხარდაჭერაში ადანაშაულებს.

ომში შექმნილ პაუზას და მასთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებს ბრიტანეთის ხელისუფლებამაც გაუკეთა კომენტარი. "ამერიკისა და ბრიტანეთის ძალებში მცირედი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა, ომი გეგმის მიხედვით მიდის," - განაცხადა გუშინ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მაიკლ ო`ბრაიენმა.

კონფლიქტის შემდგომი ეტაპისათვის მოსამზადებლად ჯარებში რეორგანიზაცია დაიწყო. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. განუცხადა მან "ბი-ბი-სი"-ს, თუმცა, რა სახის რეორგანიზაციაზეა საუბარი, არ დაუზუსტებია.

იგი აცხადებს, რომ რეორგანიზაცია წარუმატებლობებით არ არის გამოწვეული. მისი თქმით ამერიკულმა და ბრიტანულმა ჯარებმა მიაღწიეს თითქმის იმდენს, რაც გეგმის მიხედვით იყო გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ოფიცერმა აღიარა, რომ მათ ერაყელი ჯარისკაცებისაგან უფრო მეტი წინააღმდეგობა შეხვდათ, ვიდრე მოელოდნენ და რომ მათ მცირერიცხოვანი ჯარით დაიწყეს ბრძოლა. ო`ბრაიენმა განაცხადა, რომ ბრიტანეთი ერაყში დამატებითი ძალების გაგზავნას არ აპირებს.

"ჩვენ იქ იმდენი ჯარისკაცი გვყავს, რამდენიც საჭიროა და არ ვაპირებთ მათი რიცხვის გაზრდას."

ერაყის ომში ბრიტანელთა 45 000–იანი ჯარი იღებს მონაწილეობას. ამერიკელმა სამხედროებმა კი რამდენიმე დღის წინ განაცხადეს, რომ კონფლიქტის ზონაში ისინი დამატებით 100 000 ჯარისკაცის გაგზავნას აპირებენ.

დამატებითი ამერიკული ჯარები უკვე მიდიან ბრძოლის ველისაკენ. მეოთხე დივიზია, რომელიც თავდაპირველი გეგმის მიხედვით, ერაყში ჩრდილოეთიდან - თურქეთის ტერიტორიიდან უნდა შესულიყო, ქუვეითისაკენ მიიწევს.

შესაძლო ცვლილებებზე აშშ გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარე, გენერალი მაიერსიც საუბრობს.

"ჩვენ გვაქვს დრო საამისოდ, რომ შევცვალოთ პირობები ბრძოლის ველზე, იქნება ეს ბაღდადის ირგვლივ, თუ თავად ბაღდადში". კომენტატორების ცნობით, პირობების შეცვლაში,პირველ რიგში, შეიარაღებული ძალების ის დამატებითი კონტინგენტი იგულისხმება, რომელიც ერაყს უახლოეს რამდენიმე კვირაში მიაღწევს.

საარტილერიო შეტევები გააქტიურდა, სწრაფად მიმდინარეობს ჩრდილოეთში დესანტის გადასხმაც, სპეცდანიშნულების ჯარები დასავლეთში წარმატებით მოქმედებენ, მაგრამ ომის მთავარ თეატრში – სამხრეთის ფრონტზე კვლავინდებურად სიმშვიდეა.

ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა მომარაგება კვლავ პრობლემას წარმოადგენს. ქუვეითიდან ფრონტის ხაზამდე 350 კილომეტრია. ალალს მუდმივად თავს ესხმიან პარტიზანები. პრობლემები შეიქმნა მეგობრულად განწყობილ ქუვეითშიც კი, სადაც სატვირთო მანქანამ ამერიკელ ჯარისკაცებს გადაუარა.

ქუვეითში, ამერიკელების სამხედრო ბაზაზე, სამხედრო საწყობის წინ მდგომ ამერიკელი სამხედროების ჯგუფში თავდამსხმელი სატვირთო ავტომანქანით შეიჭრა.

ამ ინციდენტის დეტალები, რომელიც ქუვეითის ჩრდილოეთით განლაგებულ უდაირის ბანაკში მოხდა, უცნობია. თუმცა, ბანაკში მყოფი ერთ-ერთი მუშა აცხადებს, რომ მან სროლის ხმა გაიგონა და დაინახა, იმ ადგილას სასწრაფო მანქანა როგორ მივიდა.

პენტაგონის მიერ გავრცელებული წინასწარი ინფორმაციით, შეტაკების დროს 10-15 ამერიკელი სამხედრო დაიჭრა, დაიჭრა თავდამსხმელი და მისი თანამზრახველიც. ისინი ჰოსპიტალში სასწრაფო მანქანით გადაიყვანეს.

"სამხედროები ყვიროდნენ და ქალები კიოდნენ, – განაცხადა მუშამ, - შემდეგ სამხედრო ბაზა უშიშროების ძალებმა ალყაში მოაქციეს."

ეს თავდასხმა პირველი იყო მას შემდეგ, რაც ამ თვის დასაწყისში ქუვეითში განლაგებულ ამერიკის ბაზაზე ღამით ხელყუმბარები ისროლეს, რის შედეგადაც ორი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. ამ ინციდენტთან კავშირის გამო, მაშინ ერთი ამერიკელი სამხედროც დააკავეს.

ერაყის ომში ქუვეითი ამერიკელი და ბრიტანელი სამხედროებისთვის მთავარი ფორპოსტია. ის ამ ორი ქვეყნიდან ათასობით მოსამსახურე პერსონალს მასპინძლობს.

მოკავშირეთა ჯარებმა ორი ერაყელი გენერალი ჩაიგდეს ტყვედ. ერთი მათგანი ბრიტანელებმა ბასრასთან დააკავეს, მეორე კი დასავლეთ ერაყში მოქმედმა ამერიკულმა სპეცრაზმებმა შეიპყრეს.

კვირას ამერიკული 155 მმ-იანი მძიმე ჰაუბიცები ინტენსიურად ბომბავდნენ ერაყელების პოზიციებს ნაჯაფსა და ქარბალაში. ამერიკელი ჯარისკაცები ევფრატზე გადებული ხიდების ხელში ჩასაგდებად იბრძვიან.

ინტენსიური ბრძოლები გრძელდება ნასირიასთან, გუშინ მოკავშირეთა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს მდინარე ევფრატის სამხრეთი ნაპირი. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, ისინი სათითაოდ ყოველ სახლს ჩხრეკენ.

ერაყი კოალიციის ჯარისკაცებს გაცილებით უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევს, ვიდრე მოსალოდნელი იყო. თვით სადამის მოწინააღმდეგე ქალაქებიც, მაგალითად - ბასრა, მოკავშირეებს არ ნებდება. როგორც ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროსთან დაახლოებული წყაროები ამტკიცებენ, ვაშინგტონმა ერაყის არარეგულარული რაზმების საბრძოლო პოტენციალი სრულად ვერ შეაფასა.

ბასრის ირგვლივ განლაგებული ბრიტანული ძალები ერაყულ გასამხედროებულ დაჯგუფებებთან ბრძოლას აგრძელებენ, მაგრამ ქალაქში შესვლას კვლავინდებურად ვერ ახერხებენ. ერაყი აცხადებს, რომ ბასრასთან მათ ორი "აპაჩი" ჩამოაგდეს, პენტაგონი დანაკარგებს უარყოფს.

ბრიტანულმა ჯარებმა ვერ შეძლეს შეეჩერებინათ რამდენიმე ასეული ერაყელი, რომელიც ქალაქში შეღწევას ცდილობდა, რათა ნათესავებისათვის საჭმელი შეეტანა.

ბაღდადის თავზე კი საჰაერო თავდასხმები არ წყდება. უკვე მეორე დღეა, გრძელდება დაბომბვა, რომელიც ომის დაწყებიდან ყველაზე უფრო ინტენსიურია. ბომბები და რაკეტები, ძირითადად ქალაქის შემოგარენში ფეთქდება. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ზოგიერთი აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მთელ ქალაქს აზანზარებდა.

პენტაგონის განცხადებით, დაიბომბა სადამის ფაედინების (ქართულად - შეწირულნი) საწვრთნელი ბაზა, პრეზიდენტის სასახლე, სადაზვერვო სამსახურის შტაბ-ბინა და საზენიტო იარაღის დისლოკაციის ადგილები.

გუშინ, ერაყელი კამიკაძის მიერ ოთხი ამერიკელი ჯარისკაცის მოკვლაზე ბაღდადმა პირველი კომენტარი გააკეთა. "მტრის მოკვლის ნებისმიერი მეთოდი მისაღებია," – განაცხადა ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა რამადანმა. ერაყის ხელისუფლება აცხადებს, რომ თითოეული კამიკაძის ოჯახს კომპენსაციის სახით 100 მილიონ დინარს (35 ათასი დოლარი) გადაუხდის. ერაყის არმიის პრესმდივანმა განაცხადა, რომ ბაღდადს კიდევ 4000 წამებული ჰყავს.

მას შემდეგ, რაც ერაყელმა ოფიცერმა თავი აიფეთქა და ოთხი ამერიკელი სამხედრო მოკლა, მოკავშირეები სიფრთხილის განსაკუთრებულ ზომებს იღებენ.

აშშ ჯარების სარდლობის ცნობით, გუშინ ორი საზღვაო ქვეითი დაიღუპა. ერთს ბრძოლის დროს საკუთარი არმიის ყველგანმავალი დაეჯახა, მეორე კი წყალში დაიხრჩო. დღემდე მოკლულია 36 ამერიკელი ჯარისკაცი, დაიჭრა 104, რამდენიმე ტყვედ ჩავარდა და 17 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ოფიციალური მონაცემებით, ბრიტანელებმა 23 კაცი დაკარგეს, მათგან მხოლოდ ოთხი დაიღუპა ბრძოლის დროს, დანარჩენი - უბედური შემთხვევების მსხვერპლი გახდა.

ამასობაში, აშკარა ხდება - მოკავშირეთა იმედი, რომ ერაყელები მასობრივად გადავიდოდნენ კოალიციის მხარეს, არ მართლდება. "ერაყელებს არ გვიყვარს უცხოელები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იარაღით ხელში მოდიან. ისინი ამბობენ, რომ ჩვენი მთავრობის შეცვლა სურთ, მაგრამ მე მგონი, მათ ჩვენი ნავთობი უნდათ," – განუცხადა "როიტერს" ადგილობრივმა მცხოვრებმა

მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი აზრი ინგლისსა და ამერიკაში აშკარად მხარს უჭერს ომს, სხვა ქვეყნებში ომის საწინააღმდეგო უზარმაზარი დემონსტრაციები იმართება. კვირას 100 ათასი კაცი გამოვიდა ჯაკარტას ქუჩებში. დელიში გამართულ დემონსტრაციაში 150 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

იცვლება საზოგადოებრივი აზრი კოალიციის წევრ ქვეყნებშიც. ამჯერად პრობლემები ესპანეთის პრემიერს, აზნარს შეექმნა. ათი გამოკითხული ესპანელიდან 9 ეწინააღმდეგება ესპანეთის პრემიერ მინისტრის ხოსე მარია აზნარის პოზიციას ერაყის ომთან დაკავშირებით. ამის გამო, ოპოზიციურმა სოციალისტურმა პარტიამ თავისი პოზიციები მნიშვნელოვნად გაიმყარა.

მუნიციპალურ არჩევნებამდე, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს, მხოლოდ ორი თვე დარჩა, ესპანეთის ორი გავლენიანი გაზეთის - ელ-პაისისა და ელ-მუნდოს გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი სოციალისტების უპირატესობა, აზნარის მემარჯვენე ცენტრისტულ სახალხო პარტიასთან შედარებით, ძალიან გაიზარდა.

პოლიტოლოგები შიშობენ, რომ თუ ერაყის ომი მართლაც რამდენიმე თვე გაიწელა, კოალიციის წევრ სხვა ქვეყნებში, მათ შორის – დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაშიც იგივე შეიძლება მოხდეს.

# ერაყის ომმა ამერიკის პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს შორის განხეთქილება წარმოშვა

რევაზ ბახტაძე

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა რამდენჯერმე უარყო პენტაგონელი სტრატეგოსების რჩევა, რომელიც ერაყში მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებითი ჯარისკაცებისა და მძიმე ტექნიკის გაგზავნას ითვალისწინებდა, - იუწყება "ნიუ-იორკერი".

ავტორიტეტული ჟურნალის ინფორმაციით, კონფლიქტის დაწყებამდე რამსფელდმა სულ მცირე ექვსჯერ მაინც მოითხოვა, რომ ომში გასაგზავნ ჯარისკაცთა რაოდენობა შეემცირებინათ, რასაც მიაღწია კიდეც.

ჟურნალს ანონიმი პენტაგონელი მგეგმავის სიტყვები მოჰყავს, რომლის თქმით, "ის (რამსფელდი) დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ყველაზე უკეთ იცოდა. ყველა ეტაპზე სწორედ ის იღებდა გადაწყვეტილებას".

ომი პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს შორის განხეთქილებას ხშირად იწვევს. თუმცა, ერაყში მიმდინარე ამერიკული კამპანიის შემთხვევაში, ამგვარი სიტუაცია ძალიან მალე, ომის დაწყებიდან ერთ კვირაში წარმოიქმნა.

აღნიშნული წყაროს ინფორმაციით, რამსფელდმა ყური არ უგდო სარდალ ტომი ფრენკსის რჩევას, რომელიც ერაყში შეჭრის გადადებას მოითხოვდა მანამ, სანამ თურქეთთან ურთიერთობა საბოლოოდ არ გაირკვეოდა. თურქეთთან შეუთანხმებლობის გამო, ერაყში ჩრდილოეთის ფრონტის გახსნა, პრაქტიკულად, დღემდე ვერ მოხერხდა. დონალდ რამსფელდსავე აბრალებენ ერაყელების მოსალოდნელი წინააღმდეგობის არასათანადოდ შეფასებას.

ცნობილია, რომ რამსფელდს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს არმიის მაღალ ეშელონებთან, თუმცა, მას ძალიან ენდობიან აშშ-ს სპეცდანიშნულების ძალები, რომლებიც ერაყის ომში საკვანძო როლს ასრულებენ.

არმიასთან უთანხმოება, ძირითადად, იმან გამოიწვია, რომ რამსფელდი პენტაგონში სრულიად ახალი ხედვით მოვიდა. მოსვლისთანავე მან არმიის ფუნდამენტური ტრანსფორმაციის დაწყების შესახებ განაცხადა, რაც უფრო მცირერიცხოვან, უფრო მობილურ და უფრო მსუბუქად შეიარაღებულ ქვედანაყოფებზე გადასვლას გულისხმობდა. რამსფელდი და მასთან დაახლოებული რეფორმატორები ფიქრობდნენ, რომ მომავლის ომები, ძირითადად, ანტიტერორისტული, ასიმეტრიული კონფლიქტები იქნებოდა, რომელშიც მძიმე ტექნიკას, ტანკებსა და არტილერიას მინიმალური როლი მიენიჭებოდა. ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად ერაყის კამპანიასაც, რასაც ბევრი მძიმე შეცდომად მიიჩნევს.

"როიტერის" ცნობით, სამხედრო ექსპერტები ბრალს სდებენ რამსფელდს იმაში, რომ იგი ულტრათანამედროვე თეორიებით მეტისმეტად გაერთო და ომის წარმოების ძველ და ნაცად მეთოდებზე უარი თქვა.

"ერაყელებს არანაირი რესურსები არ გააჩნიათ, - გაიძახოდა რამსფელდი. ის მთლიანად კონცენტრირებული იყო იმის მტკიცებაზე, რომ ერაყელები ძალიან მალე დანებდებოდნენ", - "ნიუ-იორკერი" ამჯერად დაზვერვის მაღალი თანამდებობის პირის სიტყვებს იმოწმებს.

პენტაგონის წარმომადგენელმა "ნიუ-იორკერის" სტატიის კომენტირებაზე უარი განაცხადა.

რამსფელდის მტკიცებით, ომის დაწყებიდან უკვე 10 დღე გავიდა და სამხედრო ოპერაციები კარგი ტემპით მიმდინარეობს: სახმელეთო ძალები ბაღდადიდან 80 კილომეტრში იმყოფებიან იმის მიუხედავად, რომ არმიის მომარაგების ხაზზე პარტიზანულმა თავდასხმებმა რეგულარული ხასიათი მიიღო.

თუმცა, "ნიუ-იორკერის" ჟურნალისტს სიმურ ჰერშს სადაზვერვო უწყების ანონიმი თანამშრომლის სიტყვები მოჰყავს - რომ საომარი მოქმედებები ამჟამად ჩიხშია.

აღნიშნული სტატიის თანახმად, ბომბდამშენებს ზუსტი დამიზნების ბომბების მარაგი ეწურებათ, ამას გარდა, ტანკების, ჯავშანტექნიკისა და სხვა აღჭურვილობის შენახვის სერიოზული პრობლემები შეიქმნა.

"იმედია, რომ კოალიციის ჯარისკაცები მანამდე შეძლებენ პოზიციების შენარჩუნებას, სანამ დახმარება მოვა", - აღნიშნავს ერთ-ერთი გადამდგარი ოფიცერი.

პენტაგონის ერთ-ერთი სტრატეგოსის თქმით, რამსფელდს "ომის იაფად მოგება სურდა" და დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვებას ზუსტი დაბომბვა მოუტანდა.



დონალდ რამსფელდი.

REUTERS


სახმელეთო ძალები ბაღდადიდან 80 კილომეტრში იმყოფებიან.

REUTERS

ერაყში მყოფი ამერიკული არმიის მაღალი თანამდებობის პირების თქმით, მათ, ფაქტობრივად, ომის ხელახლა დაწყება ესაჭიროებათ, ამიტომ, მცირე ხნით ომის ინტენსიური ფაზა უნდა შეწყვიტონ. მათი აზრით, ერაყის რესპუბლიკურ გვარდიაზე გადამწყვეტი სახმელეთო იერიშის მიტანამდე მათ მომარაგების ხაზის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყონ.

ზოგიერთი გათვლებით, ომი, შესაძლოა, ზაფხულამდეც გაგრძელდეს. საომარი ტაქტიკისა და სტრატეგიის რევიზია, რომელიც ბლიცკრიგზე უარის თქმას გულისხმობს, ბუშის ადმინისტრაციის გეგმებს - ერაყში ორი კვირის ვადაში ტრიუმფის მიღწევას - აშკარად ეწინააღმდეგება. ომის რამდენიმე თვით გაგრძელება შეერთებულ შტატებს მთელ ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოში პრობლემებს შეუქმნის: აშშ-ს სამხედრო უძლეველობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. "რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ომი, მით უფრო მეტი მსურველი სახელმწიფო გამოჩნდება რეგიონში, რომ ჩვენს ინტერესებს დაემუქროს", - "ვაშინგტონ პოსტთან" საუბრისას აღნიშნა გლობალური უსაფრთხოების ექსპერტმა, არმიის გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ენდრიუ კრეპინევიჩმა.

ამჟამად, ერაყში 125 000 ამერიკელი და ბრიტანელი ქვეითი ჯარისკაცი იმყოფება. გასულ ხუთშაბათს პენტაგონმა განაცხადა, რომ აპრილის ბოლოსათვის იქ დამატებით 100 000 ჯარისკაცის გაგზავნას აპირებენ. მისი უდიდებულესობის მთავრობაც დამატებითი ძალების გადასროლაზე საუბრობს.

ერაყში აშშ-ს არმიის ორ დივიზიას მალე მესამეც შეუერთდება, რომლის ერთადერთი მიზანი ქუვეითიდან ერაყის ქალაქ ნაჯაფამდე მომარაგების ხაზის დაცვა იქნება. ამის გარდა, ერაყში განლაგდება "ძველი, ტრადიციული არმიის სიამაყე" - მძიმედშეიარაღებული მეოთხე დივიზია.

არადა, დღემდე ერაყის შეიარაღებული ძალების საუკეთესო ნაწილები - რესპუბლიკური არმია და სპეციალური რესპუბლიკური გვარდია ფართომასშტაბიან ბრძოლებში არ ჩართულან.

საველე მეთაურები ომის გაგრძელების გაცილებით ტრადიციულ მეთოდებს განიხილავენ, რომელიც 1991 წლის ომის მაგვარი იქნება: ჯერ მტრის პოზიციების მასირებული საჰაერო დაბომბვა, შემდეგ - სახმელეთო შეტევა.

ამასობაში, პენტაგონი თავს იცავს. ვაშინგტონში მყოფი მაღალჩინოსნები ამტკიცებენ, რომ ათდღიანი ბრძოლების შედეგად, კოალიციამ ომში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მათი თქმით, ომის დაწყებამდე სტრატეგოსები ფიქრობდნენ, რომ ბაღდადთან მიახლოებას 47 დღე მაინც დასჭირდებოდა, მაშინ როდესაც ამერიკულ ჯარებს ერაყის დედაქალაქიდან უკვე მხოლოდ 80 კილომეტრი აშორებს. რაც ყველაზე მთავარია, ერაყის ნავთობის საბადოები მთლიანად დაცულია. ამას გარდა, კოალიციამ საშუალება არ მისცა სადამ ჰუსეინს, რომ ქიმიური იარაღი გამოეყენებინა. ამერიკელთა მხრიდან არსებული დანაკარგები კი, მართალია, მტკივნეულია, მაგრამ ფართომასშტაბიანი ომის სტანდარტებით, მაინც უმნიშვნელოა.

რამსფელდმა საჰაერო კამპანიის გაფართოების შესაძლებლობა პარასკევს კატეგორიულად უარყო. "ჩვენ არ გვსურს, რომ ათასობით უდანაშაულო სამოქალაქო პირი მოვკლათ იმისათვის, რომ სადამ ჰუსეინი ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ", - განაცხადა მან პენტაგონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ამერიკული პრესა იუწყება, რომ გუშინ კემპ დევიდში გამართულ შეხვედრაზე, ბუშმა მხარი დაუჭირა რამსფელდის მოსაზრებას, რომ აუცილებელია სახმელეთო შეტევისათვის გადაუდებელი მომზადება, რომლის პარალელურად ერაყში დამატებითი ძალები ჩავლენ.

მიმომხილველების აზრით, რამსფელდს და მის გუნდს სასიცოცხლოდ ესაჭიროებათ ერაყში ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვების მიღწევა მაინც, რათა თეთრი სახლის სიტყვებში - რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის - ამერიკელი მოქალაქეების დარწმუნება შეძლონ. ამდენად, უახლოესი დღეების განმავლობაში სამხედრო კამპანიის ინტენსივობა არ შემცირდება, - ამბობენ ექსპერტები.

# ირანი ამერიკის გაფრთხილებას პროპაგანდას უწოდებს

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, ირანმა შეერთებული შტატების გაფრთხილებას პროპაგანდა უწოდა. ორი დღის წინ ვაშინგტონმა ირანს მოუწოდა - ერაყის ომში არ ჩაერთოს.

ირანში მყოფმა ერაყული ოპოზიციის ერთ-ერთმა დაჯგუფებამ განაცხადა, რომ მათ ერაყის პრეზიდენტის ჩამოსაგდებად არავის ნებართვა არ სჭირდებათ.

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ, თუ ერაყში ირანელთა "მხარდაჭერით შეიარაღებული" ჯგუფები აშშ-ს არმიას ხელს შეუშლიან, მათ ომში მონაწილე ერთ-ერთ მხარედ განიხილავენ.

რამსფელდს მხედველობაში ჰქონდა ე.წ. "ბადრის ბრიგადები", თეირანში არსებული ერაყის ისლამური რევოლუციის უზენაესი საბჭოს შეიარაღებული ფრთა, რომელიც გამოძევებული შიიტი ერაყელებით არის დაკომპლექტებული. სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომის დაწყების შემდეგ, უზენაესი საბჭოს შეიარაღებულმა ძალებმა ერაყის საზღვართან კონცენტრირება დაიწყეს.

ირანის მთავრობის წარმომადგენელმა აბდულა რამაზანზადემ რამსფელდის განცხადებები უარყო.

"ბადრის ბრიგადის" გადაწყვეტილებებს ირანთან არანაირი კავშირი არ აქვს, ისინი დამოუკიდებლები არიან, ისევე როგორც ნებისმიერი ერაყული ოპოზიციური დაჯგუფება", - განუცხადა მან "როიტერს".

"რამსფელდი პროპაგანდას აწარმოებს, რათა ომში მიღწეული უმნიშვნელო წარმატება გაამართლოს. მისი ნათქვამის უკან არანაირი ლოგიკა არ ჩანს", - დასძინა მან.

მთავრობის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ ირანი ერაყში მიმდინარე ომის მიმართ ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებს.

"ჩვენ ამ უაზრო ომში არც ერთი მხრის სასარგებლოდ არ ჩავებმებით", - დასძინა მან.

ირანელებს სადამი სძულთ, რადგან 1980-1988 წლებში მიმდინარე ირანერაყის ომში ირანელი ჯარისკაცების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ სწორედ ჰუსეინმა გასცა ბრძანება.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანს დიპლომატიური ურთიერთობები არც შეერთებულ შტატებთან არ აქვს. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც გასულ წელს ჯორჯ ბუშმა ირანი, ჩრდილოეთ კორეასა და ერაყთან ერთად, "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორის მოიხსენია.


ბაღდადი სახმელეთო შეტევისთვის ემზადება.

REUTERS

როგორც ჩანს, ირანში მცხოვრები ერაყელები ამერიკელთა "რჩევის" გათვალისწინებას არ აპირებენ. "ვერ ვხედავთ იმის აუცილებლობას, რომ ჩვენი ქვეყნის მჩაგვრელი რეჟიმის ჩამოსაგდებად თანხმობა ამერიკელებს ვთხოვოთ", - აღნიშნა მოხსენ ჰაკიმმა, ერაყის ისლამური რევოლუციის უზენაესი საბჭოს ლიდერმა "როიტერთან" საუბრისას.

მოხსენ ჰაკიმის თქმით, უზენაეს საბჭოს "ნამდვილად აქვს უფლება, ერაყელი ხალხის ინტერესებისათვის იბრძოლოს".

"ბადრის ბრიგადა ერაყელი ხალხის ბავშვებსაც აერთიანებს. ის 20 წელია, რაც ერაყის მმართველი რეჟიმის ჩამოსაგდებად იბრძვის", - განაცხადა მან.

მისი თქმით, ერაყში და მისი საზღვრის სიახლოვეს უზენაეს საბჭოს ათიათასობით მებრძოლი ჰყავს.

უზენაესი საბჭოს უმაღლესმა ლიდერმა აიათოლა მოჰამად ბაქირ ჰაქიმმა კვირის დასაწყისში თეირანში განაცხადა, რომ, თუ სადამის გადაგდების შემდეგ ამერიკელები იქ დარჩებიან, შეერთებულ შტატებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევენ.


ებრაელები დახმარებისთვის ამერიკელ სამხედროებსაც მიმართავენ.

REUTERS

# რობინ კუკი ომის შეწყვეტას მოითხოვს

*ტონი ბლერის კაბინეტის გადამდგარმა წევრმა, რობინ კუკმა, ერაყში მიმდინარე ომი გააკრიტიკა და ტონი ბლერს ბრიტანული ჯარების უკან გამოწვევისაკენ მოუწოდა*

რევაზ ბახტაძე

რობინ კუკმა, რომელმაც ერაყის ომში ბრიტანული ჯარების მონაწილეობის გამო, თემთა პალატის ლიდერის პოსტი დატოვა, მიმდინარე კამპანიას "სისხლიანი და უსარგებლო" უწოდა.

კუკის აზრით, ბრიტანეთი და შეერთებული შტატები წარმოებული კამპანიის შედეგად, არაბულ და მუსლიმურ სამყაროში დასავლეთისადმი ზიზღს გააღვივებენ.

დაუნინგ სტრიტზე რობინ კუკის განცხადებებს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ბრიტანეთის ხელისუფლების თქმით, კუკის შეხედულება მთავრობისათვის კარგად არის ცნობილი.

კუკი ლეიბორისტული მინისტრთა კაბინეტის იმ ათ წევრს შორის იყო, რომლებმაც ომის დაწყების გამო თანამდებობები დატოვეს.

რობინ კუკის მიერ "სანდეი მირორში" გუშინ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა არ იციან, ახლა რა მოიმოქმედონ, რადგან მათი იმედები ერაყის სწრაფი კაპიტულაციის თაობაზე არ გამართლდა.

როგორც ჩანს, ისინი ბაღდადის დიდი ხნით ალყაში მოქცევას გეგმავენ, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეთა მსხვერპლს გაზრდის, - აღნიშნავს კუკი.

"მე მინდა, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები სახლებში დაბრუნდნენ, ვიდრე კიდევ უფრო მეტი მოკვდებოდეს", - ნათქვამია სტატიაში.

კუკის თქმით, ბუში "კემპ დევიდში კომფორტულად გრძნობს თავს" მაშინ, როდესაც კოალიციის ძალები "უსარგებლო და ცუდად დაგეგმილ" ომში სიცოცხლეს წირავენ.

"ადვილია იმის დემონსტრირება, რომ მტკიცე გადაწყვეტილება გაქვს მიღებული - ომი გამარჯვებამდე აწარმოო, როდესაც ქვიშის ქარიშხალში მოხვედრილთა შორის არ იმყოფები", - წერს ყოფილი მინისტრი. ბრიტანელი ჯარისკაცების ნაცვლად, "რამსფელდი და ბუში გავგზავნოთ", - სთავაზობს კოალიციას კუკი.

კუკის აზრით, კოალიციამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც ომი იმის იმედით დაიწყო, რომ მტრის ჯარი მოკავშირეთა მხარეს გადმოვიდოდა. ეს კი, რეალურად, არ მომხდარა.

დაუნინგ სტრიტმა, კუკის წერილის პასუხად, გაავრცელა განცხადება, რომ სამხედრო კამპანიის შედეგებს მალე ყველა დაინახავს: სადამი აღარ იქნება, ხოლო მსოფლიო მასობრივი განადგურების იარაღით შანტაჟს გადაურჩება.

"ბი-ბი-სი-ს" ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მოჰყავს: ბრიტანელთა 84 პროცენტი ახლა ომის გაგრძელების მომხრეა, სანამ კოალიცია თავის მიზნებს არ მიაღწევს.

"აისიემ რისერჩის" მირ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად კი, გამოკითხული 510 რესპოდენტიდან მხოლოდ 11 პროცენტი მიიჩნევს, რომ ჯარები დაუყოვნებლივ უნდა გამოიყვანონ ერაყიდან.

# ტერაქტი ისრაელში

კამიკაძე-ტერორისტის მიერ ისრაელის ქალაქ ნეთანიაში თავის აფეთქების შედეგად 20 კაცი დაშავდა.

აფეთქება ქალაქის ცენტრში, კაფეს წინ მოხდა. პასუხისმგებლობა ტერაქტზე ჯერ არავის აუღია.

ჯერ-ჯერობით თავად ტერორისტის გარდა, არავინ დაღუპულა, მაგრამ, როგორც ისრაელის რადიო იუწყება, სამი დაჭრილი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება.

თვითმხილველთა თქმით, მათ დაინახეს, როგორ ცდილობდა ტერორისტი ნეთანიას ცენტრში მდებარე კაფე "ლონდონში" შესულიყო. დაცვამ იგი არ შეუშვა. შემდეგ, კამიკაძემ თავი აიფეთქა. ეს, დაახლოებით, დღის პირველ საათზე მოხდა.

ნეთანია, რომელიც თელ-ავივიდან 50 კილომეტრითაა დაშორებული, ტერორისტების ხშირი სამიზნეა. ისრაელში ბოლო წლების ყველაზე მსხვილი ტერაქტი სწორედ აქ მოხდა. მაშინ, ებრაული დღესასწაულის აღსანიშნავად სასტუმროს დარბაზში შეკრებილი 29 ადამიანი მოკლეს.

წინასწარი ინფორმაციით, სავარაუდოა, რომ გუშინდელი ტერაქტი "ჰამასის" მიერ იყოს ორგანიზებული.

*ბი-ბი-სი*

## ახალ საგადასახადო კოდექსს ერთ თვეში განიხილავენ

საქართველოს ახალ საგადასახადო კოდექსს, პარლამენტში მეორე მოსმენით განხილვისათვის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან შემდგარი ერთობლივი სამუშაო ჯგუფი მოამზადებს. პარლამენტმა ამ ჯგუფის შესაქმნელად საგანგებო დადგენილება მიიღო და მის ხელმძღვანელად კი ფრაქცია "მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე დანიშნა.

სამუშაო ჯგუფმა კოდექსის ახალი ვარიანტი საკანონმდებლო ორგანოს ერთ თვეში, სავარაუდოდ, მაისის დასაწყისში უნდა წარუდგინოს.

როგორც ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, ჯგუფის წევრები მზად არიან, კოდექსით დაინტერესებულ ყველა პირთან ითანამშრომლონ და მუშაობის პროცესში შენიშვნები მოისმინონ. კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის კოდექსის ერთ-ერთი ავტორი, ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი, ნიკო ორველაშვილიც მზადყოფნას გამოთქვამს. მისი აზრით, **"ახალი საგადასახადო კოდექსი პოლიტიკური გარიგებების საგნად არ უნდა იქცეს და ყველა ძალისათვის ერთნაირად მისაღები უნდა იყოს".**

*ინტერ-პრესი*

## "კავკასიონზე" დივერსიები ისევ მოდაშია

*გუშინ საქართველო-რუსეთის მაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" დივერსანტებმა ააფეთქეს. ხაზის გათიშვას თბილსრესის მესამე ენერგობლოკის გამორთვაც დაემატა და, შედეგად, საქართველოს ენერგოსისტემა ისევ "ნულზე დაჯდა". მარტივად რომ ვთქვათ, გუშინ დილიდან ქვეყანაში დენი საერთოდ არ იყო.*

მაია ურუშაძე

"კავკასიონის" დაზიანებისთანავე სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი თბილსრესის მოძველებული ბლოკის მწყობრიდან გამოსვლა არავის გაკვირვებია — ის სასწრაფოდ შეაკეთეს და შეუდგნენ ჩართვას. ავარიის მთავარი მიზეზი - "კავკასიონზე" მოწყობილი დივერსია კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოთარეშე დივერსანტებს დაბრალდათ. "საქრუსენერგოში" აღნიშნავენ, რომ სამი დანაღმული ანძიდან მხოლოდ ერთი აფეთქდა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დანაღმულ-აფეთქებული ანძების სანახავად გუშინ, ჩვეულებისამებრ, პირადად გაემგზავრა იმპიჩმენტს ახლად გადარჩენილი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ვიზიტები ამ ბოლო დროს, მინიმუმ, თვეში ერთხელ ხდება საჭირო, "კავკასიონზე" მოწყობილ დივერსიებს ბოლო არ უჩანს: ამ ხაზზე ბოლო ავარიის ლიკვიდაცია სულ რაღაც ერთი კვირის წინ დასრულდა, ხაზი კი მწყობრში ხუთი დღის წინ ჩადგა.

ამჟამად ხაზის აღსადგენად "საქრუსენერგოს" ათი დღე მაინც დასჭირდება. ამ ვადას, ერთის მხრივ, ისიც ახანგრძლივებს, რომ ავარია აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა, რაც სარემონტო ბრიგადების მუშაობას გაართულებს. მეორეს მხრივ კი, სანამ ხაზის აღდგენა დაიწყება, ჯერ მისი განაღმვა და უსაფრთხოების ზომების მიღებაა საჭირო, რისთვისაც საქმეში სამხედროები უნდა ჩაერთონ. მანამდე კი, "ეი-ი-ეს თელასს" თბილისში მკაცრი გრაფიკების დაცვა მოუწევს, ხოლო რაიონებში დენი, პრაქტიკულად, არ იქნება. ეს ბუნებრივიცაა — ენერგოკრიზისის აღმოსაფხვრელად ქვეყანაში წელს ხომ არაფერი გაკეთებულა.

ასე რომ, ენერგოკრიზისი დღის წესრიგიდან არ იხსნება. მთელი ზამთარია, ქვეყნის ენერგოსისტემაში ერთი მიზეზი მაინც არსებობს იმისათვის, რომ ქვეყანაში დენი არ იყოს. არადა, ვითარების გამოსწორებისათვის ზომების მიღებას ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრიდან ითხოვდა პარლამენტის ენერგოკრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია. ნოემბერში, ამ კომისიის მიერ მოყვანილი მასალების გაცნობის შემდეგ დეპუტატები სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის იმპიჩმენტზე პირველად ალაპარაკდნენ. თუმცა, მაშინ ქვეყნის პრეზიდენტმა მინისტრი არ გასწირა და პირადად დააფიქსირა თავისი ნდობა მირცხულავასადმი. მხარდაჭერის სამაგიეროდ, მინისტრი მთავრობამ საშიშ თამაშში ჩააბა და "ეი-ი-ეს თელასზე" "მიუშვა". ამ პერიოდიდან მირცხულავა "ეი-ი-ეს თელასის" ღია ოპონენტად იქცა: მან ფინანსურ კრიზისში მყოფ ამერიკულ კომპანიას საკუთარი ვალდებულების შესახებ და პრინციპულად მოსთხოვა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი თუ თბილსრესის მეცხრე ბლოკის ჩართვა. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის უმსხვილესი ინვესტორისთვის შეტევამ, რაც "ლეიბორისტების" ხელით დაიწყო, "ეი-ი-ეს თელასის" ანგარიშზე თანხების შედინება შეაფერხა, ხოლო უსახსროდ დარჩენილმა კომპანიამ საბოლოოდ თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის მუშაობა ვერ განაგრძო.

შედეგად, საქართველოსთვის ელექტროენერგიის ძირითად წყაროდ იმპორტი - "რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემა" დარჩა. მირცხულავამ "იყოჩალა" და თბილსრესის მოძველებული ბლოკებიც მოაწესრიგა. თუმცა, ამ ბლოკების გამართული მუშაობის იმედი თავად ენერგეტიკოსებს არასოდეს ჰქონიათ. არაეკონომიური, შედარებით გაცვეთილი და დაბალი სიმძლავრის ბლოკები დიდ დატვირთვას ვერ უძლებენ და ხშირად ზიანდებიან. ამის გამო ენერგეტიკოსები მათ ხუმრობით "სამდღიან ბლოკებსაც" ეძახიან. თუმცა, მათი საშუალებით ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტის თავიდან აშორება, ავად თუ კარგად, მაინც მოხერხდა.

ასე რომ, საქართველოს ენერგეტიკაში შექმნილი ვითარება სახარბიელო ნამდვილად არ არის. მიუხედავად ამისა, იმედი, რომ სავარაუდოდ, ორ-სამ კვირაში კრიზისი თავისით გადაივლის, მაინც არსებობს: აპრილის მეორე ნახევარში წყალდიდობის პერიოდი დაიწყება და ჰიდროელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავება მოიმატებს.

სას „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

დისკუსია

# უუნარო ხელისუფლების გარიგება ღარიბთა ხარჯზე

### რას გვთავაზობს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი სინამდვილეში

პირველი გვერდიდან

### რას დაკარგავს ბიუჯეტი? 250 მილიონ ლარს

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადზე წესდება ორი ალტერნატიული განაკვეთი:

- 15% გამოქვითვებით სარგებლობის უფლებით (ე.წ საოჯახო დაბეგვრის რეჟიმი);
- 10% გამოქვითვებით სარგებლობის უფლების გარეშე (ე.წ ინდივიდუალური დაბეგვრის რეჟიმი).

საქართველოში რა შედეგი მოაქვს ორ სათაურს, ყველას კარგად გვახსოვს.

ამ რეჟიმით, მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ნაერთი ბიუჯეტი დაკარგავდა ხუთი მილიონ 80 ათას ლარ რეალურად მიღებულ შემოსავლებს. ცენტრალური ბიუჯეტი – 760 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტები – ოთხი მილიონ 320 ათას ლარს. თუმცა, გამოქვითვების საკმაოდ რთული სისტემის გამო, რეალური დანაკარგები უფრო მეტი იქნება.

იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადის (პროექტით ასე ეწოდება მოგების გადასახადს) განაკვეთი იქნება 15%.

ამ რეჟიმით, მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ნაერთი ბიუჯეტი დაკარგავდა ორი მილიონ 640 ათას ლარ რეალურად მიღებულ შემოსავლებს. ცენტრალური ბიუჯეტი - 400 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტები – ორი მილიონ 240 ათას ლარს. მაგრამ, მოგების გადასახადების დეკლარაციის შევსების ვადა იწურება მარტის ბოლოს და კორექტირებული მონაცემებით დანაკარგები უფრო მეტი იქნება.

პროექტით დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გახდეს წამყვანი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - ერთადერთი საერთო-სახელმწიფოებრივი, მაგრამ შემოთავაზებული შინაარსით დღგ-ც კი ვერ ასრულებს ამ "საპატიო როლს".

საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილი ოთხი მოდელიდან, რატომღაც არჩევანი გაკეთდა ყველაზე რთულ და ამ შემთხვევაში, სწორედ გადამხდელისათვის, ყველაზე მიუღებელ მოდელზე. დღგ-ს შემოთავაზებული განაკვეთია 15%.

ასეთი გადასახადით, მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ცენტრალური და აჭარის ბიუჯეტები დაკარგავდნენ 15 მილიონ 300 ათას ლარ რეალურად მიღებულ შემოსავლებს.

ზემოთ აღნიშნული სამი ახალი რეჟიმის შემოღების შემთხვევაში, მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები დაკარგავდნენ – 23 მილიონ 20 ათას ლარს. წლის ბოლომდე კი დანაკარგი ყველაზე მინიმალური გათვლებით მიაღწევდა – 153 მილიონ 500 ათას ლარს. 2003 წელს ამ სამი გადასახადიდან დაგეგმილ შემოსავლებთან შედარებით, კი დანაკარგი იქნებოდა თითქმის 185 მილიონი ლარი.

სამწუხაროდ ბიუჯეტის დანაკარგები ამით არ ამოიწურება. საქმეს ვერც ქონების გადასახადის ახალი მოდელი და პროგრესული შკალა შველის.

ყველაზე საინტერესო მაინც ის არის თუ რა მოუვა სოციალურ გადასახადებს? უნდა ვივარაუდოთ, რომ ასრულდება დიდი ხნის "ოცნება" და გადავალთ საპენსიო და ჯანდაცვის დაზღვევის სისტემაზე. ეს არის მხოლოდ, რომ პენსიების გაცემისა და ჯანდაცვის დაფინანსების დღევანდელი, სავალალო დონეც კი სანატრელი გაუხდებათ ჩვენს თანამოქალაქეებს.



ახალი საგადასახადო კოდექსის ავტორები: ნიკო ორველაშვილი და ირაკლი შავიშვილი

კანონპროექტის მოდელით მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდებოდა 30 მილიონ 800 ათასი ლარი, ანუ სოციალური ფონდის მთელი შემოსავალი. **სავარაუდოდ, ბიუჯეტს ჩამოეხსნება ყველა სოციალური ვალდებულება და ის გადაეკისრება სადაზღვევო ფონდებს. საინტერესოა, ვინ აუხსნის ამ გადაწყვეტილებას მოსახლეობას?**

პროექტში, ჯერ დეტალურად და საბოლოოდ აქციზის ნაწილიც არ არის ჩამოყალიბებული. როგორც ჩანს პროექტის რეალური დამკვეთები აქციზების არსებული რეჟიმითაც კმაყოფილები არიან. მით უფრო, რომ სწორედ მათი ძალისხმევით აქვს დღევანდელი საგადასახადო კოდექსის ამ ნაწილს მიღებული ასეთი სამარცხვინო სახე და შემოსავლების შემომტანი ძირითადი სექტორები დროებით რეჟიმში იბეგრებიან. თუმცა, შესაძლებელია, დამკვეთები და შემსრულებლები კოდექსის პროექტის ამ ნაწილზე ჯერ საბოლოოდ არც არიან შეთანხმებული. აქციზების ნაწილში საბიუჯეტო დანაკარგებზე მოგვიანებით უფრო დეტალურად მოგვიწევს საუბარი.

სხვა გადასახადების გაუქმებით სახელმწიფო (მათ შორის საგზაო ფონდი) და ადგილობრივი ბიუჯეტები, მხოლოდ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში დაკარგავდნენ თითქმის 10 მილიონ ლარ რეალურად მიღებულ შემოსავლებს.

**შესაბამისად სახელმწიფო (საგზაო ფონდის ჩათვლით, მაგრამ სოციალური ფონდის გარეშე) ბიუჯეტის დანაკარგი წლის ბოლომდე, ყველაზე მინიმალური გათვლებით მიაღწევდა 220 მილიონ ლარს. 2003 წელს, დაგეგმილ შემოსავლებთან შედარებით კი, დანაკარგი იქნებოდა 250 მილიონი ლარი.**

**ამას ემატება სოციალური ფონდის დანაკარგები, სულ მცირე, 210 მილიონი ლარის ოდენობით და გაურკვეველი რაოდენობის დანაკარგები აქციზებიდან. თანაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საშემოსავლო დანაკარგების კომპენსაციის მიზნით დამკვეთები დათანხმდებიან აქციზების ზრდას.**

საგადასახადო კოდექსის ახალი ვარიანტით საგადასახადო ბაზა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) 26-27 პროცენტიდან მშპ-ს 16-17 პროცენტამდე მცირდება. 2003 წლის ბიუჯეტით, საგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია დაგეგმილია მშპ-ს 15,8 პროცენტის დონეზე. თუ მხედველობაში მივიღებთ საგადასახადო ადმინისტრირების შესაძლებლობებს, უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების მობილიზების დონე დაეცემა მშპ-ს 9-10 პროცენტამდე. განსახილველი კოდექსის ამოქმედებით, 2004 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იქნება მაქსიმუმ 880 მილიონი ლარი. არადა, 2003 წლის ნაერთი ბიუჯეტის დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლებია მილიარდ 270 მილიონი ლარი.

**ამდენად, საინტერესო იქნება დღესვე მიგვეღო პასუხი კითხვაზე: სოციალურ ვალდებულებებთან ერთად, რა ხარჯები შეიკვეცება მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში?!**

### დემოკრატია თუ დემაგოგია?

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადასახადები შემოიღება ძირითადად ფისკალური შედეგის მისაღწევად, თანაც მხედველობაში მიიღება ეკონომიკური მიზანშეწონილება და არა პირიქით. თუმცა **ამ პროექტით და საპარლამენტო განხილვებითაც ნათლად ჩანს, რომ ბიუჯეტი, მისი შემოსავლები, სოციალური ვალდებულებები, პენსიონერები და ლტოლვილები აღარავის აინტერესებს.**

როდესაც მეწარმეები, გადასახადების გადახდის ნაცვლად, იწყებენ საუბარს გადასახადის ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე, იქ გადახდის გარდაუვალობის პრინციპი ვეღარ დამკვიდრდება. მით უფრო, თუ ამ დისკუსიაში სიამოვნებით ებმება ხელისუფლებაც - მთავრობა და პარლამენტი.

პროექტში წარმოდგენილი დებულებები და, განსაკუთრებით პროექტის ავტორების ნაქები, მეოთხე წიგნი პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის გადასახადების ამოღებას. იმედი გვაქვს, აღარავის სჯერა, რომ გადამხდელები თავისი საკუთარი სურვილით გადაიხდიან გადასახადებს.

ადმინისტრირების შემოთავაზებული სიახლეების დანერგვის შემთხვევაში, მივიღებთ არასამართლის უკონტროლო თავისუფლებას, რაც, ჩვენი აზრით, არის შემოთავაზებული პროექტის მთავარი დანიშნულება.

პროექტის პრეზენტაციაში განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული ადამიანის უფლებებზე და სასამართლოსა თუ არბიტრაჟის როლის ამაღლებაზე. ეს მაღალფარდოვანი დემაგოგია არაფერია, თუ არა ანარქიის დამკვიდრების დემოკრატიულ ლოზუნგებს ამოფარებული მცდელობა.

საინტერესოა, როგორ უნდა გავარკვიოთ ესა თუ ის გადასახადი ან მისი ადმინისტრირების წესები არღვევს თუ არა ადამიანის უფლებებს?

**მაგალითად, რატომ არ არღვევს ამ პროექტით შემოთავაზებული საშემოსავლო გადასახადის 15%-იანი განაკვეთი ადამიანის სოციალურ უფლებებს?**

**საინტერესოა, აგრეთვე, როგორ უნდა დავადგინოთ ასატანია თუ არა გადამხდელისათვის საგადასახადო ტვირთის შემოთავაზებული სიმძიმე ან სად გადის საგადასახადო ტვირთის სიმძიმის ის ბოლო ზღვარი, რომელიც "ასატანი" იქნება?**

ახალი კოდექსის პროექტით ბიზნესი (ძირითადად მსხვილი ბიზნესი) გათავისუფლდება ოფიციალური გადასახადებისაგან. პროექტში არსად წერია, თუ როგორ უნდა გათავისუფლდეს ბიზნესი "არაოფიციალური გადასახადებისაგან". ამის არც ილუზია და არც სურვილი არავის აქვს. **"არაოფიციალური გადასახადებისაგან" გათავისუფლებას ბევრი ლაპარაკი და პროექტების წერა არ სჭირდება, ამისათვის საკმარისია, მაგრამ აუცილებელიცაა სურვილი და პოლიტიკური ნება.**

**როგორც საპარლამენტო განხილვებიდან ვხედავთ, ასეთი სურვილი და პოლიტიკური ნება ხელისუფლებას (მთავრობა და პარლამენტი) არა აქვს. შესაბამისად, შემოთავაზებულია გამოსავალი, რომელიც გულისხმობს კორუფციის დონის შემცირებას საბიუჯეტო შემოსავლების ხარჯზე, შესაბამისად საზოგადოების ყველაზე ნაკლებშემოსავლიანი და ყველაზე გაჭირვებული ნაწილის ხარჯზე. ამასთან, შემოთავაზებული პროექტი თავად არის კორუფციული და კერძო ინტერესებზე აგებული დოკუმენტი.**

სამწუხაროდ, შემოთავაზებული პროექტი ვერ გამოიწვევს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასაც. ეს განსაკუთრებით ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. პირიქით, ასეთი **პროექტის მიღება გამოიწვევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობების მკვეთრ გაუარესებას და შესაბამისად საქართველოს საკრედიტო რეიტინგის დაცემას.** ამის შედეგი კი, თავის მხრივ, იქნება უცხოელი ინვესტორების საქართველოს მიმართ ინტერესის დაკარგვა. ჩვენ, აქ არ ვგულისხმობთ საქართველოდან ადრე გატანილ ფულს და პოლიტიკური მიზნებით განხორციელებულ ინვესტიციებს. თუმცა ეს ინვესტიციებიც არ იქნება დიდი მასშტაბის. **ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეალური დაკვეთა, სწორედ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვა, ე.წ. "ეროვნული წარმოების" სასათბურო რეჟიმში ჩაყენება და საქართველოს მსოფლიო ეკონომიკისგან იზოლაციაა.**

**ინვესტიციების სტიმულირებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნორმალური საინვესტიციო გარემო – ელემენტარული ფიზიკური უსაფრთხოება, მთავრობის ყველა დონის მინიმალური ეფექტურობა, ხელისუფლების (მთავრობა, პარლამენტი და სასამართლო) მიერ მარტივი გადაწყვეტილებების მიღების უნარი, ხელისუფლების ზოგიერთ დონეზე და რამდენიმე სფეროში მაინც მექრთამეობის აღკვეთა.**

რაც მართალია მართალია, შემოთავაზებული პროექტით საგადასახადო ტვირთი თანაბრად გადანაწილდება ყველაზე: გადამხდელებზეც და არგადამხდელებზეც, მსხვილ ბიზნესზეც და მცირე და საშუალო ბიზნესზეც, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორზეც და გლეხზეც, მდიდარზეც და ღარიბზეც. ასე ცინიკურად აცხადებენ თავიანთ ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს პროექტის ავტორები.

კორუფცია კი, სამწუხაროდ, გადის ახალ, მანამდე აუღებელ სიმაღლეებზე.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

# საქართველოში ტყის განკერძოება ერთბაშად არ მოხდება

სოფიკო ოხანაშვილი

საქართველოში ტყეს მთლიანი ტერიტორიის 40 პროცენტი უკავია, მაგრამ დიდი ხანია, იგი გაჩანაგების რეალური საფრთხის წინაშეა. ამას ემატება ისიც, რომ სახელმწიფო ამ სექტორს ვერ აკონტროლებს. შექმნილი მდგომარეობის გამო, ტყის სექტორის განვითარების გეგმის შემუშავება დღის წესრიგში დადგა. გუშინ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში სატყეო სექტორის რაციონალიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ვარიანტების განხილვა მოეწყო, სადაც შესაბამისი პროფილის არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი.

მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით სატყეო სექტორის რაციონალიზაცია საქართველოს ტყეების განვითარების პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია. მისი საერთო ღირებულება 450 ათასი აშშ დოლარია. აღნიშნულ კომპონენტს ბრიტანული საერთაშორისო კომპანია RWA საერთაშორისო შპს LTS-თან ერთად ახორციელებს. ქართულ მხარეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოადგენს, რომელიც აღნიშნული პროექტის განმხორციელებელი იქნება. მსოფლიო ბანკთან საკრედიტო ხელშეკრულების რატიფიცირება პარლამენტში ერთი თვის წინ მოხდა.

რესტრუქტურიზაციის ვარიანტები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს პროექტის საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა მაიკ გარფორტმა წარუდგინა. მისი თქმით, სატყეო სექტორის რაციონალიზაციისა და ინსტიტუციონალური განვითარების ძირითადი მიზანი ტყის მრავალმიზნობრივი მართვის დამკვიდრებაა. **"ჩვენი ამოცანაა არა ტყეების გამიჯვნა მათი სხვადასხვაგვარი გამოყენების მიხედვით, არამედ, ისეთი სისტემისა და საკანონმდებლო ჩარჩოების შექმნა, რომელიც, საზოგადოებისთვის მისაღები პრინციპების თანახმად, ტყეების გამიჯვნას უზრუნველყოფს. ასევე ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შემოგთავაზებთ ინსტიტუციონალური მოწყობის ისეთ მექანიზმს, რომელიც გამიჯნული ტყეების რაციონალურ გამოყენებას შესაძლებელს გახდის"** - განაცხადა მაიკ გარფორტმა.

საკონსულტაციო ჯგუფმა 13 რეკომენდაცია შეიმუშავა. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, სატყეო დეპარტამენტის პოლიტიკის განმსაზღვრელი და სექტორის საზედამხედველო ფუნქციები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უნდა გადაეცეს. კონსულტანტები ასეთი რეკომენდაციის აუცილებლობას იმით ხსნიან, რომ უნდა განხორციელდეს მართვის, კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა, რაც ცალკეული უწყებების პასუხისმგებლობას გაზრდის. მათივე აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს ერთი საწარმო, რომელიც მართვას გაუწევს სატყეო ფონდის იმ ტერიტორიებს, რომლებსაც ამჟამად სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი განკარგავს. რაც შეეხება ადგილობრივ ტყეებს, მათ კვლავ ადგილობრივი მმართველობები გააკონტროლებენ. პროექტის ავტორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ არასამთავრობო სექტორის ეჭვს, რომ ერთადერთობის შემთხვევაში, ეს საწარმო მონოპოლისტად იქცევა. გარფორტის განცხადებით, რამდენიმე ასეთი საწარმოს ჩამოყალიბება პირველ ეტაპზე შეუძლებელია. ამის მიზეზად კი, შესაფერისი კადრების არარსებობა დაასახელა.

აღნიშნული საწარმოს იურიდიული სტატუსიც დასაზუსტებელია. საკონსულტაციო ჯგუფმა არასამთავრობო სექტორს რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა. სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენლის და RWA-ს ექსპერტის მერაბ მაჭავარიანის თქმით, შეთავაზებული ვერსიებიდან, საბოლოოდ, ერთობლივად აირჩევენ ერთ-ერთს. მისაღები ვარიანტის შერჩევა აპრილის ბოლომდე უნდა მოხდეს. მაჭავარიანის განცხადებით, კონკრეტული ვარიანტის შერჩევის შემდეგ, მაის-ივნისში პროექტის განმხორციელებელი კომპანიები სატყეო სექტორის რაციონალიზაციისა და ინსტიტუციონალური განვითარების დეტალურ გეგმას შეიმუშავებენ, რაც სახელმწიფო სატყეო დაწესებულებების ფუნქციების, სტრუქტურების და კერძო სექტორისათვის სატყეო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად ოპტიმალური მოდელის მომზადებას გულისხმობს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მსოფლიო ბანკის კონსულტანტი მაიკ გარფორტი

სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენლისა და RWA-ის ექსპერტის მერაბ მაჭავარიანის შეფასებით, ეს პროექტი სატყეო სექტორის კერძო საკუთრებაში გადაცემის დასაწყისია. მაგრამ, მისი განცხადებით, ამ პროცესის ეტაპობრივად განხორციელებაა საჭირო. მისი პოზიცია უცხოელი ექსპერტებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. მათი ახსნით, ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხი ტყის სახელმწიფო საკუთრებაში არსებობას მიჩვეულია, არ შეიძლება ტყის პირდაპირ კერძო საკუთრებაში გადაცემა, რადგან მოუმზადებელი მენტალიტეტით, სატყეო მეურნეობის მართვის უცოდინრობის გამო და ტყის კვლავ დაკარგვის შიშით, შესაძლოა, კერძო მესაკუთრემ ტყე მთლიანად გაანადგუროს. ამიტომ, უცხოელი ექსპერტებიც ტყის კერძო საკუთრებაში ეტაპობრივი გადაცემის მომხრეები არიან.

# მოსამართლის ოჯახი იმ ობიექტის მფლობელი გახდა, რომლის აუქციონზე გაყიდვის გადაწყვეტილება თავად გამოიტანა

თამარ კაციტაძე

*დღეს უკანონო აუქციონებით ვერავის გააკვირვებ. ვერც იმით, რომ სახელმწიფო ქონება კაპიკებად იყიდება. გასაკვირი არც ის არის, რომ ჩალის ფასად გაყიდული ობიექტები ძლიერი და გავლენიანი ჩინოვნიკების ხელში გადადის. ამ ყველაფრის ხელის შემწყობნი კი, ისევ და ისევ, სახელმწიფო მოხელეები და მართლმსაჯულების წარმომადგენლები არიან. ასეთ შემთხვევებში, დაზარალებული მხარე სამართლის საძებნელად ინსტანციიდან ინსტანციაში დადის, მაგრამ სიმართლე ჩვენში რომ არც ისე ადვილი საპოვნელია, არც ეს გახლავთ სიახლე. დმანისის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის (რაიკავშირის) თავმჯდომარემ მურთაზ ვიბლიანმა, არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტს" და გაზეთ "24 საათს" სწორედ სამართლის ძიებაში მიაკითხა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მოსამართლე ლალი არჩვაძე და მოსარჩელე მურთაზ ვიბლიანი სასამართლო პროცესზე.

დმანისის სამომხმარებლო კოოპერატივს, რომლის საბჭოური მემკვიდრეობაც რამდენიმე ათეული ობიექტია და რომლებიც უკიდურესი გაჭირვების გამო, დღეისათვის ნორმალურად ვერ ფუნქციონირებენ, ბიუჯეტის ვალი - 12401 ლარი დაუგროვდა. მართალია, სამომხმარებლო კოოპერატივი ურჩგადამხდელთა რიცხვში არ მოიაზრებოდა და არც დასახელებული თანხა ჩანდა საგანგაშოდ, მაგრამ როგორც ჩანს, რაიკავშირის ქონების ხელში ჩაგდების მსურველი უკვე გამოჩენილი იყო და შორს გამიზნული გეგმაც ამუშავდა.

დმანისის საგადასახადო სამსახურმა სასამართლოს მიმართა და რაიონის ერთადერთი მოსამართლის, ნანა მენაბდის გადაწყვეტილებით, სამომხმარებლო კოოპერატივის ქონებას დაგროვილი ვალის გადახდამდე, ყადაღა დაედო. როგორც რაიკავშირის თავმჯდომარე მურთაზ ვიბლიანი ამბობს, მიმდინარე გადასახადებთან ერთად იგი დაგროვილ ვალსაც იხდიდა და მიუხედავად იმისა, რომ რაიკავშირში შემავალი ობიექტები, ფაქტობრივად, წაგებაზე მუშაობდნენ (რამდენიმე ობიექტი დაკონსერვებულიც იყო), აღნიშნული ვალიდან რამდენიმე თვეში 3123 ლარიც დაფარა.

**"2000 წლის 27 ივლისს მოსამართლე მენაბდემ დამიბარა და მითხრა, საგადასახადო სამსახურმა განცხადება შემოიტანა და რაიკავშირის რამდენიმე ობიექტის იძულებით აუქციონზე გაყიდვას მოითხოვსო. ვთხოვე, გადაწყვეტილება დროებით არ გამოეტანა, რათა ჩვენი სათაო ორგანიზაცია - ცეკავშირი, საქმის კურსში ჩამეყენებინა და შექმნილი მდგომარეობა მეცნობებინა. მენაბდე დამპირდა, გადაწყვეტილებას არ გამოვიტანო. თბილისში ჩავედი და მეორე დღესვე რაიონის სასამართლოშიც და გამგეობაშიც ცეკავშირის წერილი მივიტანე, სადაც აღნიშნული იყო, რომ ვალებს ერთ თვეში დავფარავდით. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე გამოტანილი ჰქონდა და აუქციონიც დანიშნული იყო,"** – ამბობს მურთაზ ვიბლიანი.

ორ დღეში, შაბათს ვიბლიანს შემთხვევით გაუგია, რომ რაიონის სასამართლოში რეგიონის აღმასრულებლები აუქციონს აწყობდნენ და რაიკავშირის რამდენიმე ობიექტს ყიდდნენ.

**"აუქციონი ყოველგვარი კანონის დარღვევით ტარდებოდა. საბალანსო ღირებულებას ვინ ჩივის, რაიკავშირის ყველაზე პრესტიჟული და მომგებიანი ობიექტები, ვიღაცის სურვილით, ისე შეარჩიეს და შეაფასეს, რომ ჩვენთვის არაფერი უკითხავთ და საბოლოოდ კაპიკებშიც გაყიდეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ოფიციალური მყიდველები, ვისზეც ობიექტებს აფორმებდნენ, აუქციონზე არც კი მისულან. რა თქმა უნდა, მაშინვე პროტესტი გამოვთქვი და იმ იმედით, რომ აუქციონის უკანონობას სასამართლოზე დავამტკიცებდი, წამოვედი,"** – იხსენებს რაიკავშირის თავმჯდომარე.

აუქციონზე შედგენილი ოქმის თანახმად, ქვემო ქართლის აღმასრულებელმა გოგიტა ჩამბახაშვილმა (ანალოგიური წესით ჩატარებული პრივატიზაციის გამო, მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოცხადებულია ძებნა) და დმანისის აღმასრულებელმა ბესო ადუაშვილმა რაიკავშირის ოთხი ობიექტი იძულებითი წესით გაყიდეს. დმანისის №1 სასურსათო მაღაზია, რომლის საბალანსო ღირებულება იმ პერიოდისათვის იყო 21 131 ლარი, აღმასრულებლებმა 1850 ლარად შეაფასეს და დასახელებული თანხის გადახდის შემდეგ, ამალია მენაბდეს გადაუფორმეს. მართალია, აუქციონზე ოფიციალური მყიდველის ნაცვლად, ყოველგვარი რწმუნების გარეშე, მისი შვილი, დმანისის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი თემურ მენაბდე გამოცხადდა, მაგრამ ამას აღმასრულებლებისთვის ხელი ნამდვილად არ შეუშლია. მით უმეტეს, რომ მაღაზიის ახალი მფლობელი იმ მოსამართლის დედამთილია, რომლის გადაწყვეტილების თანახმადაც რაიკავშირის ქონების პრივატიზაცია მოხდა.

აუქციონზე იყო დმანისის რაიონის პოლიციის იმჟამინდელი უფროსი რომან კავლელიშვილი, რომელმაც 10569 ლარად ღირებული წიგნების მაღაზია 2200 ლარად საკუთარი ძმის - ზურაბ კავლელიშვილის სახელზე გააფორმა.

600 ლარად იყიდა 5127 ლარად შეფასებული სოფელ დიდი დმანისის მაღაზია მერაბ მარტიაშვილმა. იმისათვის რომ აღნიშნული ობიექტის რეალურ მყიდველზეც გვქონდეს წარმოდგენა, გთავაზობთ ამონაწერს მერაბ მარტიაშვილის ჩვენებიდან – **"აუქციონის წინა საღამოს ჩემთან საგადასახადოს უფროსის მოადგილე ზოდიაშვილი მოვიდა და მითხრა: ხვალ აუქციონზე მაღაზია შენ იყიდე და მერე მოვრიგდეთო. მე ფული არ მქონდა, ამიტომ 600 ლარი ზოდიაშვილმა თვითონ მომცა,"** – აღნიშნა სასამართლოზე დაკითხვისას მარტიაშვილმა.

მართალია, საბალანსო ღირებულებით 2181 ლარად შეფასებული სოფელ ჯავახის პავილიონი, აღმასრულებლებმა აუქციონზე 850 ლარად გაიტანეს, მაგრამ საბოლოოდ, ერთადერთ მყიდველს ზურაბ ოქრიაშვილს 615 ლარად დაუსაკუთრეს.

როგორც ვიბლიანმა გვითხრა, იმდღევანდელ აუქციონზე კიდევ ერთი ობიექტი გაყიდულა, რომელიც, აღმასრულებლებს რატომღაც ოქმში არ გაუფორმებიათ. აუქციონზე 1800 ლარად შეფასებული სოფელ განთიადის მაღაზია, ვინმე დაუთაშვილმა 1300 ლარად იყიდა.

ერთი სიტყვით, სამომხმარებლო კოოპერატივის ვალის – 9280 ლარის დასაფარად შემდგარ იძულებით აუქციონზე აღმასრულებლებმა 5565 ლარი შეაგროვეს.

კანონის თანახმად, აღმასრულებლებს ამოღებული თანხა სააღსრულებლო ბიუროს ანგარიშზე უნდა ჩაერიცხათ, რის შემდეგაც გარკვეული პროცენტი ბიუროს ანგარიშზე დარჩებოდა, დანარჩენი კი რაიონის ბიუჯეტში გადაირიცხებოდა. თუმცა, მოგვიანებით, ვიბლიანისთვის ცნობილი გახდა, რომ აღმასრულებლებმა თანხა პირდაპირ სამომხმარებლო კოოპერატივის ანგარიშზე შეიტანეს, საიდანაც იმავე დღეს მოხსნეს და ბიუჯეტში გადარიცხეს. რაიკავშირის თავმჯდომარე თანხის კანონდარღვევით, ასე მოკლე გზით მოძრაობას შემდეგი გარემოებით ხსნის. **"გარდა იმისა, რომ რაიკავშირის ყველაზე მომგებიანი ობიექტების ხელში ჩაგდება აშკარად წინასწარ იყო დაგეგმილი, მივხვდი, რომ აუქციონის ასე სასწრაფოდ დანიშვნა-ჩატარებაც ვიღაცის ინტერესში იყო. ჩემი აზრით, თანხის ბიუჯეტში გადარიცხვით, დმანისის გამგებელმა და საგადასახადოს უფროსმა ივლისის გეგმა შეასრულეს და, ვიღაცის თვალში, ქულები ჩაიწერეს,"** – ამბობს ვიბლიანი.

სამომხმარებლო კოოპერატივის ქონების "ოპერატიული" პრივატიზაციით აღშფოთებულმა ვიბლიანმა სააღსრულებლო ბიუროს წინააღმდეგ დმანისის რაიონის სასამართლოს მიმართა და აუქციონის ბათილად ცნობა მოითხოვა.

**"აუქციონი კანონის სრული იგნორირებით ჩატარდა. ჯერ ერთი, აღმასრულებლებს არც აუქციონის ჩატარების შესახებ უცნობებიათ ჩვენთვის და არც ობიექტების შერჩევის დროს შეგვხმიანებიან. დღეს უკვე გასაგებია, ვისი სურვილით აარჩიეს გასაყიდი მაღაზიები. ამასთან, განცხადება აუქციონის დანიშვნის შესახებ, კანონით დადგენილი შვიდი დღის ნაცვლად, გამგეობის შენობაში ზუსტად აუქციონის დღეს გამოაკრეს. ადრევე რომ გამოეცხადებინათ, შეიძლება რომელიმე მეპაიეს გაეგო და ეყიდა. ჩემი აზრით, აღმასრულებლები ამას მოერიდნენ. არადა, კანონით, ობიექტის გაყიდვისას უპირატესობა სწორედ მეპაიეებს ენიჭებათ",** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვიბლიანმა.

ვინაიდან №1 მაღაზიის მესაკუთრე, მოსამართლე მენაბდე, ამ დროს შვებულებაში იყო, საქმე მოვალეობის შემსრულებელმა, მარნეულის სასამართლოს თავმჯდომარემ დიმიტრი ნაცვლიშვილმა განიხილა. პროცესის სამჯერ გადადების შემდეგ, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, მოსამართლემ ვიბლიანის მოთხოვნა დააკმაყოფილა. სააღმსრულებლო ბიუროს მიერ გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება, ისევ დიმიტრი ნაცვლიშვილმა განიხილა, მხოლოდ, ამჯერადაც მხარეთა გამოუცხადებლობის მიზეზით, წინა გადაწყვეტილება კვლავ ძალაში დატოვა.

ცხრა თვის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილება არავის გახსენებია. ამის შემდეგ, ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე - წინა პროცესზე მაღაზიების მყიდველები მხარეებად არ იყვნენ ცნობილები - სააღსრულებლო გადაწყვეტილება კვლავ გაასაჩივრა. დმანისის მოსამართლემ, როგორც დაინტერესებულმა მხარემ, საქმის განხილვაზე უარი განაცხადა და იგი ბოლნისის რაიონის მოსამართლე ლიპარტელიანს გადაუგზავნა. ამჯერად, სასამართლომ აუქციონი კანონიერად ცნო და, კოლეგა მოსამართლესთან ერთად, ყველა ობიექტი მყიდველებს საკუთრებაში დაუკანონა.

მეზობელი რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება ვიბლიანმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. **"მარნეულის სასამართლოში საქმე 46 ფურცლისგან შედგებოდა, დღეს კი 16 ფურცელი ამოღებულია. ძირითადად, გამქრალია მოწმეთა ჩვენებები, საიდანაც დგინდება, რომ მენაბდე და კავლელიშვილი აუქციონზე საერთად არ ყოფილან. ამოღებულია დაუთაშვილის განხადებაც, რათა არ გამოაშკარავდეს აუქციონზე გაყიდული მეხუთე ობიექტი, რომელიც ოქმში არ დაუფიქსირებიათ. სამაგიეროდ, საქმეში გაჩნდა 2000 წლის 25 ივლისით დათარიღებული აუდიტი - შპს "ინტერაუდიტის" დასკვნა, თითქოს გასაყიდი ობიექტები ექსპერტის მიერ აუქციონამდე იყო შეფასებული. არადა, ჯერ ერთი, დასკვნაში მითითებულია, რომ ობიექტები შეფასებულია გაყიდვის შემდეგ, და მეორეც, თუ აუქციონზე გასატანი ობიექტები მართლა 25 ივლისს შეაფასეს, გამოდის, რომ აუქციონამდე ერთი კვირით ადრე განცხადებას აუქციონის შესახებ ვერ გამოაქვეყნებდნენ, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ აუქციონი კანონის დარღვევით ჩატარდა,"** – ამბობს რაიკავშირის თავმჯდომარე.

მოსამართლის გადაწყვეტილებაში არის კიდევ ერთი საეჭვო ფურცელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამომხმარებლო კოოპერატივს ბიუჯეტის ვალიდან 9280 ლარი ჰქონდა დარჩენილი. აუქციონიდან გადაირიცხა 5465 ლარი, ე.ი. 3815 ლარი რაიკავშირს კვლავ ბიუჯეტის ვალად დარჩა. მართალია, ლიპარტელიანმა გადაწყვეტილებაში ზუსტად დააფიქსირა აღნიშნული თანხები, მაგრამ საბოლოო არითმეტიკით დაასკვნა – **"აუქციონიდან შემოსული თანხით სამომხმარებლო კოოპერატივის ვალი დაიფარა და მას ბიუჯეტის ვალი აღარ აქვს".**

# თავდასხმა რადიო „ძველ ქალაქზე"

ბექა სისაური
ქუთაისი

ქუთაისში მოქმედ რადიო "ძველ ქალაქსა" და რადიოს ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის რამდენიმე თვის წინ მწვავე კონფლიქტი წარმოიქმნა. მოსახლეობას საცხოვრებელ სახლებთან ახლოს დამონტაჟებული რადიოს ანტენა ათასგვარი დაავადების მიზეზად მიჩნია და რადიოს ხელმძღვანელობისგან ანტენის სხვა ადგილზე გადატანას კატეგორიულად მოითხოვს. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებლებმა ამავე მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და, მოსამართლის გადაწყვეტილებით, რადიოს ფუნქციონირება დროებით შეჩერდა კიდეც. მაშინ "ძველი ქალაქის" ხელმძღვანელობამ ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნის მომზადებამდე რადიოს ეთერის აღდგენას ისევ სასამართლოს გზით მიაღწია. იმავე დღეს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა რადიოს დარბევა სცადა. სწორედ იმ დღეს ქუთაისს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი სტუმრობდა, ამიტომაც, მასიური არეულობის თავიდან ასაცილებლად, შემთხვევის ადგილზე პოლიციის ხელმძღვანელობა და ქალაქის მერი მივიდნენ. მათ ვითარების დარეგულირება დროებით შესძლეს. თუმცა, გუშინწინ საღამოს კონფლიქტი კვლავ განახლდა. პარასკევს საღამოს "პრესის სახლში", სადაც რადიოს ოფისი მდებარეობს, რამდენიმე პიროვნება შეიჭრა, ისინი შენობის სახურავზე ავიდნენ და რადიოს ანძა დაამტვრიეს, ინციდენტისას რამდენიმე ადამიანი დაშავდა. საქმე ისაა, რომ თავდასხმის მომენტში შემთხვევის ადგილზე კომპანია "მაგთის" ტექნიკური დირექტორი კობა მირესაშვილი, ამავე კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი და "პრესის სახლის" დიერქტორის მოადგილე იმყოფებოდნენ, რომლებიც თავდამსხმელებმა სცემეს.

**"პრესის სახლის" თავზე "მაგთიკომი" ანტენის დადგმას აპირებდა. პარასკევს საღამოს სახურავზე მათი სპეციალისტები იყვნენ და ნახაზებს ადგენდნენ. მათთან რამდენიმე პიროვნება მივიდა და შენობის სასწრაფოდ დატოვება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის მოყვანით დაემუქრნენ. "მაგთიკომის" წარმომადგენლებმა აღნიშნულ პირებს აუხსნეს, რომ შესაბამისი კომისიის დასკვნამდე ანტენის დადგმას არ აპირებდნენ, მიუხედავად ამისა, "პრესის სახლის" მეხუთე სართულზე მათ 30-მდე ადამიანი დახვდათ და სცემეს. ამის შემდეგ, ადამიანთა ჯგუფმა, სახურავზე ასასვლელი რკინის კარები გატეხა, სახურავზე ავიდა და რადიოს ანტენა წააქცია, ნაწილები მოგლიჯა, კაბელი კი ნაჯახით დაჩეხა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას რადიოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა კობა ჟორჟოლიანმა.

მომხდარი თავდასხმის ფაქტზე პოლიციამ ამჯერად სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სამართალდამცველებს შესაბამისი განცხადებით რადიო "ძველმა ქალაქმა", "პრესის სახლის" დირექციამ და "მაგთიკომმა" მიმართეს. თავდამსხმელებზე პირველადი ინფორმაცია უკვე არსებობს. თუმცა, რადიოს ხელმძღვანელობას ისინი მხოლოდ შემსრულებლებად მიაჩნია, მათ მფარველებად რამდენიმე პოლიტიკურ ძალას მოიაზრებენ, რომელთა ვინაობის დაკონკრეტებისგანაც, ჯერჯერობით, თავს იკავებენ. უახლოეს პერიოდში, რადიოს ანტენის გამოსხივების მავნებლობის დასადგენად, სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს.

# დეპუტატს მძიმე დანაშაულისთვის იმუნიტეტი ველარ დაიცავს

სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ "ქვეყანაში მოქმედი იმუნიტეტების შეზღუდვა მხოლოდ პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებზე არ უნდა გავრცელდეს". ომბუდსმენის აზრით, იმუნიტეტის შეზღუდვა და გაუქმება ყველას უნდა შეეხოს, ვინც კი ასეთი პრივილეგიით სარგებლობს. "იმუნიტეტის მხოლოდ დეპუტატობის კანდიდატებისთვის გაუქმება მიუღებელია, რადგან არ შეიძლება, რაიმე დანაშაულისათვის სამართალდამცავებს დეპუტატობის კანდიდატების დაპატიმრების უფლება ჰქონდეთ და მოსამართლის დაპატიმრებისათვის კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვა იყოს საჭირო," – აცხადებს ომბუდსმენი.

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, სახალხო დამცველს, გენერალურ პროკურორს და კონტროლის პალატის თავმჯდომარეს იმუნიტეტი შეეზღუდებათ, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატებს - საერთოდ მოეხსნებათ.

იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის გიორგი გოგიბერიძის განმარტებით, პროექტი პრეზიდენტის ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმისა და საერთაშორისო ორგანიზაცია "გრეკოს" (ქვეყნები კორუფციის წინააღმდეგ) რეკომენდაციათა შესაბამისად მომზადდა.

კანონპროექტში პარლამენტის წევრობის კანდიდატისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე, მითითებულია, რომ დაუშვებელია დეპუტატობის კანდიდატის დაკავება ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ანუ იმ დანაშაულის ბრალდებით, რომლისთვისაც სასჯელი ხუთ წელზე ნაკლებია. ყველა სხვა შემთხვევაში, პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიმართ ჩვეულებრივი, კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდება.

გოგიბერიძის თქმით, აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე, რიგი სხვა თანამდებობის პირების იმუნიტეტის შეზღუდვასაც. გენპროკურორი, სახალხო დამცველი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე იმუნიტეტს ექვემდებარებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი მათ იმუნიტეტი ველარ დაიცავს და ამ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის რომელიმე სუბიექტის თანხმობა საჭირო აღარ იქნება.

ახალი პროექტის მიხედვით, იმუნიტეტი საერთოდ ეხსნებათ გამომძიებლებს და პროკურორებს, რომლებსაც, დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, ასეთი იმუნიტეტი გააჩნიათ.

პროექტი იმუნიტეტის მოხსნაზე თანხმობის მიცემის პროცედურასა და ვადებს აზუსტებს. "თუ გარკვეულ ვადაში არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული, იმუნიტეტი ავტომატურად იხსნება", - აცხადებს გიორგი გოგიბერიძე.

*პრაიმ-ნიუსი*

# პატიმარი მეომრები ახალ საპროტესტო აქციას იწყებენ

დღეს ხონის კოლონიაში ორმოცდაათამდე პატიმარი - ყოფილი მეომარი, შეწყალების მოთხოვნით, კვლავ შიმშილობის აქციას იწყებს.

სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის განცხადებით, პატიმრები მოითხოვენ, რომ ხელახლა გადაიხედოს მათი საქმეები ან მათზეც გავრცელდეს პარლამენტისა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომელიც მხოლოდ ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე მეომარ პატიმრებს შეეხოთ.

"ცალმხრივი შერიგება არ არსებობს," – ამბობს ნანა დევდარიანი და მიიჩნევს, რომ 20 აპრილის დადგენილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ყველა მსჯავრდებულზე უნდა გავრცელებულიყო.

სახალხო დამცველის აზრით, ზემოხსენებული კატეგორიის მსჯავრდებულების შეწყალება ახლა მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა მოხდეს. პარლამენტმა ყოფილ მებრძოლთა შესახებ უნდა მიიღოს ახალი დადგენილება, რის საფუძველზეც მოხდება ყველა მეომარი პატიმრის საქმის შესწავლა და შემდეგ მათი გათავისუფლების ან საპატიმრო წლების შემცირების საკითხი გადაწყდება.

**"პრეზიდენტის მიერ შეწყალების ახალი აქტის გამოცემამ, შეიძლება ისევ გაუგებრობა გამოიწვიოს. პრეზიდენტს ხშირად ედავებიან, რომ იგი კრიმინალებსა და ტერორისტებს გარეთ უშვებს,"** - აცხადებს საქართველოს ომბუდსმენი და სწორედ ამიტომაც, პრობლემის გადაჭრის რეალურ გზად ახალი დადგენილების მიღებას მიიჩნევს.

საპატიმროებში ამჟამად, სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის, 800-მდე ყოფილი მეომარი იხდის სასჯელს.

# საიდუმლო მასალები 35 წლის შემდეგ გამოქვეყნდა

კგბ-ს საიდუმლო მასალებში არსებული ახალი ფაქტები, რომელიც იური გაგარინის სიკვდილს ეხება, კოსმონავტის დაღუპვიდან 35 წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

იური გაგარინი და მისი ინსტრუქტორი ვლადიმირ სერეგინი 1968 წლის 27 მარტს დაიღუპნენ.

საჰაერო ხომალდის განადგურების ნამდვილი მიზეზები ამ წლების მანძილზე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. თუმცა, საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ ხომალდის კატასტროფა ქვეყნის მმართველი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა პირებმა მოაწყვეს. გავრცელებული ინფორმაციით, პირველი საბჭოთა კოსმონავტი ალკოჰოლური სასმელებისა და ქალებისადმი დიდ სიყვარულს იჩენდა, რაც საერთაშორისო საზოგადოების თვალში საბჭოთა ქვეყნის დისკრედიტაციის ტოლფასი იყო - ასე თვლიდნენ კომპარტიის ლიდერები.

გაგარინის დაღუპვის ფაქტზე, თავის დროზე, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურისა და სამხედრო პროკურატურის მიერ სამი გამოძიება ჩატარდა.

გაგარინის დაღუპვიდან 35 წლის შემდეგ გაზეთმა "Комсомольская правда"-მ გამოაქვეყნა კგბ-ს კონტრდაზვერვის განყოფილების მიერ ჩატარებული გამოძიების დასკვნა, რომელიც გასაიდუმლოებული იყო. ამ მასალების მიხედვით, ხომალდის კატასტროფა სამხედრო-საჰაერო ბაზის აეროდრომის თანამშრომელთა არაკვალიფიციურმა ქმედებამ გამოიწვია.

ხომალდის გამოცდამდე, ფრენის მართვის ცენტრის მორიგე პოლკოვნიკმა, რომლის ვინაობასაც გაზეთი არ ასახელებს, გაგარინს მოსალოდნელი ამინდის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. არადა, რეალურად, ამინდი ფრენისთვის უვარგისი იყო. გარდა ამისა, ტექნიკოსების ჯგუფმა, რომელმაც ხომალდი გაფრენამდე შეამოწმა, კოსმონავტს საწვავის ბაკის ხარვეზების თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდა.

კონტრდაზვერვის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით, კოსმონავტი ხომალდის გამოცდისას სწორედ ამ არასწორ მონაცემებს დაეყრდნო, რამაც კატასტროფა გამოიწვია.

აეროპორტის თანამშრომელთა ქმედებას არსებული საფრენი ინსტრუქციის უხეში დარღვევის კვალიფიკაცია მისცეს. კგბ-ს მიერ ჩატარებული გამოძიების მასალები დაიხურა და 35 წლის განმავლობაში მას დღის სინათლე არ უხილავს, რამაც კომპარტიის ლიდერთა მიერ ხომალდის კატასტროფის მოწყობის თაობაზე ხმების გავრცელება გამოიწვია.

# სერბიის პოლიცია მილოშევიჩის ცოლს რუსეთში ეძებს

სერბიის პოლიცია სლობოდან მილოშევიჩის ცოლის რუსეთიდან ბელგრადში დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვს. ყოფილი პრეზიდენტის ცოლის - მირე მარკოვიჩის დაკითხვა, მილოშევიჩის პოლიტიკური მოკავშირის, სერბიის ყოფილი პრეზიდენტის ივან სტამბოლიჩის მკვლელობასთან დაკავშირებით, პოლიციას აუცილებლად მიაჩნია. სტამბოლიჩი 2000 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა და რამდენიმე დღის წინ მისი ცხედარი აღმოაჩინეს.

სერბ სამართალდამცველთა განცხადებით, მათ მოეპოვებათ ინფორმაცია, რომ ყოფილი პრეზიდენტის მეუღლემ ბელგრადი 23 თებერვალს დატოვა და ამჟამად იგი რუსეთს აფარებს თავს. ამიტომაც, სერბიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მირე მარკოვიჩს მისი ადვოკატის საშუალებით ოფიციალური მოწვევა გაუგზავნა, პოლიცია მის ბელგრადში დაუყოვნებლივ დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვს. "თუ მილოშევიჩის ცოლი უახლოეს დღეებში ბელგრადში არ ჩამოვა, მის დაპატიმრებაზე გაიცემა საერთაშორისო სანქცია და საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება," – აცხადებს სერბიის შინაგან საქმეთა სამინისტრო. პოლიციის ინფორმაციით, ერთ დროს მილოშევიჩის პოლიტიკური მოკავშირე ივან სტამბოლიჩი, მოგვიანებით, მის ერთ-ერთ სერიოზულ ოპონენტად იქცა. იგი მილოშევიჩის ხელქვეითებმა – პოლიციის სპეციალური დანაყოფის წევრებმა გაიტაცეს და დახვრიტეს, ხოლო შემდეგ ცხედარი დამარხეს. პოლიციამ სტამბოლიჩის საქმის გამოძიებისას ეჭვი მილოშევიჩზეც მიიტანა, ამიტომაც როგორც მილოშევიჩის, ასევე მისი ცოლის სახლები გაჩხრიკა. სტამბოლიჩის ცხედრის სამალავის შესახებ ინფორმაციას სწორედ მირე მარკოვიჩის სახლში მიაგნეს. თუ რა ინფორმაცია მოიპოვეს კანონდამცველებმა, გასაიდუმლოებულია.

საერთოდ კი, მას შემდეგ, რაც სერბიის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი სიცოცხლეს გამოასალმეს, სერბიის პოლიციამ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ უპრეცედენტო ოპერაციების ჩატარება დაიწყო. სპეცოპერაციის მსვლელობისას პოლიციამ 1000-ზე მეტი ეჭვმიტანილი დააპატიმრა, 400 კი უკვე გაასამართლეს. პოლიცია იმუქრება, რომ ყველა იმ ადამიანს დაიჭერს, რომლის საქმიანობის შესახებ უბრალო ეჭვი გაჩნდება.

## მოკლედ

**თბილისი.** დღეს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავა სასამართლოს ჩვენებას მისცემს. ბრალდებულის დაკითხვა საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა წინა პროცესზე მოითხოვა, თუმცა მაშინ ხურცილავამ კანონით მინიჭებული დუმილის უფლება გამოიყენა და ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საოლქო სასამართლო ორ ქისტ პატიმარს - რობიზონ მარგოშვილსა და გიორგი კუშტანაშვილს საბოლოო განაჩენს გამოუტანს. ქისტების ადვოკატი კახა არაბიძე პროცესზე განსასჯელთა დარბაზიდან გათავისუფლებას ითხოვს.

მარგოშვილსა და კუშტანაშვილს საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ ბრალი. განსასჯელები იმ 13 დაკავებულს შორის იყვნენ, რომლებიც სამართალდამცველებმა საზღვრის დარღვევის ბრალდებით, 2002 წლის 4 აგვისტოს გირევის საგუშაგოზე დააკავეს. ბრალდებების მიხედვით, რობიზონ მარგოშვილსა და გიორგი კუშტანაშვილს 16 წლამდე პატიმრობა ელით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ბონდო შალიკიანი პრეზიდენტის რწმუნებულისგან იმერეთის მხარეში - თემურ შაშიაშვილისგან 30 ათას ლარს ითხოვს და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას სამართლებრივი გზით აპირებს. საქმე ისაა, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის აქციათა 6-პროცენტიანი პაკეტის მფლობელი შალიკიანი აცხადებს, რომ შაშიაშვილს, რომელმაც ქარხანაში წარმოებული ჯიპი" ნისიად გამოიყვანა, ავტომანქანის ღირებულებიდან 10 ათასი ლარი კიდევ აქვს გადასახდელი და ეს თანხა, როგორც ქარხნის აქციათა ნაწილის მეპატრონეს. მასაც ეკუთვნის. "შაშიაშვილმა ის ვალიც უნდა დამიბრუნოს, რომელიც მის მძღოლებს ჩემს მფლობელობაში მყოფი ბენზინგასამართი სადგურებიდან ნისიად აღებული საწვავის საფასურის სახით დაუგროვდათ," - განაცხადა შალიკიანმა, რომლის მტკიცებით, ბენზინგასამართი სადგურებიდან წლების მანძილზე ნისიად აღებული საწვავის ღირებულებამ დღეისათვის უკვე 20 ათას ლარს გადააჭარბა. **ინტერ-პრესი**

# "საოჯახო ტოტო"-ს 29 მარტის №1 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000020 | 8 | 001392 | 16 | 002990 | 2 | 004441 | 8 | 005844 | 22 | 007542 | 12 |
| 000028 | 6 | 001411 | 22 | 002994 | 2 | 004457 | 6 | 005847 | 4 | 007563 | 4 |
| 000052 | 20 | 001420 | 2 | 002995 | 6 | 004479 | 12 | 005875 | 12 | 007564 | 2 |
| 000070 | 2 | 001430 | 14 | 003011 | 22 | 004488 | 2 | 005898 | 2 | 007571 | 2 |
| 000089 | 24 | 001436 | 14 | 003017 | 4 | 004498 | 24 | 005914 | 2 | 007578 | 10 |
| 000090 | 6 | 001475 | 2 | 003064 | 12 | 004500 | 22 | 005916 | 12 | 007603 | 16 |
| 000097 | 4 | 001479 | 16 | 003083 | 8 | 004515 | 6 | 005949 | 2 | 007621 | 8 |
| 000100 | 2 | 001504 | 8 | 003113 | 8 | 004519 | 20 | 005974 | 24 | 007631 | 6 |
| 000184 | 10 | 001510 | 8 | 003141 | 2 | 004537 | 20 | 005981 | 4 | 007647 | 16 |
| 000195 | 8 | 001526 | 16 | 003148 | 6 | 004539 | 6 | 006039 | 14 | 007648 | 2 |
| 000197 | 8 | 001572 | 2 | 003225 | 14 | 004548 | 28 | 006098 | 14 | 007706 | 16 |
| 000205 | 2 | 001581 | 16 | 003246 | 6 | 004626 | 10 | 006111 | 2 | 007716 | 18 |
| 000206 | 6 | 001589 | 18 | 003256 | 2 | 004633 | 4 | 006131 | 12 | 007753 | 8 |
| 000209 | 20 | 001636 | 16 | 003277 | 6 | 004646 | 2 | 006140 | 4 | 007760 | 2 |
| 000212 | 14 | 001644 | 14 | 003280 | 28 | 004657 | 14 | 006183 | 2 | 007780 | 6 |
| 000231 | 2 | 001649 | 22 | 003292 | 16 | 004690 | 24 | 006194 | 10 | 007803 | 2 |
| 000237 | 4 | 001653 | 2 | 003301 | 16 | 004698 | 4 | 006232 | 8 | 007842 | 8 |
| 000240 | 4 | 001714 | 6 | 003303 | 16 | 004703 | 6 | 006239 | 10 | 007871 | 2 |
| 000247 | 12 | 001737 | 18 | 003305 | 12 | 004753 | 6 | 006266 | 12 | 007884 | 4 |
| 000262 | 12 | 001764 | 8 | 003310 | 6 | 004831 | 2 | 006271 | 8 | 007915 | 16 |
| 000275 | 14 | 001766 | 8 | 003347 | 4 | 004846 | 2 | 006351 | 2 | 007923 | 18 |
| 000326 | 4 | 001767 | 10 | 003397 | 2 | 004860 | 14 | 006392 | 6 | 007933 | 2 |
| 000362 | 2 | 001799 | 20 | 003407 | 2 | 004872 | 8 | 006397 | 10 | 007934 | 8 |
| 000367 | 10 | 001810 | 26 | 003457 | 24 | 004876 | 6 | 006422 | 4 | 007955 | 4 |
| 000399 | 2 | 001842 | 16 | 003463 | 10 | 004906 | 4 | 006465 | 20 | 007976 | 2 |
| 000401 | 20 | 001859 | 10 | 003479 | 6 | 004907 | 2 | 006487 | 12 | 008006 | 6 |
| 000403 | 8 | 001894 | 18 | 003486 | 16 | 004923 | 22 | 006515 | 6 | 008036 | 12 |
| 000465 | 4 | 001900 | 12 | 003492 | 2 | 005007 | 6 | 006541 | 2 | 008055 | 8 |
| 000482 | 16 | 001925 | 26 | 003529 | 4 | 005055 | 24 | 006553 | 8 | 008106 | 6 |
| 000539 | 30 | 001966 | 6 | 003539 | 40 | 005060 | 20 | 006556 | 12 | 008210 | 6 |
| 000572 | 4 | 001991 | 24 | 003541 | 6 | 005078 | 6 | 006620 | 6 | 008273 | 6 |
| 000586 | 14 | 002000 | 2 | 003636 | 2 | 005088 | 6 | 006669 | 8 | 008297 | 6 |
| 000588 | 14 | 002015 | 50 | 003646 | 8 | 005141 | 6 | 006672 | 6 | 008307 | 10 |
| 000592 | 4 | 002034 | 18 | 003648 | 4 | 005144 | 6 | 006677 | 2 | 008312 | 2 |
| 000597 | 4 | 002056 | 8 | 003677 | 16 | 005146 | 2 | 006692 | 30 | 008357 | 2 |
| 000618 | 8 | 002106 | 2 | 003685 | 12 | 005209 | 14 | 006702 | 16 | 008358 | 2 |
| 000629 | 2 | 002125 | 14 | 003686 | 10 | 005210 | 14 | 006741 | 10 | 008390 | 4 |
| 000635 | 8 | 002147 | 8 | 003707 | 2 | 005240 | 2 | 006750 | 14 | 008417 | 24 |
| 000639 | 8 | 002155 | 22 | 003719 | 8 | 005254 | 8 | 006753 | 8 | 008430 | 18 |
| 000647 | 10 | 002166 | 12 | 003765 | 18 | 005258 | 20 | 006762 | 2 | 008436 | 28 |
| 000662 | 20 | 002181 | 6 | 003802 | 2 | 005260 | 2 | 006785 | 14 | 008446 | 6 |
| 000667 | 4 | 002186 | 12 | 003827 | 6 | 005287 | 4 | 006794 | 4 | 008488 | 14 |
| 000690 | 4 | 002221 | 16 | 003839 | 2 | 005340 | 4 | 006839 | 6 | 008520 | 2 |
| 000701 | 2 | 002229 | 2 | 003840 | 4 | 005343 | 22 | 006900 | 10 | 008522 | 6 |
| 000703 | 8 | 002244 | 12 | 003866 | 8 | 005352 | 6 | 006929 | 26 | 008527 | 2 |
| 000708 | 8 | 002247 | 4 | 003872 | 6 | 005381 | 10 | 006937 | 6 | 008541 | 12 |
| 000711 | 24 | 002248 | 6 | 003875 | 10 | 005395 | 10 | 006969 | 2 | 008546 | 2 |
| 000791 | 10 | 002259 | 16 | 003894 | 10 | 005404 | 4 | 006980 | 2 | 008551 | 4 |
| 000810 | 6 | 002260 | 4 | 003900 | 2 | 005415 | 2 | 007020 | 4 | 008558 | 30 |
| 000814 | 2 | 002289 | 16 | 003901 | 40 | 005424 | 10 | 007043 | 10 | 008581 | 4 |
| 000869 | 2 | 002320 | 8 | 003902 | 10 | 005428 | 2 | 007048 | 2 | 008597 | 24 |
| 000876 | 10 | 002368 | 6 | 003947 | 2 | 005433 | 4 | 007049 | 2 | 008639 | 10 |
| 000904 | 10 | 002405 | 18 | 003956 | 10 | 005449 | 14 | 007137 | 2 | 008658 | 12 |
| 000919 | 2 | 002446 | 10 | 003963 | 6 | 005455 | 6 | 007174 | 20 | 008664 | 26 |
| 000929 | 4 | 002447 | 12 | 003986 | 8 | 005458 | 6 | 007201 | 8 | 008679 | 2 |
| 000933 | 4 | 002497 | 2 | 003991 | 8 | 005493 | 16 | 007233 | 4 | 008688 | 2 |
| 000964 | 40 | 002505 | 6 | 003998 | 28 | 005528 | 10 | 007266 | 6 | 008690 | 6 |
| 000990 | 12 | 002516 | 8 | 004021 | 6 | 005529 | 12 | 007278 | 4 | 008703 | 4 |
| 001022 | 2 | 002577 | 12 | 004038 | 2 | 005538 | 10 | 007295 | 10 | 008712 | 24 |
| 001028 | 2 | 002596 | 6 | 004107 | 2 | 005568 | 6 | 007317 | 22 | 008726 | 6 |
| 001038 | 4 | 002619 | 26 | 004121 | 16 | 005574 | 8 | 007319 | 6 | 008742 | 10 |
| 001049 | 12 | 002624 | 20 | 004144 | 28 | 005575 | 10 | 007330 | 16 | 008755 | 22 |
| 001068 | 2 | 002643 | 2 | 004163 | 4 | 005588 | 8 | 007355 | 6 | 008760 | 12 |
| 001081 | 4 | 002650 | 2 | 004169 | 6 | 005620 | 14 | 007401 | 40 | 008781 | 24 |
| 001119 | 2 | 002671 | 4 | 004180 | 10 | 005640 | 10 | 007404 | 6 | 008808 | 4 |
| 001123 | 18 | 002693 | 4 | 004206 | 6 | 005643 | 6 | 007428 | 10 | 008809 | 6 |
| 001133 | 6 | 002703 | 12 | 004251 | 4 | 005654 | 12 | 007429 | 4 | 008821 | 10 |
| 001138 | 2 | 002745 | 6 | 004261 | 2 | 005658 | 50 | 007434 | 10 | 008831 | 4 |
| 001144 | 4 | 002787 | 2 | 004274 | 4 | 005674 | 2 | 007443 | 2 | 008832 | 4 |
| 001207 | 2 | 002789 | 14 | 004288 | 2 | 005679 | 20 | 007446 | 14 | 008873 | 2 |
| 001237 | 4 | 002798 | 4 | 004339 | 16 | 005697 | 30 | 007453 | 16 | 008880 | 18 |
| 001240 | 4 | 002804 | 12 | 004343 | 10 | 005704 | 4 | 007461 | 6 | 008909 | 8 |
| 001321 | 8 | 002848 | 4 | 004346 | 20 | 005705 | 2 | 007471 | 18 | 008941 | 16 |
| 001333 | 28 | 002852 | 2 | 004364 | 4 | 005777 | 24 | 007489 | 24 | 008951 | 6 |
| 001370 | 4 | 002862 | 6 | 004368 | 24 | 005795 | 30 | 007521 | 6 | 008952 | 2 |
| 001383 | 8 | 002876 | 8 | 004375 | 14 | 005819 | 6 | 007532 | 4 | 008978 | 2 |
| 001391 | 10 | 002949 | 2 | 004405 | 2 | 005823 | 2 | 007537 | 4 | 008980 | 12 |

| ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 008983 | 2 | 010592 | 8 | 012198 | 2 | 013538 | 10 | 015128 | 2 | 016614 | 10 |
| 009000 | 4 | 010593 | 2 | 012275 | 14 | 013556 | 16 | 015164 | 8 | 016639 | 14 |
| 009025 | 4 | 010618 | 2 | 012278 | 2 | 013603 | 14 | 015169 | 10 | 016659 | 4 |
| 009056 | 2 | 010622 | 14 | 012299 | 2 | 013605 | 4 | 015171 | 4 | 016683 | 24 |
| 009075 | 2 | 010643 | 8 | 012320 | 6 | 013638 | 4 | 015191 | 4 | 016689 | 16 |
| 009080 | 10 | 010658 | 10 | 012323 | 2 | 013639 | 2 | 015199 | 4 | 016718 | 8 |
| 009113 | 20 | 010661 | 4 | 012365 | 2 | 013640 | 2 | 015246 | 4 | 016734 | 14 |
| 009158 | 12 | 010671 | 4 | 012376 | 16 | 013677 | 4 | 015270 | 2 | 016736 | 4 |
| 009203 | 2 | 010700 | 10 | 012385 | 2 | 013708 | 30 | 015271 | 10 | 016803 | 4 |
| 009204 | 8 | 010703 | 8 | 012393 | 8 | 013734 | 4 | 015307 | 8 | 016810 | 12 |
| 009229 | 2 | 010710 | 14 | 012412 | 22 | 013777 | 2 | 015316 | 2 | 016844 | 6 |
| 009232 | 8 | 010734 | 2 | 012453 | 8 | 013804 | 16 | 015328 | 2 | 016846 | 6 |
| 009256 | 16 | 010738 | 10 | 012458 | 6 | 013841 | 4 | 015331 | 8 | 016851 | 20 |
| 009271 | 6 | 010746 | 24 | 012510 | 20 | 013851 | 12 | 015378 | 10 | 016881 | 4 |
| 009323 | 2 | 010796 | 6 | 012514 | 2 | 013864 | 4 | 015390 | 4 | 016892 | 8 |
| 009360 | 8 | 010859 | 40 | 012521 | 10 | 013895 | 10 | 015402 | 10 | 016900 | 18 |
| 009363 | 2 | 010860 | 2 | 012529 | 4 | 013930 | 10 | 015405 | 4 | 016985 | 10 |
| 009364 | 8 | 010877 | 6 | 012541 | 2 | 013969 | 18 | 015412 | 12 | 016990 | 6 |
| 009407 | 16 | 010881 | 6 | 012546 | 4 | 013988 | 4 | 015498 | 12 | 017015 | 4 |
| 009408 | 6 | 010898 | 2 | 012568 | 4 | 014001 | 8 | 015499 | 28 | 017024 | 12 |
| 009431 | 6 | 010909 | 22 | 012577 | 6 | 014003 | 10 | 015500 | 16 | 017068 | 6 |
| 009473 | 6 | 010969 | 4 | 012624 | 2 | 014029 | 8 | 015531 | 6 | 017128 | 2 |
| 009481 | 24 | 010983 | 4 | 012641 | 4 | 014046 | 4 | 015553 | 2 | 017157 | 16 |
| 009495 | 2 | 011026 | 8 | 012742 | 2 | 014069 | 2 | 015561 | 8 | 017162 | 24 |
| 009512 | 12 | 011052 | 4 | 012747 | 8 | 014105 | 4 | 015569 | 2 | 017168 | 20 |
| 009524 | 14 | 011055 | 14 | 012753 | 8 | 014115 | 12 | 015602 | 12 | 017173 | 4 |
| 009531 | 2 | 011065 | 4 | 012763 | 4 | 014178 | 4 | 015603 | 4 | 017206 | 4 |
| 009532 | 4 | 011120 | 2 | 012767 | 8 | 014192 | 10 | 015610 | 30 | 017246 | 14 |
| 009533 | 8 | 011133 | 16 | 012802 | 10 | 014195 | 22 | 015648 | 4 | 017260 | 8 |
| 009548 | 2 | 011164 | 6 | 012821 | 18 | 014220 | 4 | 015655 | 24 | 017273 | 4 |
| 009557 | 4 | 011191 | 2 | 012828 | 6 | 014225 | 6 | 015656 | 10 | 017282 | 2 |
| 009558 | 20 | 011193 | 14 | 012851 | 6 | 014229 | 12 | 015679 | 4 | 017293 | 2 |
| 009581 | 2 | 011200 | 16 | 012866 | 8 | 014241 | 10 | 015719 | 30 | 017361 | 2 |
| 009589 | 4 | 011201 | 2 | 012884 | 18 | 014248 | 4 | 015736 | 16 | 017376 | 2 |
| 009618 | 8 | 011213 | 8 | 012888 | 12 | 014264 | 14 | 015745 | 24 | 017396 | 8 |
| 009648 | 2 | 011233 | 8 | 012892 | 28 | 014278 | 18 | 015762 | 2 | 017417 | 12 |
| 009673 | 8 | 011241 | 20 | 012903 | 2 | 014325 | 8 | 015764 | 2 | 017433 | 16 |
| 009677 | 8 | 011263 | 2 | 012922 | 8 | 014339 | 4 | 015826 | 14 | 017439 | 6 |
| 009687 | 12 | 011283 | 4 | 012928 | 4 | 014350 | 2 | 015867 | 6 | 017442 | 2 |
| 009692 | 4 | 011339 | 40 | 012987 | 8 | 014361 | 8 | 015888 | 12 | 017464 | 16 |
| 009726 | 16 | 011352 | 24 | 013005 | 6 | 014368 | 14 | 015918 | 6 | 017465 | 4 |
| 009736 | 24 | 011398 | 4 | 013009 | 14 | 014376 | 2 | 015921 | 10 | 017473 | 16 |
| 009764 | 4 | 011402 | 20 | 013014 | 6 | 014406 | 4 | 015926 | 14 | 017520 | 8 |
| 009785 | 6 | 011409 | 2 | 013017 | 14 | 014418 | 2 | 015927 | 16 | 017533 | 4 |
| 009798 | 6 | 011412 | 22 | 013032 | 6 | 014438 | 8 | 015942 | 6 | 017546 | 2 |
| 009846 | 2 | 011415 | 28 | 013113 | 70 | 014443 | 16 | 015971 | 6 | 017550 | 6 |
| 009905 | 10 | 011440 | 14 | 013130 | 6 | 014455 | 6 | 015983 | 4 | 017613 | 2 |
| 009917 | 10 | 011453 | 70 | 013149 | 6 | 014472 | 12 | 016003 | 22 | 017614 | 2 |
| 009930 | 18 | 011462 | 80 | 013156 | 8 | 014494 | 4 | 016032 | 12 | 017665 | 2 |
| 009943 | 4 | 011465 | 2 | 013168 | 2 | 014506 | 20 | 016058 | 24 | 017687 | 20 |
| 009947 | 18 | 011467 | 4 | 013173 | 8 | 014522 | 12 | 016158 | 4 | 017733 | 6 |
| 009972 | 2 | 011539 | 24 | 013217 | 10 | 014529 | 10 | 016198 | 4 | 017758 | 16 |
| 009986 | 2 | 011568 | 14 | 013242 | 4 | 014555 | 14 | 016205 | 16 | 017772 | 6 |
| 010044 | 10 | 011589 | 6 | 013260 | 6 | 014613 | 8 | 016216 | 2 | 017828 | 6 |
| 010056 | 4 | 011629 | 12 | 013270 | 8 | 014620 | 2 | 016270 | 12 | 017829 | 8 |
| 010113 | 4 | 011732 | 2 | 013285 | 10 | 014635 | 16 | 016321 | 14 | 017832 | 6 |
| 010121 | 50 | 011759 | 2 | 013309 | 2 | 014653 | 12 | 016334 | 6 | 017902 | 2 |
| 010122 | 4 | 011775 | 2 | 013327 | 16 | 014659 | 4 | 016346 | 16 | 017903 | 2 |
| 010228 | 4 | 011802 | 2 | 013334 | 4 | 014667 | 2 | 016357 | 22 | 017912 | 6 |
| 010252 | 16 | 011808 | 10 | 013350 | 2 | 014678 | 20 | 016363 | 10 | 017922 | 6 |
| 010319 | 16 | 011826 | 2 | 013359 | 24 | 014684 | 12 | 016364 | 2 | 017931 | 18 |
| 010330 | 8 | 011838 | 2 | 013388 | 16 | 014701 | 18 | 016377 | 2 | 017958 | 8 |
| 010352 | 2 | 011862 | 4 | 013392 | 12 | 014715 | 4 | 016387 | 4 | 017988 | 6 |
| 010353 | 24 | 011867 | 14 | 013402 | 12 | 014718 | 4 | 016394 | 4 | 017997 | 18 |
| 010364 | 28 | 011887 | 16 | 013417 | 4 | 014773 | 10 | 016395 | 12 | 018001 | 60 |
| 010373 | 12 | 011991 | 6 | 013418 | 2 | 014889 | 24 | 016399 | 8 | 018005 | 16 |
| 010402 | 2 | 012009 | 8 | 013423 | 8 | 014895 | 10 | 016405 | 12 | 018061 | 24 |
| 010407 | 6 | 012021 | 8 | 013425 | 6 | 014902 | 12 | 016422 | 28 | 018065 | 6 |
| 010421 | 10 | 012026 | 4 | 013426 | 2 | 014962 | 2 | 016431 | 4 | 018162 | 10 |
| 010450 | 20 | 012044 | 22 | 013438 | 2 | 014971 | 14 | 016448 | 2 | 018198 | 4 |
| 010483 | 6 | 012069 | 50 | 013442 | 6 | 014983 | 14 | 016468 | 2 | 018220 | 70 |
| 010538 | 2 | 012078 | 2 | 013465 | 16 | 015063 | 4 | 016474 | 14 | 018230 | 6 |
| 010556 | 10 | 012099 | 20 | 013478 | 2 | 015083 | 6 | 016497 | 16 | 018255 | 4 |
| 010565 | 20 | 012120 | 4 | 013509 | 2 | 015089 | 16 | 016535 | 6 | 018263 | 2 |
| 010582 | 4 | 012157 | 4 | 013517 | 2 | 015103 | 20 | 016573 | 22 | 018267 | 10 |
| 010585 | 20 | 012179 | 20 | 013518 | 12 | 015105 | 16 | 016583 | 6 | 018271 | 4 |
| 010587 | 4 | 012187 | 16 | 013524 | 8 | 015124 | 4 | 016589 | 50 | 018285 | 4 |

| ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული | ბილეთის N | ფული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 018408 | 8 | 019824 | 10 | 021129 | 18 | 022605 | 16 | 023889 | 14 | 032030 | 2 |
| 018414 | 8 | 019863 | 12 | 021130 | 16 | 022629 | 18 | 023905 | 8 | 032032 | 4 |
| 018419 | 8 | 019897 | 30 | 021144 | 6 | 022641 | 16 | 023925 | 28 | 032041 | 8 |
| 018455 | 70 | 019942 | 6 | 021153 | 6 | 022652 | 6 | 023939 | 2 | 032050 | 10 |
| 018467 | 4 | 019945 | 4 | 021157 | 2 | 022669 | 8 | 023962 | 60 | 032051 | 6 |
| 018493 | 24 | 019956 | 4 | 021169 | 2 | 022673 | 4 | 023998 | 4 | 032127 | 2 |
| 018494 | 24 | 019965 | 6 | 021220 | 18 | 022675 | 4 | 024029 | 6 | 032170 | 2 |
| 018498 | 16 | 020017 | 2 | 021229 | 60 | 022704 | 2 | 024046 | 10 | 032179 | 8 |
| 018516 | 8 | 020033 | 6 | 021233 | 4 | 022713 | 2 | 024067 | 12 | 032204 | 6 |
| 018546 | 4 | 020050 | 22 | 021234 | 2 | 022714 | 8 | 024095 | 16 | 032223 | 4 |
| 018568 | 6 | 020070 | 4 | 021242 | 4 | 022748 | 2 | 024141 | 2 | 032245 | 16 |
| 018591 | 4 | 020078 | 20 | 021264 | 8 | 022752 | 12 | 024142 | 6 | 032255 | 6 |
| 018605 | 4 | 020111 | 14 | 021358 | 4 | 022766 | 4 | 024245 | 2 | 032258 | 6 |
| 018625 | 6 | 020126 | 2 | 021397 | 4 | 022800 | 6 | 024282 | 6 | 032278 | 20 |
| 018634 | 18 | 020159 | 16 | 021443 | 24 | 022813 | 10 | 024333 | 10 | 032299 | 4 |
| 018639 | 6 | 020168 | 20 | 021447 | 70 | 022816 | 6 | 024357 | 22 | 032304 | 6 |
| 018645 | 10 | 020185 | 10 | 021476 | 12 | 022905 | 12 | 024361 | 2 | 032338 | 28 |
| 018654 | 8 | 020186 | 4 | 021501 | 6 | 022930 | 8 | 024375 | 2 | 032344 | 6 |
| 018701 | 10 | 020213 | 16 | 021506 | 14 | 022941 | 8 | 024389 | 4 | 032380 | 28 |
| 018702 | 8 | 020223 | 2 | 021512 | 8 | 022973 | 8 | 024418 | 12 | 032485 | 40 |
| 018714 | 6 | 020266 | 12 | 021513 | 4 | 022984 | 8 | 024427 | 8 | 032501 | 16 |
| 018725 | 2 | 020267 | 6 | 021522 | 2 | 022988 | 2 | 024442 | 4 | 032525 | 4 |
| 018729 | 4 | 020285 | 20 | 021553 | 12 | 022998 | 26 | 024475 | 2 | 032539 | 14 |
| 018774 | 6 | 020298 | 2 | 021559 | 8 | 023013 | 4 | 024496 | 26 | 032565 | 10 |
| 018809 | 12 | 020304 | 8 | 021569 | 2 | 023019 | 6 | 024503 | 4 | 032586 | 26 |
| 018821 | 6 | 020314 | 18 | 021573 | 4 | 023039 | 2 | 024522 | 4 | 032614 | 14 |
| 018829 | 4 | 020317 | 50 | 021574 | 20 | 023044 | 16 | 024548 | 6 | 032637 | 16 |
| 018862 | 6 | 020321 | 2 | 021576 | 2 | 023069 | 6 | 024550 | 6 | 032665 | 6 |
| 018910 | 4 | 020324 | 8 | 021591 | 4 | 023072 | 2 | 024583 | 6 | 032684 | 18 |
| 018931 | 14 | 020325 | 28 | 021623 | 4 | 023094 | 10 | 024586 | 6 | 032687 | 6 |
| 018958 | 10 | 020330 | 4 | 021668 | 10 | 023123 | 16 | 024624 | 4 | 032694 | 8 |
| 018981 | 4 | 020363 | 6 | 021684 | 6 | 023203 | 4 | 024660 | 22 | 032725 | 4 |
| 018999 | 10 | 020391 | 6 | 021686 | 4 | 023228 | 8 | 024671 | 6 | 032767 | 1090 |
| 019028 | 4 | 020397 | 6 | 021718 | 2 | 023275 | 2 | 024679 | 2 | 032777 | 6 |
| 019040 | 10 | 020404 | 2 | 021723 | 2 | 023289 | 12 | 024687 | 2 | 032800 | 16 |
| 019056 | 6 | 020411 | 22 | 021780 | 6 | 023312 | 14 | 024692 | 2 | 032823 | 2 |
| 019073 | 8 | 020414 | 6 | 021791 | 6 | 023335 | 8 | 024694 | 12 | 032824 | 2 |
| 019084 | 2 | 020420 | 2 | 021793 | 2 | 023347 | 2 | 024695 | 16 | 032870 | 10 |
| 019092 | 10 | 020444 | 40 | 021805 | 4 | 023384 | 6 | 024720 | 10 | 032889 | 6 |
| 019120 | 14 | 020460 | 14 | 021828 | 16 | 023394 | 8 | 024740 | 2 | 032895 | 22 |
| 019132 | 2 | 020465 | 22 | 021839 | 20 | 023397 | 10 | 024759 | 80 | 032992 | 4 |
| 019147 | 18 | 020468 | 8 | 021863 | 6 | 023398 | 10 | 024774 | 18 | 032998 | 4 |
| 019151 | 10 | 020516 | 4 | 021903 | 16 | 023400 | 6 | 024777 | 8 | 033030 | 8 |
| 019183 | 2 | 020540 | 18 | 021904 | 2 | 023420 | 10 | 024802 | 8 | 033049 | 4 |
| 019186 | 18 | 020542 | 8 | 021940 | 6 | 023448 | 16 | 024840 | 8 | 033074 | 6 |
| 019213 | 12 | 020547 | 4 | 021946 | 2 | 023464 | 18 | 024846 | 24 | 033121 | 6 |
| 019230 | 24 | 020551 | 14 | 021951 | 16 | 023481 | 8 | 024918 | 20 | 033131 | 2 |
| 019252 | 2 | 020575 | 6 | 021975 | 6 | 023501 | 14 | 024941 | 2 | 033134 | 8 |
| 019253 | 8 | 020584 | 14 | 022043 | 14 | 023552 | 18 | 024949 | 6 | 033138 | 2 |
| 019288 | 2 | 020625 | 10 | 022049 | 6 | 023559 | 28 | 024952 | 2 | 033152 | 8 |
| 019291 | 22 | 020640 | 4 | 022067 | 2 | 023571 | 4 | 024965 | 16 | 033209 | 2 |
| 019296 | 4 | 020678 | 8 | 022079 | 20 | 023598 | 8 | 025001 | 16 | 033226 | 24 |
| 019313 | 14 | 020693 | 6 | 022091 | 16 | 023622 | 2 | 025018 | 16 | 033260 | 20 |
| 019314 | 8 | 020702 | 2 | 022120 | 22 | 023625 | 8 | 025020 | 2 | 033267 | 6 |
| 019324 | 16 | 020709 | 4 | 022140 | 14 | 023631 | 6 | 025039 | 2 | 033278 | 20 |
| 019336 | 4 | 020732 | 22 | 022193 | 2 | 023644 | 12 | 025090 | 4 | 033290 | 20 |
| 019345 | 2 | 020760 | 4 | 022197 | 2 | 023647 | 12 | 025099 | 16 | 033318 | 6 |
| 019354 | 12 | 020778 | 10 | 022226 | 16 | 023661 | 16 | 025145 | 8 | 033326 | 6 |
| 019360 | 6 | 020793 | 16 | 022264 | 12 | 023678 | 2 | 025175 | 2 | 033327 | 4 |
| 019373 | 2 | 020817 | 4 | 022268 | 6 | 023685 | 2 | 025193 | 18 | 033382 | 8 |
| 019375 | 22 | 020852 | 12 | 022289 | 2 | 023686 | 6 | 025225 | 12 | 033392 | 10 |
| 019416 | 6 | 020869 | 16 | 022299 | 2 | 023705 | 6 | 025233 | 2 | 033393 | 4 |
| 019430 | 50 | 020876 | 22 | 022326 | 2 | 023716 | 10 | 025262 | 4 | 033396 | 22 |
| 019444 | 4 | 020892 | 6 | 022337 | 16 | 023722 | 2 | 025266 | 12 | 033504 | 8 |
| 019488 | 6 | 020933 | 2 | 022343 | 2 | 023747 | 2 | 025267 | 26 | 033513 | 8 |
| 019516 | 6 | 020955 | 6 | 022363 | 8 | 023805 | 10 | 025300 | 16 | 033522 | 4 |
| 019557 | 6 | 020973 | 8 | 022371 | 6 | 023827 | 2 | 025302 | 6 | 033540 | 8 |
| 019576 | 16 | 020983 | 22 | 022372 | 4 | 023830 | 2 | 025316 | 16 | 033553 | 4 |
| 019578 | 18 | 020989 | 14 | 022409 | 8 | 023836 | 8 | 025325 | 2 | 033574 | 2 |
| 019608 | 16 | 021014 | 20 | 022440 | 18 | 023855 | 12 | 025347 | 10 | 033592 | 16 |
| 019621 | 2 | 021039 | 8 | 022468 | 6 | 023863 | 6 | 025393 | 20 | 033599 | 12 |
| 019623 | 16 | 021056 | 12 | 022502 | 12 | 023870 | 24 | 025419 | 4 | 039044 | 4 |
| 019669 | 16 | 021059 | 20 | 022528 | 12 | 023872 | 20 | 025497 | 4 | 039091 | 30 |
| 019763 | 8 | 021070 | 22 | 022537 | 2 | 023874 | 4 | 025539 | 10 | 039092 | 30 |
| 019766 | 40 | 021074 | 6 | 022541 | 14 | 023878 | 14 | 025575 | 8 | 039103 | 6 |
| 019783 | 2 | 021081 | 30 | 022565 | 24 | 023879 | 10 | 025583 | 24 | 039104 | 4 |
| 019788 | 8 | 021109 | 20 | 022595 | 4 | 023883 | 6 | 032004 | 16 | | |

## გათამაშების მიმდინარეობა

| სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | ფული | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | ფული | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | ფული | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | ფული | სვლის ნომერი | ამოსული კოჭები | ფული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 18 | | 16 | 59 | 25000 | 31 | 77 | 15000 | 46 | 35 | 900 | 61 | 71 | 30 |
| 2 | 26 | | 17 | 16 | 25000 | 32 | 73 | 14000 | 47 | 51 | 800 | 62 | 75 | 28 |
| 3 | 53 | | 18 | 70 | 25000 | 33 | 76 | 13000 | 48 | 38 | 700 | 63 | 79 | 26 |
| 4 | 63 | | 19 | 19 | 20000 | 34 | 56 | 12000 | 49 | 3 | 600 | 64 | 23 | 24 |
| 5 | 45 | | 20 | 64 | 20000 | 35 | 83 | 11000 | 50 | 33 | 500 | 65 | 68 | 22 |
| 6 | 57 | | 21 | 72 | 20000 | 36 | 8 | 10000 | 51 | 27 | 400 | 66 | 80 | 20 |
| 7 | 46 | | 22 | 22 | 20000 | 37 | 4 | 9000 | 52 | 15 | 300 | 67 | 62 | 18 |
| 8 | 58 | | 23 | 41 | 20000 | 38 | 52 | 8000 | 53 | 85 | 200 | 68 | 25 | 16 |
| 9 | 49 | | 24 | 11 | 20000 | 39 | 1 | 7000 | 54 | 50 | 100 | 69 | 74 | 14 |
| 10 | 47 | | 25 | 34 | 20000 | 40 | 17 | 6000 | 55 | 36 | 90 | 70 | 60 | 12 |
| 11 | 42 | | 26 | 82 | 20000 | 41 | 6 | 5000 | 56 | 86 | 80 | 71 | 54 | 10 |
| 12 | 88 | | 27 | 65 | 19000 | 42 | 10 | 4000 | 57 | 31 | 70 | 72 | 40 | 8 |
| 13 | 78 | | 28 | 30 | 18000 | 43 | 5 | 3000 | 58 | 48 | 60 | 73 | 21 | 6 |
| 14 | 24 | 25000 | 29 | 9 | 17000 | 44 | 61 | 2000 | 59 | 69 | 50 | 74 | 28 | 4 |
| 15 | 87 | 25000 | 30 | 12 | 16000 | 45 | 2 | 1000 | 60 | 66 | 40 | 75 | 44 | 2 |

## გაუთამაშებელი ნომრები

| |
|---|
| 7 |
| 13 |
| 14 |
| 20 |
| 29 |
| 32 |
| 37 |
| 39 |
| 43 |
| 55 |
| 67 |
| 81 |
| 84 |
| 89 |
| 90 |

## სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.
2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*

*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25 000 | 46 | 900 |
| 16 | 25 000 | 47 | 800 |
| 17 | 25 000 | 48 | 700 |
| 18 | 25 000 | 49 | 600 |
| 19 | 25 000 | 50 | 500 |
| 20 | 20 000 | 51 | 400 |
| 21 | 20 000 | 52 | 300 |
| 22 | 20 000 | 53 | 200 |
| 23 | 20 000 | 54 | 100 |
| 24 | 20 000 | 55 | 90 |
| 25 | 20 000 | 56 | 80 |
| 26 | 20 000 | 57 | 70 |
| 27 | 19 000 | 58 | 60 |
| 28 | 18 000 | 59 | 50 |
| 29 | 17 000 | 60 | 40 |
| 30 | 16 000 | 61 | 30 |
| 31 | 15 000 | 62 | 28 |
| 32 | 14 000 | 63 | 26 |
| 33 | 13 000 | 64 | 24 |
| 34 | 12 000 | 65 | 22 |
| 35 | 11 000 | 66 | 20 |
| 36 | 10 000 | 67 | 18 |
| 37 | 9 000 | 68 | 16 |
| 38 | 8 000 | 69 | 14 |
| 39 | 7 000 | 70 | 12 |
| 40 | 6 000 | 71 | 10 |
| 41 | 5 000 | 72 | 8 |
| 42 | 4 000 | 73 | 6 |
| 43 | 3 000 | 74 | 4 |
| 44 | 2 000 | 75 | 2 |
| 45 | 1 000 | | |

www.24hours.ge 24 B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო, იტყვიან ჩვენში თავგზააბნეულ, ან სულაც სიტყვის გამტეხ კაცზე. როგორც ეტყობა, ამ კატეგორიაში რომ არ მოხვედრილიყო და თავისი უაღრესი მოწესრიგებულობისა და ფრიადი პატიოსნების დასამტკიცებლად, გაზეთმა “24 საათმა” გადაწყვიტა, მინიმუმამდე დაეყვანა პარასკევთა შესაძლო რიცხვი კვირაში, უბრალოდ რომ ვთქვათ, სულაც გამოერიცხა კვირიდან პარასკევი. აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ, რომ გასული კვირის ორი სხვადასხვა ნომრის პირველ გვერდს იდენტური წარწერა ამშვენებდა: ხუთშაბათი, 27 მარტი, 2003 წელი № 84 (286). ეჰ, ამეებზე უარესიც გვინახავს ცხოვრებაში: მე, მაგალითად, ჩემი თვალით მინახავს ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს მთავარი ბეჭდვითი ორგანოს, Osservatore romano-ს ნომერი, რომელიც პირველი გვერდიდან დიდი ზარ-ზეიმით აუწყებდა მორწმუნე კათოლიკეებს, რომ კონკლავმა აირჩია ახალი პაპი, პავლე მეხუთე. “მეექვსე” უნდა დაებეჭდათ, რადგან პავლე № 5 უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც განისვენებს. ასე რომ, იმედია არ გაგვინაწყენდებოდა მკითხველი, რომ სულ რაღაც ერთი დღით დავაბრუნეთ წარსულში და სწორი თარიღის გასაგებად არ დაიზარებდა სულ ერთი გვერდის გადაფურცვლას.

ისე, ერთი რუსული სემინარიული ხუმრობა კი გამახსენა ამ შემთხვევითობამ. ეს ხუმრობა ასე შეიძლება ვთარგმნოთ ქართულად: “უკუეთუ ხუთშაბათსა და შაბათს შუა პარასკევი მოხვდეს, მარხვაი ნუ იყოფინ”. რუს სემინარისტებს, როგორც ვხედავთ, არც იუმორის გრძნობა დაუკარგავთ და, თუ სიტყვაზე მენდობით, არც მართლმადიდებლური საეკლესიო ტრადიციები. აი, ჩვენ კი პრესაში წამდაუწუმ ვაწყდებით ერთსა და იმავე საეკლესიო ინოვაციას, რომელსაც “საქართველოს საპატრიარქოს განცხადება ჰქვია”. ეს დოკუმენტი ამჯერად 23 მარტითაა დათარიღებული და 24 მარტის ნომერში გამოქვეყნდა. ტექსტის ქვეშაც ხელმოწერის ნაცვლად ეს ორი სიტყვა წერია: საქართველოს საპატრიარქო.

ვინ მიპასუხებს: ნუთუ ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა ჩვენი კათალიკოს-პატრიარქის ხმა არ უნდა გავიგოთ, რომელიც საკუთარი სახელით მოგვმართავს? ნუთუ თბილისელებმა მხოლოდ ახალწლის ღამეს უნდა იხილონ თავიანთი ეპისკოპოსი და მერე მათ შორის დოგმატიკაში ყველაზე გათვითცნობიერებულებმა დილამდე თავი იტეხონ იმაზე, რომ თურმე ქრისტიანის უმთავრესი საუნჯე სამშობლო ყოფილა? სად დაიკარგა ჩვენი ეკლესიის მწყემსთმთავარი, რომლის ხმა უნდა გვაკურთხებდეს, გვსჯიდეს და გვმოძღვრავდეს ყველას, ვისი ადგილიც სადღესასწაულო წირვებზე საქართველოს პრეზიდენტის დაცვამ დაიკავა? დაიკარგა ეს ხმა, აღარ არის...

მის მაგიერ კი რაღაც უსახური ბიუროკრატიული აპარატი, კოლექტიური სუბიექტი, საქართველოს საპატრიარქო გვესაუბრება. ლათინთა იურისდიქციონალიზმი და ყბადაღებული რომის კურია მოგაგონდება კაცს!

მაინც რას გვამცნობს ეს განცხადება?

ქვესათაური ერთობ ნიშანდობლივია: “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემიჯნება როგორც რელიგიურ ექსტრემიზმს, ისე უკიდურეს სარწმუნოებრივ ლიბერალიზმს”. დიახ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემიჯნება თურმე. ვის მიმართავს ეს განცხადება? არამართლმადიდებლებს? მაგრამ მათ ხომ ისედაც იციან, ისინი ხომ ისედაც ხედავენ და ატყობენ, რას ვემიჯნებით და რას არა. იქნებ ჩვენ მოგვმართავს, მართლმადიდებლებს. მაშინ რატომ არ მოგვიწოდებს: ძმებო, დებო და შვილებო, გაემიჯნეთ! თურმე ფაქტის წინაშე უნდა დავდგეთ: უკვე გავმიჯნულვართ და ეგაა! აი, ასე, დიდი საბჭოთა ხალხივით უნდა გავიგოთ ერთი დღის შემდეგ, რომ დაიდო მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი და ნაცისტური გერმანია ჩვენი მოკავშირეა, ერთი კვირის შემდეგ — რომ გარდაიცვალა პოლიტბიუროს მორიგი წევრი, რომელსაც სანოემბრო დღესასწაულების გამო რამდენიმე დღე მაცივარში ინახავდნენ. რაც გინდათ, ის თქვით ჩვენს გაზეთზე, როგორც გსურთ, ისე გაგვაკრიტიკეთ, მაგრამ ერთი რამ ნათელი უნდა იყოს: ეს “პრავდა” არაა!

საქართველოს საპატრიარქომ კი, როგორც ეტყობა, არ იცის, რა არის ეკლესია. განვუმარტავთ: ეკლესია ჩვენა ვართ, მართლმადიდებელი ქრისტიანები. და ჩვენ, ერთგულ ცხოვართა მსგავსად, გავყვებით ჩვენი მწყემსის ხმას, თუ ის მოგვიწოდებს. მაგრამ არ დავუჯერებთ არავის, ვინც გვეტყვის, რომ უკვე ფარეხში ვართ შესული, რადგანაც ღმერთმა ცოტაოდენი ჭკუაც მოგვმადლა იმის დასანახად, რომ ტყის პირას ვართ მიტოვებულნი.

ახლა ის ვნახოთ, რას ემიჯნება ეს ეგზომ უცნაურად განსაზღვრული ეკლესია თუ მისი “ინფორმბიურო”. ერთი მხრივ, რელიგიურ ექსტრემიზმს. ეს ასე თუ ისე გასაგებია, თუმცა კი დაუჯერებელი. მეორე მხრივ კი — უკიდურეს სარწმუნოებრივ ლიბერალიზმს. ეს რაღას ნიშნავს? — ალბათ, ზომიერ სარწმუნოებრივ ლიბერალიზმს უნდა ეთანხმებოდეს... უფრო დაწვრილებით გავარკვიოთ ამ ტექსტის აზრი.

**“საზოგადოდ ცნობილია, რომ რელიგიური ფაქტორი, გარდა სარწმუნოებრივი შინაარსისა, დიდ კულტურულ და პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს”.** ამ წინადადებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ თურმე რელიგიური ფაქტორი სარწმუნოებრივ შინაარსს ატარებს. რას ნიშნავს ეს? რისი რელიგიური *ფაქტორი*? სარწმუნოებრივ შინაარსს ატარებს, საზოგადოდ, მოძღვრება, საღვთო წერილი, ყოველი ცალკეული დოგმა ან თეოლოგუმენი, ყოველი კონკრეტული ქადაგება და არა რაღაც *ფაქტორი*.

**“იმის გამო, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური როლი თანდათან ფართო მასშტაბებს იძენს, იზრდება ეკლესიის ფუნქციაც და, აქედან გამომდინარე, მრავალთა ინტერესიც ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღის მიმართ**”. ძალიან საინტერესო რამეებს გავიგებთ ამ წინადადებიდანაც: ეკლესიის ფუნქცია ჩვენს საზოგადოებაში თურმე ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ როლთან ყოფილა დაკავშირებული. თავისთავად, ეს მართალია, რადგან საქართველოს ჩართვა მსოფლიო ისტორიულ პროცესებში ჩვენი ცხოვრების უწვრილმანეს დეტალებზეც კი იმოქმედებს. მაგრამ ამ კონტექსტში ნეტა რას გულისხმობს ეკლესიის ფუნქციის ზრდა (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ ფუნქციის ცვლილება)? ეს ოდნავ ზემოთაა განმარტებული: “**სრულიად ნათელია 20-საუკუნოვანი ტრადიციის მქონე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც მუდამ იყო და არის ეროვნული მსოფლმხედველობის და ფასეულობების დაცვის მთავარი გარანტი**”. გავანებოთ თავი იმას, რომ წინადადება უხეიროდაა აგებული და გაუგებარია, ვინ არის დაცვის მთავარი გარანტი, ეკლესია თუ ჩვენი ქვეყანა. სხვა ტექსტებიდან ვიცით, რომ ასეთად ზემოხსენებული ახლებური წესით განმარტებული ეკლესია საკუთარ თავს გულისხმობს. გამოდის, რომ, ერთი მხრივ, მსოფლიო ისტორიული პროცესების ნაკადში მოხვედრას ვლამობთ, მეორე მხრივ, კი ამ ნაკადიდან მშრალად გამოსვლის იმედიც გვაქვს. მშრალად, ესე იგი უცვლელად, ესე იგი, კვლავინდებური ბნელი და ცივი ზამთრებით, ცარიელი ჯიბით, შეურაცხყოფილი ღირსებით, ქუჩებში, ოფისებსა და კაბინეტებში გაზულუქებული სხვადასხვა ჯურისა და ყალიბის ქურდბაცაცებით, გავერანებული სოფლებითა და ნაგავსაყრელად ქცეული ქალაქებით, დამშეული ჯარითა და გამგელებული პოლიციით. თურმე სწორედ ეკლესიამ უნდა მიხედოს იმას, რომ ჩვენი ფასეულობები იგივე დარჩეს და არანაირი სიახლე არ შეგვეხოს. სხვა თუ არაფერი, განა ამ ჩვენს ყბადაღებულ ფასეულობებსა და ტრადიციებს, ამ ჩვენს უხილავსა და გამოუთქმელ ეროვნულ მსოფლმხედველობას არანაირი წვლილი არ მიუძღვის ჩვენი ყოფის გაუსაძლისობაში? დიახ, ჩიჩიაც გვენატრება და ბაბაც, ახლა კიდევ ჭეშმარიტების ნათელი — ეკლესია რაღაც უსახურმა საპატრიარქომ შეგვიცვალა. ამ საპატრიარქომ უნდა ითავოს ჩვენი აზრისა და გონების გაყინვა, მისი უგრძნობელყოფა ყოველივე იმის წინაშე, რაც ადამის მოდგმას აღელვებს. ხომ ხედავთ, თურმე უკვე იმდენად უგრძნობელნი გავმხდარვართ, რომ მხოლოდ გეოპოლიტიკური როლის გაფართოებასთან დაკავშირებით გვაინტერესებს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე.

მაგრამ კვლავ განცხადების ტექსტს დავუბრუნდეთ.

**“ბუნებრივია, სხვადასხვა ძალებს სურთ, რომ საქართველოს რელიგიური მოწყობაც მათი ინტერესების შესაბამისად მოხდეს, რამაც რელიგიურ კონფლიქტთან დაკავშირებული ორი მიმართულება წარმოშვა; მათი მიზნები და მეთოდები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და, ამავე დროს, სრულიად განსხვავებული და მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისთვის**”. კვლავაც ნუ შევამჩნევთ უხეირო ქართულს, ახლა უფრო ის გვაინტერესებს, რას ნიშნავს *საქართველოს რელიგიური მოწყობა*. განა ეს საქართველოს ყოველი მოქალაქის პირადი არჩევანით არ უნდა იყოს განპირობებული და არა რომელიმე დაუსახელებელი ძალის ერთპიროვნული ნებით? ბოლოს და ბოლოს, რელიგიური მოწყობა (ალბათ, უფრო სამართლიანი იქნებოდა, სიტუაცია გვეწოდებინა მისთვის) ხომ ემპირიული გამოკვლევის შედეგი უნდა იყოს და არა ვინმე ერთის მხრიდან გეგმაზომიერი საქმიანობისა. გარდა ამისა, ეს რა რელიგიური კონფლიქტი ჩნდება მოულოდნელად განცხადების ტექსტში. რა რელიგიურ კონფლიქტს გვაუწყებს საპატრიარქო, რომელიც პეტრე გრუზინსკის ერთი სასიმღერო ლექსის კვალობაზე სულ იმას გვიმტკიცებს, საქართველო ტრადიციულად ტოლერანტული ქვეყანააო? მაგრამ კიდევ უფრო არსებითი სხვა კითხვაა. ეს რელიგიური მოწყობა იმთავითვე წარმოდგენილია როგორც რომელიღაც ძალების მოქმედების მეორადი პროდუქტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიკითხოთ, თვით საპატრიარქოს პოზიცია რომელი ძალის მოქმედებასა და ინტერესებს ეფუძნება? ცხადია, გვიპასუხებენ, რომ არავითარი გარეშე ძალა აქ არ მონაწილეობს და რომ მართლმადიდებელი ეკლესია ერთგულად განაგრძობს თავის ტრადიციებს. მაგრამ რატომ უარყოფს იმას, რომ სხვებიც შეიძლება უანგარონი იყვნენ თავიანთ მისწრაფებებში, რომ საკუთარი სინდისისა და იგივე მართლმადიდებელი მრწამსის, სახარების სულისკვეთებით მოქმედებდნენ?

**“შექმნილი სიტუაცია ნათლად გვიჩვენებს, რომ ერთი ძალა ცდილობს ექსტრემისტული მეთოდების დანერგვით საქართველო რელიგიური დაპირისპირების არენად გადააქციოს, ხოლო მეორე ძალა კი ირიბი და დახვეწილი ხერხებით უკიდურეს რელიგიურ ლიბერალიზმს, ანუ რელიგიურ ნიჰილიზმსა და ინდიფერენტიზმს უკაფავს გზას**”. აჰა, მოვედით. აი, თურმე რა ყოფილა! რაც შეეხება ამ პუბლიკაციაში პირადად ჩემს მიერ გამოყენებულ ხერხებს, დახვეწილობა კიდევ შეიძლება დააბრალოს კაცმა, მაგრამ ირიბობაზე კი ნურას უკაცრავად. მაგრამ ეს არაა ახლა მთავარი. ექსტრემიზმს ცოტა ქვემოთ მივხედავთ, ახლა კი ვიკითხოთ, ვის მიმართავენ ასეთი ენით? განა საფიქრებელია, რომ ასე მორწმუნე ადამიანებს მიმართავენ? ჩვენ ხომ უბრალოდ საქმის კურსში ჩაგვაყენეს, ასე და ასე იქცევაო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ამას და ამას ფიქრობსო. ესე იგი, თავიდანვე ამ ეკლესიის გარეთ მყოფადაა მიჩნეული განცხადების სავარაუდო მკითხველი. ასეთ კაცს კი რაში უნდა ედარდებოდეს რელიგიური ნიჰილიზმისა და ინდიფერენტიზმის გაბატონება? ნიჰილისტებად მივაჩნივართ ამ ტექსტის კოლექტიურ ავტორს და ნიჰილიზმითვე გვაშინებს. მაგრამ განა მარტო ჩვენ, განცხადების სავარაუდო მკითხველები გამოგვრიცხეს ქრისტიანთა სათვალავიდან, — ეს ტენდენცია უფრო შორს მიდის. ვნახოთ.

**“ორივე მხარისთვის მთავარ სამიზნედ მაინც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რჩება, რადგან მათ სურთ, რომ იგი თავისი პოზიციის მხარდამჭერად და გამტარებლად აქციონ**”. ესეც ასე, სოლომონ მეფის სასამართლოზე წარდგენილ ბავშვად უნდა წარმოგვიჩინონ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. გარეშე ძალები ეწევიან თურმე მას, თითოეული თავის მხარეს. თანაც ეს ძალებიც ამ ეკლესიაში არ შედიან თურმე, მის ნაწილს არ წარმოადგენენ. მაგრამ ასე გაგრძელება შეუძლებელია, ამიტომაც ჩვენი კოლექტიური ავტორი იძულებულია, აღიაროს შემდეგი: “**სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ პროცესებში მონაწილეობას იღებს ჩვენი ეკლესიის ზოგიერთი წევრი და სასულიერო პირი. მათი თვითნებური ქმედებანი ეწინააღმდეგება რჯულის კანონს, დანაშაულებრივია და მხოლოდ ზიანის მომტანი, როგორც ეკლესიისთვის, ისე ქვეყნისთვის**”. კეთილი, ვთქვათ, დაისაჯა **ეპისკოპოსი ჩახვაშილი** რელიგიური ძალადობისაკენ საჯარო მოწოდებებისათვის, ვთქვათ მიეზღო **ეპისკოპოს გვაზავას** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უკანონოდ ხელყოფისათვის. განა ეს საგრძნობლად შეცვლის შექმნილ მდგომარეობას, თუ ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი შვილები, მოწყვეტილი ვიქნებით ამ გადაწყვეტილებებს? სანამ დედა ეკლესია ამგვარი უნდობლობით მოგვეპყრობა, სანამ ჩვენი მამისა და მოძღვრის ხმას ასე იშვიათად გავიგონებთ, სანამ იქნება ეჭვი, რომ ექსტრემიზმი ამ განცხადებაში მხოლოდ ყურითაა მოთრეული, მთავარი შეტევა კი იმ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე მოდის, რომლებიც ცდილობენ, ეკლესიამ შეითვისოს ახალი რეალობა, თავისი ცხოველმყოფელი სუნთქვით შეავსოს და გაათბოს ის, გაიხსნას ღვთის მიერ შექმნილი ქვეყნიერების მრავალფეროვნების წინაშე და აკურთხოს ეს ქვეყნიერება.

მანამდე კი დედა ეკლესია რაღაც რომაული კურიის მსგავსი საპატრიარქოს პირითა და საკანცელარიო ენით გვესაუბრება, თითქოსდა მისი გერები ვიყოთ. ვინ იმალება ამ ორი სიტყვის უკან — საქართველოს საპატრიარქო? გამოჩნდნენ აშკარად ეს ადამიანები და დაუფარავად შეებრძოლონ ჰენრი კისინჯერს, მადლენ ოლბრაიტს, სანტა კლაუსს, ჰარი პოტერსა და მართლმადიდებლობის სხვა მტრებს, რათა გამოჩნდეს ყველას ჭეშმარიტი სახე.






## ბიძინა მაყაშვილის სვეტი



# ახალი დრო

ორშაბათი მძიმე დღეა; ყველასათვის, ვინც მუშაობს, ან თუნდაც მათთვის, ვინც თავს ამ კატეგორიას აკუთვნებს. ეს კარგად იციან ფსიქოლოგებმა და ამიტომაც გადაჰყავთ საათები ზაფხულის დროზე შაბათ ღამეს - ერთ დღეს გაძლევენ, რომ ახალ დროს მიეჩვიო და ორშაბათს არ დაგაგვიანდეს სამსახურში.

მიუხედავად იმისა, რომ წინა ორშაბათს ისევ ზამთრის დროით ვცხოვრობდით, საქართველოში იმ დღეს სამსახურში დაგვიანების საბაბი ბევრს ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ორშაბათს, თბილისის დროით დილის ხუთ საათზე, "ოსკარის" ჯილდოების მინიჭების ცერემონიალის ტელე-რეპორტაჟი დაიწყო. მაინც ვის უნდა ეყურებინა ტელევიზორისთვის საქართველოში ასე ადრე (ზოგიერთებისთვის გვიან)?! პირველ რიგში მას, ვისაც დენი ჰქონდა; ვისაც კინო უყვარს; ვინც განურჩევლად უყურებს ყველაფერს ტელევიზორში; ვინც თვლის, რომ ეს აუცილებელი სანახაობაა ყველა ცივილიზებული ადამიანისთვის. გამოდის, რომ, ფაქტობრივად, ყველას (უდენოების გარდა). და ეს იმიტომ რომ, უკვე დიდი ხანია, რაც "ოსკარების" მინიჭების საზეიმო ცერემონიალი, ერთად აღებულ ყველა იმ ფილმზე მიმზიდველი სანახაობაა, რომლებიც კი მისი 75-წლიანი ისტორიის მანძილზე დაჯილდოებულან.

მაგრამ წელს, წლის მთავარ ფილმს, ტელევიზიის სახით, მძლავრი კონკურენტი გამოუჩნდა: "ოსკარებამდე" ოთხი დღით ადრე CNN-მა ერაყის ომიდან პირდაპირი ტელე-რეპორტაჟი დაიწყო. ქართველებს ამით ვერ გააკვირვებ: თბილისის ომის დროს, ანძის გათიშვამდე ჩვენი ტელევიზია ისეთ კადრებს აჩვენებდა მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან, რომ ჰოლივუდის ნებისმიერი "ჰორორი", "ფლეი სტეიშენის" თამაშად მოგეჩვენებოდა. ანძის გათიშვის შემდეგ კი თბილისელებმა გამოსავალი იპოვეს: ისინი დილაობით მიდიოდნენ ოპერასთან ომის სანახავად და ძალიან განიცდიდნენ, როცა ბრძოლის არეალი გაფართოვდა და მაყურებელს მხოლოდ "იმელამდე" უშვებდნენ.

დღეს, როცა შოუ ომიდან ყველა სხვა სანახაობაზე მეტ მაყურებელს იზიდავს ეკრანთან, ძალაუნებურად გახსენდება ცნობილი კულტუროლოგის, პოლ ვირილიოს ნათქვამი: "ტელევიზია კრიზისის მედიაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ტელევიზია უბედური შემთხვევების მედიაა. ტელევიზიას მხოლოდ ნგრევა ძალუძს." არ ვიცი, რამდენად დაანგრია წლევანდელმა ცერემონიალმა ჩვენი სტერეოტიპები "ოსკარის" შესახებ, მაგრამ გერმანული ფილმის გამარჯვებამ, მერაბ ნინიძის მონაწილეობით, ბევრი გაახარა. არა, ამ შემთხვევაში ქართული კინემატოგრაფის აღორძინების ილუზია არ გვამოძრავებს; ამას დაახლოებით ისევე უნდა შევხედოთ, როგორც ჩემპიონთა ლიგაში კალაძის "მილანის" შესაძლო გამარჯვებას.

დაახლოებით ანალოგიური ასოციაციები გამიჩნდა, როცა TMS-ში რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფოტო-გამოფენა ვნახე. მისმა კახურმა ბარაქამ, იმავე გალერეაში ორიდე წლის წინ ნანახი, გერმანელი რეჟისორის ვიმ ვენდერსის მწირი ტეხასური პეიზაჟები გამახსენა.

ანალოგებს ამ კვირის სხვა მოვლენების გახსენების დროსაც ვერ გავექეცი. აი თუნდაც მაიამიში, მოდელიორ ჯანი ვერსაჩეს ყოფილ სახლში მოდის მუზეუმის გახსნას რომ აპირებენ. წარმოიდგინეთ, ამერიკელები იტალიელი დიზაინერის სახლში მოდის მუზეუმს ხსნიან. ჩვენ კი რა? ქალბატონ ელენე ახვლედიანის სახლში, მისივე სახლ-მუზეუმის სრულფასოვანი ფუნქციონირება ვერ მოგვიხერხებია! მაგრამ ეგ არაფერი - კვირის ბოლოს ხომ ჩამოვიდნენ ევროსაბჭოს ექსპერტები თბილისში?! ჰოდა, ეგენი მიხედავენ ჩვენ კულტურას და გვეშველება (ცხადია, ჩვენებმა თუ გაითვალისწინეს მათი რეკომენდაციები). ისე, ჩვენში დარჩეს და, რომელი ექსპერტი გიშველის, თუ სურვილი, ნიჭი და, რაც მთავარია, შინაგანი კულტურა არ გაგაჩნია?

მაგრამ ისევ ჩვენ ანალოგებს მივხედოთ: თუ დასავლეთში სუპერმოდელ ნაომი კემპბელის შესახებ მხატვრულ ფილმს იღებენ, საქართველოში მაკა ასათიანი შეიძლება მსახიობად მოგვევლინოს; თუ ამერიკელებმა "ოსკარი" ჩაატარეს, ჩვენთან სტუდენტური ფილმების ფესტივალი გაიმართა; თუ ჩვენ გაზეთებში ანტონიო ბანდერასის და ვანესა რედგრეივის ბროდვეულ პრემიერებზე ვკითხულობთ, გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი", ვაშინგტონში დადგმულ პაატა ციქურიშვილის "სალომეაზე" აქვეყნებს რეცენზიას; თუ თბილისში "ერისიონი" "სუხიშვილებთან" ერთად წარმატებულ კონცერტს ატარებს, იუნესკო ევროპაში "რუსთავის" კონცერტების გაგრძელებას ითხოვს (რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფოლკლორი ჯერ კიდევ საქართველოს საუკეთესო საექსპორტო პროდუქციად რჩება); და ბოლოს, თუ ამერიკელებს ერაყი აქვთ, ჩვენ ჩვენი პანკისი გაგვჭირვებია.

თუმცა, მაგასაც ეშველება - დღეიდან ხომ ახალი დროით ვმუშაობთ! მაგრამ ამერიკელებზე ვნერვიულობ: ჯერ ხომ ინგლისელებს დააყარეს ერაყში და ეხლა რომელიმე გენერალს საათის ისრის გადაწევა რომ დაავიწყდეს... ანდა ბაღდადი ბაღდათში რომ აერიოს...მეგობარს ბებია ჰყავს იქ, მოხუცი მარტო ცხოვრობს.

## კალენდარი

### 31 მარტი



სახელი "ნიკოლაი კორნეიჩუკოვი" არავის არაფერს ეუბნება, კორნეი ჩუკოვსკის კი ყველანი ვიცნობთ, ყოველ შემთხვევაში, მისი "აიბოლიტის" ან "მოიდოდირის" შესახებ მაინც ნამდვილად გვსმენია.

კორნეი ჩუკოვსკი 1882 წელს პეტერბურგში, ხელმოკლე ოჯახში დაიბადა. ოდესის გიმნაზიიდან სწორედ "მდაბიოთა წრის წარმომადგენლობის" გამო გარიცხეს: დედამისი მრეცხავი იყო, მამა კი აღარ ჰყავდა. მიუხედავად ამისა, ყმაწვილმა დამოუკიდებლად იმეცადინა და გამოცდების ჩაბარება და ატესტატის მიღება შეძლო.

ლიტერატურამ ჩუკოვსკი ადრიანად გაიტაცა – ლექსებსა და პოემებს თავადაც წერდა, გაზეთებში ფილოსოფიურ ნარკვევებს და ფელეტონებს აქვეყნებდა. იმხანადვე დაიწყო დღიურის წერაც.

1903 წელს ჩუკოვსკი პეტერბურგში გაემგზავრა. მაშინ უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მწერალი გახდებოდა, და, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწარმოებებს არ აქვეყნებდნენ, ფარ-ხმალს არ ყრიდა. საბოლოოდ მაინც გაუმართლა: გაზეთმა "ოდესსკიე ნოვოსტიმ" ლონდონში მიავლინა, სადაც მან თავის ინგლისურის დახვეწა შეძლო და მრავალ სხვა ლიტერატორთან ერთად ჰერბერტ უელსი და არტურ კონან-დოილი გაიცნო.

მრავალი წლის განმავლობაში ჩუკოვსკი რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში პრესისთვის მუშაობას განაგრძობდა, მემუარებს წერდა. თითქოს არავითარი წინაპირობა არ არსებობდა იმისთვის, რომ ის საბავშვო მწერალი გახდებოდა, სანამ მაქსიმ გორკიმ ერთი საბავშვო ალმანახისთვის დაწერილ ზღაპრებს არ მიაქცია ყურადღება. ამ ზღაპრების – "წიწილას", "ექიმისა" და სხვათა ავტორი კორნეი ჩუკოვსკი იყო. ამის შემდეგ ჩუკოვსკი ბავშვების საყვარელი მწერალი გახდა.

უჩვეულო სახეების, მკვეთრი რითმისა და მკაცრი რიტმის გამო, მის ლექსებს იოლად იმახსოვრებდნენ, და სულ მალე მთელი ქვეყანა იცნობდა მის გმირებს: თავდადებულ ექიმ აიბოლიტს, ბუზის გადამრჩენ მამაც კოღოს, საშინელ ბარმალეის. გარდა ამისა, ჩუკოვსკი ბავშვებისთვის მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებსაც თარგმნიდა – ბერძნულ მითებს, რასპეს, კიპლინგისა თუ დეფოს წიგნებს. ჩუკოვსკის ილუსტრატორები იმ დროის საუკეთესო მხატვრები იყვნენ.

1952 წელს მონუმენტური ლიტერატურული ნაშრომისთვის - "ნეკრასოვის ოსტატობა", კორნეი ჩუკოვსკის ლენინის პრემია მიენიჭა, 1962-ში კი ის ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა.

**კორნეი ჩუკოვსკი** დაიბადა 1882 წლის 31 მარტს.

# კარგი და ცოცხალი ავტორი

## ლაშა ბუღაძის პიესა MXAT-ის სცენაზე

ანა კორძაია-სამადაშვილი

*როცა მწერლობის შესახებ მეტისმეტად ბევრი კითხვა დაუსვეს, ლაშა ბუღაძემ მოკლედ უპასუხა: "კარგი მწერალი მკვდარი მწერალიაო". მოსკოველები ამ აზრს, როგორც ჩანს, არ იზიარებენ.*

მოსკოვში ივნისში გამართული დრამატურგების არაოფიციალური კონკურსის შესახებ ჩვენი გაზეთი ზაფხულში იუწყებოდა. შეგახსენებთ: ფესტივალის ჩატარების, ანუ ლიტერატურული კითხვის შემდეგ ახალგაზრდა დრამატურგთა ოთხი პიესა შეირჩა, და ისინი სხვადასხვა თეატრების რეპერტუარში იყო შეტანილი. მათ შორის იყო მაია მამალაძის მიერ თარგმნილი ლაშა ბუღაძის ორი პიესა, რომლებიც მოსკოვის სამხატვრო აკადემიურმა თეატრმა დრამატურგსა და რეჟისორს, მიხაილ უგაროვს შესთავაზეს: "პოლიტიკური პიესა" და "აღშფოთებული ტატიანა". რეჟისორმა არჩევანი ამ უკანასკნელზე შეაჩერა.

"აღშფოთებული ტატიანა" ერთ ქარგაში გაერთიანებულ შვიდ პატარა პიესას წარმოადგენს. MXAT-ის გარდა, "ტატიანა" ვორონეჟის კამერულ თეატრშიც დაიდგა – ავტორმა ამ დადგმის ნახვა ხოლოდ ვიდეოკასეტაზე შეძლო.



*მიხეილ უგაროვი და ლაშა ბუღაძე*

სავსებით ვეთანხმებით რუს კოლეგებს, რომ, თავისთავად, ქართველი ავტორის რუსეთის მთავარი თეატრის სცენაზე გამოჩენა მხოლოდ კულტურული მოვლენა არაა. 24 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში ოლეგ ზინცოვი ამ მოვლენას ბროდვეიზე სერბი ან ერაყელი ავტორის პიესის დადგმას ადარებს. ჟურნალისტის თქმით, ბუღაძის პიესამ ბლოკადის ორივე მხრიდან გარღვევა შეძლო. "ბრეხტის შემდეგ "აღშფოთებული ტატიანა" ლამის ყველაზე გესლიანი ანტისაომარი პიესაა" - რუსეთის მედიების მხრიდან ისეთი შედარება, ვფიქრობ, ნამდვილად არაა სახუმარო ქათინაური.

ფესტივალის დამთავრების შემდეგ Ведомости-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ჩვენი თანამემამულის მოქმედებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო. "აღშფოთებულმა ტატიანამ" აღფრთოვანება გამოიწვია, მისმა "შესანიშნავმა აბსურდისტულმა იუმორმა" უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, და ის "ახალი დრამის დეკადის" საუკეთესო ტექსტად იქნა აღიარებული: "ბუღაძის მოკლე ტექსტები იმითაა შესანიშნავი, რომ კატასტროფას არა სიუჟეტის, არამედ მითებისა და კულტურული არქეტიპების დონეზე აფიქსირებს... ამიტომ მათში სულ რაღაც კომიკური სიგიჟეები ხდება: ხან ანგელოზი ლამობს უწმაწური ანეკდოტის მოყოლას, ხან ცოლი უცხადებს ქმარს, რომ დედამისი ჩაყლაპა და ცხრა თვეში გააჩენს... აბსურდის თეატრის კლასიკის დონეა გოგის ისტორია, რომელმაც ვერაფრით მოახერხა "ჩექმებიანი კატის" ან "სამი გოჭის" სიუჟეტის გადმოცემა."

წელს, ივნისში "ახალი დრამის ფესტივალზე" ლაშა ბუღაძესთან ერთად კიდევ ორი ქართველი დრამატურგი წარდგება - ბასა ჯანიკაშვილი და მანანა დოიაშვილი, რაც თავისთავად, ძალიან სასიამოვნო ამბავია – знай наших! ლაშა კი მოსკოველ საზოგადოებას თავის ახალ პიესას წარუდგენს, და, იმედია, "ნუგზარი და მეფისტოფელი" მისი ახალი წარმატებების საწინდარი გახდება.

# ისინი მოდიან!

## თაობა თუ კონკრეტული სახელები ახალ ქართულ კინოში

თეონა ჯაფარიძე

ვინ მოდის, ან როგორი კინო იბადება დღეს საქართველოში? აგრძელებს თუ არა ე.წ. "ნულოვანი წლების" თაობა ქართული კინემატოგრაფისათვის დამახასიათებელი ხელწერის ტრადიციას თუ ცდილობს, ორიგინალური ხერხებითა და იდეებით დაუპირისპირდეს ამ მართლაცდა გიჟურ საუკუნეში მისთვის ხელმიუწვდომელ, ჰოლივუდურ სპეცეფექტებს? ან იქნებ, უბრალოდ, იმ დუმილის დარღვევა უნდა, რომელმაც, აგერ უკვე ათი-თხუთმეტი წელია, მოიცვა ქართული კინო?

კლუბმა "სარდაფმა" კინოფესტივალით - "ჩვენ მოვდივართ", ბოლო სამი წლის განმავლობაში უდავოდ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია, რათა ამ კითხვებზე გაეცა პასუხი და ახალი თაობა წარმოეჩინა.

შეგახსენებთ, რომ "სარდაფის" სტუდენტური კინოფესტივალი ისეთივე მცირებიუჯეტიანია (უბიუჯეტოა), როგორც თავად ქართული კინო. ამიტომაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისში მოზღვავებულ უამრავ ფესტივალს შორის ის ერთადერთია, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ პომპეზურობასა და ამბიციურობას - მარტის ბოლო ოთხ, სუსხიან დღეს ფესტივალის მონაწილეები, ჟიურის წევრები და გულშემატკივრები, კლუბი "სარდაფის" ეკრანზე ერთად განიხილავდნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სტუდენტების მიერ შექმნილ 43-მდე მოკლემეტრაჟიან ფილმს - ანუ ქართული კინოს მომავალს.

ფესტივალის დასრულების შემდეგ კინომცოდნეს, ჟიურის წევრს, ნინია კაკაბაძეს გავესაუბრე: " საერთო სურათი კატასტროფულია. არავითარი პროგრესი არ იგრძნობა. განსხვავება ისაა, რომ წინა წლებში ფესტივალებზე წარმოდგენილი დაბალი ხარისხის, სოციალურ თემატიკაზე შექმნილი ფილმები წელს ასევე უხარისხო, ამჯერად რელიგიური შინაარსის ფილმებმა შეცვალა. რატომ დაინტერესდნენ რელიგიური თემატიკითა და თანაც დაშტამპული, უამრავჯერ გადამღერებული გამოსახვის ფორმებით 20-22 წლის ახალგაზრდები, რომლებიც კინორეჟისორობას აპირებენ, ჩემთვის გაუგებარია."



*კინოფესტივალი კლუბ "სარდაფში"*

ამ ფესტივალმა ახალი ქართული კინოს ერთ მნიშვნელოვან, სამწუხარო ნიუანსზე მიგვანიშნა - გამოიკვეთა არა თაობის, არამედ რამდენიმე რეჟისორის ხელწერა, რაც სრულიად სამართლიანად დააფასა ჟიურიმ:

ფესტივალის გრან-პრი (სამი თვით იტალიაში სტაჟირება) ახალგაზრდა რეჟისორმა ალექსანდრე ქორიძემ მოიპოვა - ცამეტწუთიანი დოკუმენტური ფილმისათვის "ბრაზილია". მისი მხატვრულ-დოკუმენტური მანერა წელს კიდევ უფრო დაიხვეწა. ისევე, როგორც მის შარშანდელ ფილმში – "ალსტრომის სინდრომი" (რომელიც შარშან ჟიურის შეუმჩნეველი დარჩა), წლევანდელ სურათშიც - "ბრაზილია," რეჟისორი მშვენივრად გრძნობს, რომელ სოციალურ ფენას, ასაკობრივ ჯგუფსა თუ სქესს მიაპყროს კინოდოკუმენტალისტის მზერა. ყოველ შემთხვევაში, ქართული დოკუმენტური კინო ნაკლებად იცნობს რეჟისორს, რომელიც, ისტორიული ძეგლების ან სოციალურად დაუცველი ფენების ნაცვლად, დაუცველ ინტელიგენციაზე, ანდა სოციალურად აქტიური ქალების ყოველდღიურ ყოფაზე ქმნიდეს დოკუმენტურ სურათს. "ეს ყველაზე მეტად არაფემინისტური ფილმია, რომელიც ისევ ფემინისტურ პრობლემებს აგვარებს," – ამბობს "ბრაზილიაზე" კინომცოდნე და ჟიურის წევრი, თეო ხატიაშვილი.

საუკეთესო რეჟისორებად ფესტივალის ჟიურიმ პაპუნა მოსიძე და გიორგი მასხარაშვილი დაასახელა (ფილმებისათვის "კუკუ ილუმინატორში" და "post punk'-ი).

პაპუნა მოსიძემ ფილმში "კუკუ ილუმინატორში", მინიმალისტური ხერხებით, 7 წუთში, ფაქტობრივად, გაუნძრეველი, სტატიური კამერით, რომელიც მხოლოდ ზევით და ქვევით მოძრაობს და ფანჯრიდან დანახული მოპირდაპირე ძველი სახლის სადარბაზოს კიბის უჯრედსა და ქუჩის ხედს გვიჩვენებს (ოპერატორი გოგა დევდარიანი), შეძლო, მოეთხრო ახალგაზრდა კაცის უიმედო სიყვარულზე.

გიორგი მასხარაშვილის კამერა კი (ფილმში post punk), პირიქით, მოუსვენარია. ის თავად არის საკუთარი ფილმის ოპერატორიც. მისი ფილმი ფორმით ახალ ევროპულ კინოს მოგვაგონებს, რომელიც ქართულ კრიმინალურ პობლემებზე მოგვითხრობს, ქართულივე პანკროკის თანხლებით. ფილმი იწყება მძაფრი, მოულოდნელი სიუჟეტითა და ნიკა კაჩაროვის უკვე გახმაურებული კომპოზიციით "yellou goose" (ყვითელი ბატი), რომლის ვიდეორგოლიც ადგილობრივ ტელეარხებზე გამოსვლის დღიდანვე შოკს გვრის ასევე ადგილობრივი ფსევდო-ტრადიციების მოყვარულთ. სხვათა შორის, ფესტივალის მეორე, სტუდენტურმა ჟიურიმ ნიკა კაჩაროვი საუკეთესო მუსიკისათვის დიპლომით დააჯილდოვა. გიორგი მასხარაშვილის ფილმში მისი პანკ-როკული კომპოზიციები გაისმის, ფინალში კი, რეჟისორის ოსტატობით, პანკ-როკს ბუნებრივად ცვლის მოცარტის მუსიკა.

ფესტივალის ჟიურიმ მაია კიკაბიძე იდეის ორიგინალური გადაწყვეტისათვის დიპლომით დააჯილდოვა ( მოკლე ფილმისათვის – "წყურვილი").

დაჯილდოვდა, აგრეთვე, ნიკა გელაშვილი - ახალგაზრდა თაობის პრობლემების წარმოჩენისათვის. ფესტივალზე მისი ორი ფილმი – "უძილობა" და "ბოლო დღე", იყო წარმოდგენილი. საუკეთესო ოპერატორად კი ჟიურიმ გიორგი შველიძე აღიარა.

ფესტივალს ჰყავდა მეორე, სტუდენტური ჟიურიც, რომელმაც 13 ნომინაციაზე გასცა დიპლომები.

**ფესტივალი დასრულდა. შეგახსენებთ, მთავარი პრიზიორები - გიორგი მასხარაშვილი და პაპუნა მოსიძე სტუდია აგკ-ს ჯილდოს – 50 სამონტაჟო საათს, თანაბრად გაიყოფენ; გრან-პრის მფლობელი ალექსანდრე ქორიძე იტალიაში გაივლის სტაჟირებას; კლუბი "სარდაფი" კი ჩვეული რიტმით განაგრძობს ცხოვრებას.**

# "კინოტავრი" გიორგი დანელიას ფილმის იუბილეს აღნიშნავს

თამარ სუხიშვილი

წლევანდელ "კინოტავრის" ფესტივალზე გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი. რიგით მეთოთხმეტე კინოფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალები, შესაძლოა, ღია ცისქვეშ, თეატრალურ მოედანზე გაიმართოს. ასეთია ტელეკომპანიების დაჟინებული მოთხოვნა, ტელევიზიის მუშაკებს, როგორც ჩანს, მობეზრდათ ყოველწლიურად ერთი და იმავე მოუგვარებელ პრობლემებთან ჭიდილი; მათ კარგად იციან, რომ ზამთრის თეატრის დარბაზი ტელეტრანსლიაციისათვის არ გამოდგება. ტელეკომპანიების მოთხოვნას აპროტესტებს კომპანია "კინოტავრის" ჯგუფის პრეზიდენტი მარკ რუდინშტეინი, რომელიც ამბობს, რომ ტრადიცია არ უნდა დაირღვეს - საზეიმო ცერემონიალები სწორედ სოჭის ზამთრის თეატრში უნდა ჩატარდეს.

ამას წინათ სოჭში მარკ რუდინშტეინმა უკვე გამართა პრესკონფერენცია, რომელიც საზაფხულო კინოფესტივალის გეგმებს მიეძღვნა. ბუნებრივია, ცერემონიალის ადგილის გარდა, ბევრი სხვა პრობლემაც იყო მოსაგვარებელი. გადაწყდა, რომ, 1 ივნისის ნაცვლად, "კინოტავრი" 4 ივნისს დაიწყება, რადგან ივნისის თვის პირველ დღეებში რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მთელი ყურადღება სანკტ-პეტერბურგის 300 წლის იუბილეზე იქნება გადატანილი. ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევთ "კინოტავრის" ორგანიზატორებს. თუმცა სანკტ-პეტერბურგის დღეებისთვის გვერდის ავლას სრულებითაც არ აპირებენ; პირიქით, პეტრეს ქალაქის იუბილე ფესტივალის კულტურული პროგრამის მთავარი თემა იქნება. "კინოტავრის" სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრ როზენბაუმი, დაპირებისამებრ, ჩამოიყვანს ფესტივალზე ცნობილ პეტერბურგელებს - ედიტ პიეხას, ალისა ფრეინდლიხს (ფრეინდლიხი ჟიურის წევრია), და პოპულარულ კლოუნებს ვიაჩესლავ პოლუნინის თეატრიდან.

"კინოტავრი" მოსკოვსაც არ დაივიწყებს. მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის მონაწილეობით შედგება პრეზენტაცია პროექტისა "200 ფილმი მოსკოვზე". წლევანდელ ფესტივალზე ცნობილი ფილმის "Я шагаю по Москве"-ს 40 წლის იუბილესაც იზეიმებენ. ამ დღისთვის საგანგებოდ ელოდებიან ნიკიტა მიხალკოვისა და გიორგი დანელიას ჩასვლას. "კინოტავრზე" დაგეგმილია ვლადიმირ ვისოცკის 65 წლის იუბილეს აღნიშვნაც. პოეტის შვილი, ნიკიტა მაყურებელს სიურპრიზს შესთავაზებს: აუდიტორიას წარუდგენს იმ ვიდეომასალებს, რომელსაც მოყვარული რეჟისორი ვლადიმირ ვისოცკი თავისუფალ დროს იღებდა. ეს კადრები აქამდე არავის უნახავს.

სოჭში, ჩვეულებისამებრ, ორი კონკურსი გაიმართება: რუსული და უცხოური კინოკონკურსები. ჟიურის თავმჯდომარეები იქნებიან: რეჟისორი ვალერი ტოდოროვსკი და უკრაინელი მსახიობი ბოგდან სტუპკა.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხოელ ვარსკვლავებთან - სტივენ სიგალთან, ალეკ ბოლდუინთან და თვით "ოსკაროსან" ნიკოლ კიდმანთანაც კი. ორგანიზატორები ცდილობენ, რომ ფესტივალმა კინომაყურებლის მოთხოვნა სრულიად დააკმაყოფილოს და შეძლებისდაგვარად გააშუქოს დღევანდელი კინემატოგრაფის განვითარების პროცესები. "რა არის კინოფესტივალი? – სვამს შეკითხვას მარკ რუდინშტეინი და თვითონვე უპასუხებს, - კინოფესტივალი – ეს, უპირველეს ყოვლისა, კინოა". რაც შეეხება სოჭში დაგეგმილ კინოპროგრამებს, მათ შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით. ამაზე არც პრესკონფერენციაზე ულაპარაკიათ, რადგანაც დეტალები დაუზუსტებელია. ფესტივალზე ნაჩვენები ფილმების ნუსხას 7 აპრილს გამოაქვეყნებენ. 7 აპრილს, რუდინშტეინის დაბადების დღეს, "კინოტავრის" ორგანიზატორები მოსკოვში ტრადიციულ პრესკონფერენციას გამართავენ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# გარი ბრინი: „მექავება, რომ ქართველებმა შვეიცარიას ან რუსეთს მოუგონ„

"ბურთი ქვასავით მაგარი იყო, მოედანი - საშინელ მდგომარეობაში, ხოლო ქართველი გულშემატკივრები მეტისმეტად აგრესიულები იყვნენ"






*გახარებულ გარი ბრინს და მის თანაგუნდელებს გულშემატკივრები მოსვენებას არ აძლევდნენ.*

აკა ტონია

*გუშინდელი მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებში რა განწყობაც სუფევს, ყველასთვის ადვილი წარმოსადგენია. ირლანდიასთან შეხვედრა ქართველი გულშემატკივრის კიდევ ერთი დიდი იმედგაცრუება გამოდგა.*
*ცხადია, მატჩის შემდეგ ირლანდიელები სულ სხვა განწყობაზე იყვნენ - სადღესასწაულოზე. გთავაზობთ ზოგიერთი ირლანდიელი მოთამაშის კომენტარს, რომელიც მათ საქართველოსთან შეხვედრის შემდეგ საკუთარი ქვეყნის ჟურნალისტებისთვის გააკეთეს.*

როდესაც მატჩის დამთავრების მაუწყებელი სასტვენი გაისმა, ზოგიერთ ირლანდიელ ფეხბურთელს სიხარულის ცრემლები წამოუვიდა. მთელი გუნდი ბედნიერი იყო - ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლის კამპანიას და შემდეგ მატჩს, რომელსაც ოთხშაბათს ალბანეთის წინააღმდეგ გამართავენ, უდიდესი ოპტიმიზმით უყურებენ.

ყველაზე ოპტიმისტურადაა განწყობილი ირლანდიელთა მცველი გარი ბრინი: "ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ შესწევს ევრო 2004-ის საგზურის მოპოვების უნარი. არა მგონია, საქართველოს ნაკრებმა შვეიცარელებსა და რუსებს ქულები აართვას, მაგრამ, მათთან რომ არ მოგვეგო, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავიგდებდით თავს", - განაცხადა ბრინმა. ირლანდიელი მცველის ეს სიტყვები შეურაცხმყოფელადაც კი ჟღერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მართალია...

"მთავარი ის არის, რომ 3 ქულა მოვიპოვეთ", - ეთანხმება თანაგუნდელს თავდამსხმელი დემიენ დაფი, საქართველოს ნაკრების კარში პირველი გოლის ავტორი, - "ძალიან ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ გოლი გავიტანე". დაფის აზრით, სათამაშო პირობები თბილისში მძიმე იყო, რამაც სასურველი შედეგის მიღწევა გაართულა: "მოედანი ცუდ მდგომარეობაში იყო, ხალხი კი - ძალიან აგრესიული".

იგივე აზრისაა ნახევარმცველი მეტ ჰოლანდი: "ჩვენს წინააღმდეგ ბევრი რამ მოქმედებდა, წვრილმანებიც კი. მაგალითად, ის, რომ ბურთი ქვასავით მაგარი იყო, მოედანი - საშინელ მდგომარეობაში, ხოლო ქართველი გულშემატკივრები - მეტისმეტად აგრესიულები. მაგრამ ჩვენ აქ საქმის გასაკეთებლად ჩამოვედით და მივაღწიეთ კიდეც იმ შედეგს, რომელსაც ვიმსახურებდით".

მეტ ჰოლანდის პარტნიორი ირლანდიელთა ნახევარდაცვაში, მარკ კინსელა ასევე თვლის, რომ მატჩის შედეგი დამსახურებულია, თუმცა, საკუთარ კარში გაშვებულ გოლს არამც და არამც არ მიიჩნევს მომხდარი ინციდენტის შედეგად: "თამაშისას საკმაოდ სერიოზული ინციდენტი მოხდა, როდესაც ტრიბუნებიდან სხვადასხვა საგნები ისროლეს მოედანზე, მათ შორის დანაც. მაგრამ ეს არ იყო გაშვებული გოლის მიზეზი, ეს იყო ჩინებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმა. ჩვენ კარგად ვითამაშეთ და, ვფიქრობ, რომ მეორე ტაიმში საუკეთესო საგოლე შანსები გვქონდა".

ჯონ ო`ში, რომელიც გუშინწინდელ მატჩში თავის ოფიციალურ დებიუტს ზეიმობდა ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში, შეხვედრის შემდეგ აღელვებული ჩანდა და მატჩის მთავარ გმირს, გარი დოჰერტის განსაკუთრებული ქების სიტყვებით ამკობდა: "ეს საღამო მეტისმეტად მძიმე იყო, ვნერვიულობდი კიდეც, მაგრამ შესანიშნავად ვითამაშეთ. როდესაც ქართველებმა გოლი გაგვიტანეს, ერთხანს აღმაფრენაც ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ჩვენ დავბრუნდით, "დოკმა" *(დოჰერტი)* მატჩის გრდატეხა მოახერხა და დამსახურებული გოლიც გაიტანა". ო`ში და დოჰერტი თანაგუნდელები იყვნენ ირლანდიის 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებში. 1999 წელს, შვედეთში გამართულ 19 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე მათ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშეს. იმ მატჩში დოჰერტიმ 2 გოლი გაიტანა საქართველოს კარში. გუშინწინდელი შეხვედრის შემდეგ გარი დოჰერტიმ იმ მატჩზეც ისაუბრა. თქვა, რომ მწვრთნელი ბრაიან კერი მატჩის წინ სწორედ იმ ორ გოლს ახსენებდა: "თბილისის მატჩის წინ, მთელი ერთი კვირის მანძილზე, კერი იმ ორ გოლზე მელაპარაკებოდა, რომლებიც საქართველოს 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებს გავუტანე 1999 წელს".

როგორც ჩანს, ბრაიან კერის შეგულიანებამ დოჰერტიზე შესანიშნავად იმოქმედა - მან ისევ გაგვიტანა გოლები (ახლა უკვე ეროვნულ ნაკრებს), ბევრად უფრო მნიშვნელოვან შეხვედრაში, - გოლები, რომლებმაც ძალიან გვატკინა გული...

## „თუ ისინი თავს ჩაღუნავენ, უსუსურები ხდებიან„

*ირლანდიის ნაკრებთან ერთად, თბილისს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი დელეგაციაც ესტუმრა. მატჩის შემდეგ, ქართველი კოლეგებისგან განსხვავებით, ირლანდიელები კარგ გუნებაზე იყვნენ. ცხადია, თავის მოვალეობასაც მეტი ხალისით ასრულებდნენ - ისინი მაშინვე შეუდგნენ სამშობლოში სასიხარულო ცნობების გაგზავნას.*
*ჩვენ ისღა დაგვრჩენია, თვალი გადავავლოთ მათ ნამოღვაწარს, იქნებ რამე სასარგებლო დასკვნაც გამოვიტანოთ.*

**ჯონ ბრენანი (Sunday World):** "დიდება თბილისის მწვანე დინამოებს! ბრაიან კერის პირველი ოფიციალური შეხვედრა ბრწყინვალე საგარეო გამარჯვებით დასრულდა. მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გარი დოჰერტის გოლმა მოგვიტანა დიდი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატის მე-10 საკვალიფიკაციო ჯგუფში".

"მატჩის გმირი იყო დემიენ დაფი. საქართველოს ნაკრების კარში მან პირველი გოლი გაიტანა. რა საინტერესოა: ორივე ფეხბურთელი, რომელთაც საქართველოს გოლები გაუტანეს, იყვნენ იმ გუნდის ლიდერები, რომლებიც ბრაიან კერის მეთაურობით ევროპის 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის ჩემპიონები გახდნენ. ეს იყო დიდი საღამო ბრაიან კერისთვის, რომელმაც თავის გუნდს გამარჯვებისკენ უბიძგა. როდესაც ანგარიში თანაბარი იყო, თავისი მცველები, სტივენ კარი და ჯონ ო`ში, კერმა წინა ხაზზე გაგზავნა, რამაც გაამართლა კიდეც".

**დაიონ ფენინგი (Sunday Independent):** "ლოკომოტივის" სტადიონი არ იყო ადგილი ფილოსოფოსებისთვის. ყოველი მხრიდან მოფრინავდა ბოთლები, ხურდა ფული და დანები, მაგრამ ბრაიან კერი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო საფეხბურთო ინტელექტუალი".

**ჯონ ო`ბრაიანი (Sunday Times):** "ოპტიმიზმის ტალღა, რომელიც ორი თვის წინ ბრაიან კერის ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნას მოჰყვა, თბილისში მიღწეული გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. თუ კერის წარმატებები ალბანეთის ნაკრებთან მატჩში, ტირანაშიც გაგრძელდა (მას შემდეგ, რაც იქ რუსეთი 1:3 დამარცხდა), ირლანდიის ნაკრები ქულებით რუსებს გაუთანაბრდება. მართალია, ჩვენ ერთი მატჩით მეტი გვექნება ნათამაშები, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ რუსებს ირლანდიაში ჩამოსვლა და ჩვენთან თამაში კიდევ მოუწევთ. ჩვენი ბედი ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია".

**კლივ ვაიტი (Sunday Telegraph):** "ირლანდიის რესპუბლიკა საბოლოოდ დაუბრუნდა გამარჯვების გზას, თუმცა, მეტისმეტად გვიან. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, გარი დოჰერტის მიერ გატანილმა გოლმა, ირლანდიის ნაკრებს დაუბრუნა იმის რწმენა, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში საშინელი სტარტის შემდეგ მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ მდგომარეობის გამოსწორება".

**კათალ დერვანი (Sunday Mirror):** "გარი დოჰერტიმ ბრაიან კერის ოცნება გადაარჩინა, როდესაც მან მტრულად განწყობილ "ლოკომოტივის" სტადიონზე ირლანდიის ნაკრებს პირველი გამარჯვება მოუტანა მე-10 საკვალიფიკაციო ჯგუფში. სანამ დოჰერტი გოლს გაიტანდა, ირლანდიელ ფეხბურთელებს ბოთლები, ხურდები და დანა ესროლეს".

**ჯეკ ალენი (News of the World):** "გარი დოჰერტიმ ირლანდია გადაარჩინა. ფეხბურთელი, რომელიც "ტოტენჰემის" შემადგენლობაში ვერ ხვდება, ირლანდიის ნაკრების ერთადერთი ძირითადი თავდამსხმელი იყო, რომელიც ბრაიან კერს დარჩა მას შემდეგ, რაც მამის გარდაცვალების გამო გუნდს რობი კინი გამოაკლდა. ნაკრებში ეს დოჰერტის მესამე გოლი იყო, ხოლო ბრაიან კერისთვის თბილისური გამარჯვება, სამი მატჩიდან მესამე იყო ნაკრების მწვრთნელის პოსტზე".

**პეტერ ბირერი (NZZ, *შვეიცარია*):** "კარგად შეთამაშებული და ტექნიკური ქართველი ფეხბურთელები მატჩის პირველ ტაიმში მეტისმეტად ცუდად გამოიყურებოდნენ და დემიენ დაფის მიერ მე-19 წუთზე გატანილი გოლის შემდეგ უკვე 0:1-ს აგებდნენ. მეტოქის კართან მათ სახიფათო მომენტი თითქმის არ შეუქმნიათ და მხოლოდ მაშინ გამოაჩინეს ხასიათი, როდესაც ლევან კობიაშვილმა რაფინირებული საჯარიმო დარტყმით მეკარე გივენს გაუტანა გოლი. ამის შემდეგ ქართველებს შესანიშნავი საგოლე შანსები ჰქონდათ. მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ძალიან აღელდა, ხოლო მსაჯმა სტადიონის დიქტორს ხალხის დაშოშმინება დაავალა, რადგან ტრიბუნებიდან სხვადასხვა საგნები ცვიოდა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელები მეტი ტემპერამენტით თამაშობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ორი ბრწყინვალე საგოლე მომენტი შექმნეს (დემეტრაძე, კობიაშვილი), უპირატესობა ბოლომდე მაინც ვერ შეინარჩუნეს. გუნდმა კარგად გამოაჩინა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ ისინი კარგ გუნებაზე არიან, დიდ შესაძლებლობებს აჩენენ. თუ თავს ჩაღუნავენ, მაშინ უსუსურები ხდებიან. დაცვის ხაზი, რომელიც თბილისის "დინამოს" სამი ფეხბურთელით იყო დაკომპლექტებული, მთელი მატჩის მანძილზე არცთუ საიმედოდ გამოიყურებოდა. შეტევაში კი მხოლოდ მაშინ გამოსდიოდათ თამაში, როდესაც ტემპს უმატებდნენ და როცა კიდევ ერთი თავდამსხმელი დაემატათ დემეტრაძის სახით. ნემსაძის პასები ხშირად უზუსტო იყო. დიდი ძალაა ჯამარაული. საქართველოს ნაკრებს აქვს ლამაზი სათამაშო სტილი, მაგრამ უამრავი ნაკლი".

## გამოცხადებული სირცხვილის ქრონიკა

საქართველოს ეროვნული ნაკრები ბრწყინვალე კამპანიაშია. მოგეხსენებათ, ორი შესარჩევი მატჩის შემდეგ 0 ქულა გვაქვს და ამ მაჩვენებლით მთელ ევროპაში სულ რამდენიმე გუნდი გვყავს "შემოამხანაგებული". გეტყვით, რომ, ჩვენს მსგავსად, ქულა არ მოუპოვებიათ ლუქსემბურგის, მოლდოვას, ანდორას, სან-მარინოს გუნდებს. რაც შეეხებათ პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებს, ქულა ყველას აქვს (ზემოხსენებული მოლდოვას გარდა). მეტიც: რუსეთსა და უკრაინაზე აღარას მოგახსენებთ, თვით ლიტვის ნაკრებმაც კი, რომელსაც ორი წლის წინ სტუმრად 4:0 მოვუგეთ, გუშინწინ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან, გერმანიის ნაკრებთან, თანაც, მისსავე მოედანზე, ფრედ, 1:1 ითამაშა. უფრო შორს წავიდა ლატვიის ეროვნული გუნდი, რომელიც 3 თამაშიდან 7 ქულით სულაც ლიდერობს მე-4 შესარჩევ ჯგუფს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს. თვით აზერბაიჯანმაც კი, საკმაოდ კარგი გუნდებით დაკომპლექტებულ ჯგუფში უკვე მოიპოვა ერთი ქულა. ჩვენი მეორე მეზობელი, სომხეთის ნაკრები, იმ დროს, როდესაც ქართველი ფეხბურთელები უთავბოლოდ დარბოდნენ "ლოკომოტივის" გაზონზე, ჩვენი მეტოქის ახლო ნათესავებს, ჩრდილოირლანდიელებს უტარებდა ფეხბურთის კავკასიურ გაკვეთილს. საბოლოოდ, ამ შეხვედრაში სომხებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს და, ესპანეთ-უკრაინის კვალდაკვალ, მე-6 ჯგუფში მესამე პოზიციას ინარჩუნებენ. თანაც, უსწრებენ ისეთ გუნდებს, როგორებიცაა საბერძნეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებები.

იმისთვის, რომ აშკარა გახდეს, თუ რა დონეზეა დაცემული ქართული ფეხბურთი, ჩვენი, მე-10 შესარჩევი ქვეჯგუფის სატურნირო ცხრილს გთავაზობთ:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-6 | 6 |
| ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

## ვალერი გაზაევი: „საქართველოში განსაკუთრებული განწყობით ვითამაშებთ„

მიხეილ აბაიშვილი

როდესაც საქართველოს ნაკრები "ლოკომოტივის" სტადიონზე სირცხვილის მორიგ დოზას მიირთმევდა, რუსეთის ნაკრებიც არ იყო უკეთეს დღეში. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა და თანაჯგუფელებმა ევროპის მე-10 შესარჩევ ქვეჯგუფში, არათუ ვერ გატეხეს ჯგუფის აუტსაიდერად მიჩნეულ ალბანელთა წინააღმდეგობა, არამედ დამარცხდნენ (1:3). მეტიც: ალბანელებს რუსების კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანიც რომ კარგად დაერტყათ, გაზაევის შეგირდები გამანადგურებელი ანგარიშით მარცხს ვერ გადაურჩებოდნენ.

ერთი ციცქნა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა თამაშის ყველა კომპონენტში დაჩაგრეს ზესახელმწიფოს ნაკრები, მაგრამ რუსების მთავარ მწვრთნელს ამის აღიარება არ სურს და მარცხს ბელგიელ არბიტრს, პოლ ალარტსს აბრალებს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდრე ჩივაძემ, ალბათ, იმის გამო, რომ გაზაევივით მსაჯს ვერაფერს დააბრალებდა, ირლანდიასთან ნაჩვენები სამარცხვინო თამაშისა და წაგებული მატჩის შემდეგ პრესასთან შეხვედრა არ ისურვა. ამიტომაც, გთავაზობთ მისი მეგობრის, ვალერი გაზაევის ინტერვიუს, რომელიც მას გაზეთ "რუსსკაია გაზეტას" კორესპონდენტმა ჩამოართვა.

**- რით ახსნით ასეთ სენსაციურ დამარცხებას?**

- ჩვენს კარში გასული სამი გოლიდან ორი მსაჯების სინდისზეა. მეორე გოლის გატანის წინ ალბანელმა თავდამსხმელმა ბურთი ხელით დაიმორჩილა, ხოლო მესამე გოლის წინ მისმა ავტორმა იგნაშევიჩის წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვია. ასე რომ, ჩემს ფეხბურთელებს ვერ დავადანაშაულებ. მეორე ტაიმში ალბანელებმა ჩვენ კარს მხოლოდ ორჯერ შეუტიეს საერიოზულად. ორივე შეტევა კარის აღებით დასრულდა. გოლები თამაშის წესების დაცვით რომ გასულიყო, ხმას არ ამოვიღებდი. მეორე ტაიმში სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ვფლობდით, რამდენიმე კარგი საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ მათი რეალიზება ვერ მოვახერხეთ. მოწინააღმდეგემ კი, ჩვენი და მსაჯების შეცდომების ხარჯზე, სამი ქულა მიითვალა.

**- ფეხბურთელებმა თქვენი მითითებები შეასრულეს?**

- პირნათლად. როგორც მატჩის წინ, ისე მისი მსვლელობისას, საკადრო პრობლემები გვქონდა. ამის მიუხედავად, სასურველი შედეგისთვის მაინც უნდა მიგვეღწია, მაგრამ ასე არ მოხდა. კიდევ ერთხელ ვიტყვი: დამარცხებას არ ვიმსახურებდით და ჩემს გუნდს ვერაფერში დავადანაშაულებ. მოწინააღმდეგის ძალისა და ჩვენი მომზადების დონის გათვალისწინებით, ალბანეთის ნაკრები უნდა დაგვემარცხებინა.




*ვალერი გაზაევი*

**- თქვენ თქვით, რომ დამარცხებას არ იმსახურებდით. გამოდის, რომ ალბანეთის ნაკრები იყო დამარცხების ღირსი...**

- ამას ვერ ვიტყვი. მათ ძალიან მოინდომეს, სამი გოლი გაგვიტანეს და თერთმეტმეტრიანით კიდევ შეეძლოთ ჩვენი კარის აღება. ალბათ, მასპინძლებიც იმსახურებდნენ გამარჯვებას.

**- სამი ქულის დაკარგვას ძალიან მტკივნეულად განიცდით?**

- რა თქმა უნდა. დამარცხება იმასთან, ვისთანაც ქულების დაგროვებას გეგმავ, ძალზე საწყენია. თუმცა, ამ დამარცხებას ტრაგედიად არ ვთვლი. შესარჩევი ციკლი ახლა იწყება და დაკარგულის ანაზღაურებას შევძლებთ. ამ მარცხიდან აუცილებლად გამოვიტანთ სათანადო დასკვნებს. თამაშის შემდეგ სერიოზულად ვესაუბრე ფეხბურთელებს. ყველას კარგად ესმის, რომ ყველა მომდევნო თამაშის შედეგს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, გასვლით მატჩში, რომელიც თბილისში, საქართველოს ნაკრებთან გვიწევს, განსაკუთრებული განწყობით ვითამაშებთ.

**- რამ არ დაგაკმაყოფილათ რუსეთის ნაკრების თამაშში?**

- პირველ ტაიმში ჩვენი გარემარბები სათანადო დონეზე ვერ მოქმედებდნენ, რის გამოც შეტევაში თამაში არ გამოგვივიდა.

**- ნაკრების დებიუტანტების – ტოჩილინისა და ბერეზუცკის თამაშზე რას იტყვით?**

- ტოჩილინს დაცვაში ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ შეტევებში ვერ ერთვებოდა და ამიტომ გამოვცვალე. რაც შეეხება ბერეზუცკის, მისით თამაშით უკმაყოფილო არა ვარ.

**- გუსევი რატომ გამოცვალეთ?**

- ჩვენ თამაში ვერ ავაწყვეთ. ამასთან, პირველი გოლი მას შემდეგ გაგვიტანეს, რაც გუსევმა მოედნის ცენტრში ბურთი დაკარგა.

რაგბი

# განზილებულთა მატჩი, მოტივაციის გარეშე

პაატა თოთაძე

**ევროპის ერთა თასი**
**საქართველო 6:19 რუმინეთი**

**საქართველო:** *შველიძე, ა. გიორგაძე, რატიანიძე (მთიულიშვილი 55), მჭედლიშვილი, ნადირაძე (დიდებულიძე 55), ლაბაძე (ბოლღაშვილი 71), იაშვილი, ზედგენიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, კაცაძე, ი. გიორგაძე, ზიზზიბაძე, ურჯუკაშვილი, ხეხელაშვილი (ხამაშურიძე 52)*
**2 ჯარიმა:** *ჯიმშელაძე*
**რუმინეთი:** *ტოდერაშკი (ბალანი 77), ტინკუ, ფლორია (სოკაჩუ 57), სოკოლი, კრისტიანი (პეტრიკეი 71), კირიაკი, მერსოი (ბეჟანი 74), ტონიცე, მიტუ, ტოფანი, ბრეზოიანუ, მაფტეი, გონტინეაკი, სეუანი, დუმბრავა*
**3 ლელო:** *ბრეზოიანუ, მაფტეი, გონტინეაკი*
**2 გარდასახვა:** *ტოფანი*

ზედიზედ ორი დღეა, ქართველი სპორტის მოყვარულები თანამემამულეთა მარცხის მოწმენი ხდებიან. გუშინწინ ფეხბურთელებმა წააგეს, გუშინ კი - მორაგბეებმა. ბორჯღალოსანთა მარცხი დიდ ტრაგედიად არავის აღუქვამს. იმ მცირე თასს, ნახევარი სეზონის მოგებისთვის რომ იღებენ გუნდები, ვერც გამარჯვების შემთხვევაში დაეუფლებოდნენ ქართველები. უბრალოდ, საწყენია, რუმინეთი თბილისში კვლავაც დაუმარცხებელ გუნდად რჩება და მათ დასამარცხებლად ქართველ გულშემატკივარს, სულ მცირე, ორი წელი მოუწევს ცდა; ქართველთა მიერ დაარსებული ანთიმოზ ივერიელის თასი კი კვლავაც რუმინეთში დაიდებს ბინას.

გუშინდელმა შეხვედრამ ნათლად დაგვანახა ის ხარვეზები, რომელიც საქართველოს ნაკრების თამაშში არსებობს. პირველ ტაიმში ქართველები უკეთ გამოიყურებოდნენ. ტაიმის ბოლომდე გუნდი, თითქმის, უნაკლოდ თამაშობდა - თუმცა, ეს დაცვას უფრო ეხება, შეტევით ქართველები ნაკლებად გამოირჩეოდნენ. მორაგბეები სწრაფად გადაწყობას ვერ ასწრებდნენ და, შესაბამისად, არც უპირატესობა ჰქონდათ. ეს, გარკვეულწილად, ქართველი მორაგბეების დაბალი ინდივიდუალური ტექნიკის ბრალიცაა.


იბრძოლეს, აუტებიც მოიგეს მაგრამ წააგეს

შეხვედრის განმავლობაში მასპინძლებმა მეტოქის ექვსი აუტი მოიგეს, სამი - პირველ ნახევარში, სამიც - მეორეში, მაგრამ ვერც ამ უპირატესობის გამოყენება მოხერხდა. ქართველთა შერკინებაც პირველ ტაიმში უფრო ეფექტურად მოქმედებდა, ვიდრე მეორეში. მორკინალების წყალობით, ბორჯღალოსნები რამდენჯერმე მიუახლოვდნენ სტუმართა ჩათვლის მოედანს, საბოლოოდ კი ლელოს დადება ვერ შეძლეს. პირველი ტაიმის შუაში, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი შეტევისას (სამფაზიანი) ჯიმშელაძეს შეექმნა მომენტი არეკნის დასარტყმელად, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ზუსტად ერთ წუთში მსაჯმა ტარიელ რატიანიძე მეტოქისთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფისთვის გააგდო. სხვათა შორის, სანამ რატიანიძე ბრეზოიანუს დაარტყამდა, მანამდე ასევე მოექცა მას რუმინელი (ანუ რატიანიძის საქციელი ერთგვარი პასუხი იყო, თუმცა, მსაჯმა რატომღაც ამ შეხლა-შემოხლის მხოლოდ ბოლო მომენტი შეამჩნია). მე-20 წუთისთვის ანგარიში 6:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ბორჯღალოსნებს უპირატესობა კიდევ უფრო უნდა გაეზარდათ.

სტუმრებმა პირველი აუტი მსაჯის მიერ დამატებულ დროში მოგვიგეს - ვალენტინ მაფტეიმ და გაბრიელ ბრეზოიანუმ ისეთი კომბინაცია გაითამაშეს ქართველ უკანახაზელებს თავგზა აუბნიეს. ამის შემდეგ თამაშს რუმინელები მართავდნენ.

მეორე ტაიმი მთლიანად რუმინელთა დიქტატით წარიმართა. ქართველთა დაცვას ხელით თამაშით რომ ვერაფერი მოუხერხეს, რუმინელებმა სათამაშო ტაქტიკა შეცვალეს და მეტოქის მისსავე ნახევარზე ჩაკეტვა სცადეს - ბურთს ქართველთა ნახევარზე ფეხით კიდებდნენ და აქვე იბრძოდნენ. ამ ტაქტიკამ გაამართლა.


მზიანა ბახაძის ფოტოები

ნახევარი საათის განმავლობაში ბორჯრალოსნები მეტოქის ნახევარზე არ გადასულან, თანაც ორჯერ ჩვენი მორაგბეები საშინლად შეცდნენ და შედეგად ორი ლელოც მიიღეს. სწორედ ამ შეცდომებმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. ქართველებმა მეტოქის მიერ ფეხით დაკიდული ბურთის ხელში დაჭერა ორჯერ ვერ მოახერხეს. უნდა ითქვას, რომ პირველ შემთხვევაში ვალენტინ მაფტეიმ უბურთო ბადრი ხეხელაშვილს ხელი ჰკრა და ბურთს ისე მიუსწრო, თორემ ქართველი მცველი მოახერხებდა ბურთის დაუფლებას.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ქართველთა მწვრთნელმა, კლოდ სორელმა რუმინელებს გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა, - დღეს ჩვენზე მაღალი კლასის მეტოქემ დაგვამარცხაო. "დღევანდელმა მატჩმა წარმოაჩინა ჩვენი ხარვეზები. მე არ ვთვლი, რომ საქართველომ წინა წელთან შედარებით რეგრესი განიცადა. რუმინელებმა დაგვანახეს, რომ ჩვენზე გამოცდილები არიან და თამაშსაც უკეთ მართავენ. გარდა ამისა, ისინი ინდივიდუალურადაც ჩვენზე ტექნიკურები არიან. რუმინელებს მნიშვნელოვანი პროგრესი აქვთ. ეს გუნდი შარშან ევროპული რაგბის გრანდებს - შოტლანდიას, ირლანდიას, ინგლისს და უელსს შეხვდა, რამაც მათი კლასი აამაღლა. სწორედ ასეთ გუნდებთან მატჩებში ჩნდება სისუსტეები, რომელთა აღმოფხვრაზეც მომავალში უნდა იმუშაო. ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთი შესაძლებლობები არ გვაქვს, ასე რომ, პროგრესირებად რუმინელებთან ისეთი თამაში, როცა შენივე ელემენტარული შეცდომების გამო აგებ, რეგრესად არ მიმაჩნია", - განაცხადა მწვრთნელმა.

რუმინელთა მწვრთნელის, ბერნარ შარერის თქმით, მის გუნდს ძალები პირველი ტაიმის ბოლოს გატანილმა ლელომ შეჰმატა: "ამის შემდეგ ვიგრძენით, რომ გამარჯვება შეგვეძლო. მეორე ტაიმში ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, მეტოქე მისივე ნახევრიდან არ გამოგვეშვა, რაც საკმაოდ კარგად შევასრულეთ". სტუმართა კაპიტნის, რომეო გონტინეაკს კი მიაჩნია, რომ, პორტუგალიელთა მიერ წელს ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, თასს კვლავაც საქართველო და რუმინეთი გაითამაშებენ: "პორტუგალიაში მარცხი ერთგვარად სილის გაწვნა იყო. მე ვიცი, რასაც წარმოადგენს პორტუგალია. მართალია, ამ გუნდმა დიდი პროგრესი განიცადა, მაგრამ ნამდვილად არაა იმ დონის, ჩვენ ან საქართველოს მოუგოს. მომავალ წელს ყველაფერი თავის ადგილას დადგება და დარწმუნებული ვარ, თასს კვლავაც რუმინეთის ან საქართველოს სახელი დაეწერება".

ევროპის ერთა თასი ოწლიანი ტურნირია - ანუ თასს, ორი წლის შედეგების მიხედვით, საუკეთესო გუნდი იღებს, ერთი წლის, ანუ ნახევარი სეზონის მომგები გუნდი - მცირე თასს. წელს ეს ჯილდო პორტუგალიელებს ხვდათ წილად. ერთა თასს რაც შეეხება, მისი მოგების შანსს ქართველებიც ინარჩუნებენ, მაგრამ საამისოდ ბორჯღალოსნებმა მომავალ წელს ბუქარესტში უნდა სძლიონ რუმინეთის ეროვნულ გუნდს. ვიღაცას ეს, შესაძლოა, არარეალურად მოეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუქარესტში ქართველებს შარშანწინ უკვე ჰყავთ დამარცხებული მეტოქე, ამის ალბათობა არცთუ მცირეა.

გუშინვე ტურნირის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა. ესპანეთის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე უმასპინძლა ჩეხეთის ეროვნულ გუნდს და 38:40 დამარცხდა. ამ დამარცხების შემდეგ მსოფლიო თასზე გასვლისთვის მებრძოლი ესპანელები ჯგუფიდან გავარდნის რეალური კანდიდატები არიან. სავარაუდოდ, ყველაფერი მომავალ წელს, ამ გუნდების მატჩის შემდეგ გაირკვევა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 5 | 0 | 0 | 143:85 | 15 |
| საქართველო | 5 | 3 | 0 | 2 | 123:88 | 11 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 88:40 | 10 |
| რუსეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 95:90 | 6 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 65:111 | 5 |
| ესპანეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 82:192 | 5 |

კრივი

# წყალში გადაყრილი მუშტები

ბიბა ბურასაშვილი

*არასატიტულო დაპირისპირება, სატიტულო ორთაბრძოლის პერსპექტივით. ასეთი იყო გუშინდელი ფილადელფიური კრივი, რომელმაც ერთმანეთს ჰასიმ რაჰმანი და დევიდ ტუა შეჰყარა. რა ხანია, ერთიც და მეორეც, თანამედროვე პროფესიული რინგის ზედაპირზე ტივტივებენ, მაგრამ საქმე ისე გაუხდიათ, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ. ამჯერად მათი თავშეყრის მიზეზი კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) საჩემპიონო სარტყელისთვის პრეტენდენტობა გახლდათ. თუმცა, ამ დღეს გამარჯვება არც ერთს არ ეწერა. პერსპექტივამ სამომავლოდ გადაიწია.*

პროფესიულ კრივში, არცთუ ისე ხშირად, ესა თუ ის ორთაბრძოლა საყაიმო ანგარიშით მთავრდება. მძიმეწონოსანთა გუშინდელ მატჩში ახალზელანდიელმა დევიდ ტუამ და ამერიკელმა ჰასიმ რაჰმანმა მუშტები ამაოდ იქნიეს. არადა...

შვიდი თვის განმავლობაში ამერიკელი ჰასიმ რაჰმანი მძიმეწონოსანთა მეუფედ ითვლებოდა. ეს მაშინ, როდესაც რაჰმანმა მეხუთე რაუნდში ერთი დროული და ზუსტი მარჯვენა დარტყმით კრივის აბსოლუტური ჩემპიონი, ბრიტანელი ლენოქს ლუისი ნოკაუტით დასცა. კრივის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოულოდნელობად შერაცხულმა მატჩმა მანამდე უცნობ ბალტიმორელ მოკრივეს არნახული დიდება და სიმდიდრე მოუტანა. ორი წლის წინანდელი საგმირო საქმიდან რაჰმანს მხოლოდ ტკბილი მოგონებები შემორჩა. მეტიც: დევიდ ტუასთან შეხლამდე აცხადებდა კიდეც, თუ ახალზელანდიელთან არაფერი გამივა, მაშინ, ჯობს, ხელთათმანები სამუდამოდ გავიხადოო.

"თუ ეს ბრძოლა ვერ მოვიგე, მაშინ აზრი არა აქვს მომავალზე ფიქრს. მართალია, ძალიანაც არ მინდა კრივისთვის თავის დანებება, მაგრამ წაგების შემთხვევაში იძულებული ვიქნები, ეს გავაკეთო", - ასეთი იყო რაჰმანი ტუასთან დაპირისპირებამდე ერთი დღით ადრე.

გარდა იმისა, რომ ფილადელფიურ ბრძოლას უნდა გამოევლინებინა ფედერაციის ჩემპიონის, კრის ბერდის მეტოქის ვინაობა, მას სხვა დატვირთვაც ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ეს შეხვედრა 1998 წლის ორთაბრძოლის რემატჩიც გახლდათ. ხუთი წლის წინანდელ 12-რაუნდიან დაპირისპირებაში რაჰმანი ტუას მოსვენებას არ აძლევდა და ცოტაღა აკლდა, გამარჯვება ეზეიმა, მაგრამ ბოლოს ახალზელანდიელმა ხელი გამოიღო და თითქმის წაგებული ბრძოლა თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. მაშინ ტუაც და რაჰმანიც, ასე თუ ისე, რაღაცას წარმოადგენდნენ. დღეს კი სხვა ვითარებაა. ტუასგან განსხვავებით, საკუთარი ბედი უფრო რაჰმანს ადარდებდა, თუმცა, მზად იყო, ხუთი წლის წინანდელი მარცხის გამო ახალზელანდიელზე შური ეძია. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელ დაპირისპირებაში საკუთარ თავს მიიჩნევს გამარჯვებულად: "ადრე მაგ მატყუარას იოლად გავუსწორდი. ასე რომ, რატომ უნდა გამიჭირდეს მისი ხელმეორედ ცემა?"



სტოპ კადრი: ტუა და რაჰმანი ერთ ადგილზე გაიყინნენ...


...და რომ ვერაფერი გაიყვეს, ერთმანეთს ჩაეხუტნენ.

ამერიკელისგან განსხვავებით, ტუამ ბრძოლამდე პროგნოზებისგან თავი შეიკავა, თუმცა, მუქარა მაინც გაურია. ამასთან, ორი სიტყვა ადრინდელ ორთაბრძოლაზეც თქვა: "მე იმ ფაქტის თანამონაწილე ვარ, რაც მაშინ მოხდა. ახლა სხვა დროა. წარსული უკვე ისტორიის საკუთრებაა...

რაც შეეხება თავად დავიდ ტუას, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოთ, რადგან არსად წასვლას არ ვაპირებ, პირიქით, მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენს ცხვირწინ ვიქნები".

ფილადელფიური დაპირისპირება კი, შეიძლება ითქვას, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. იმედგაცრუებულმა მაყურებელმა ერთი ნოკდაუნიც ვერ იხილა. მართალია, პირველ რაუნდებში რაჰმანი უპირატესობას ფლობდა, მაგრამ შემდეგ რამდენიმე ძლიერი დარტყმა იგემა. ერთი სიტყვით, რაჰმანის შემდეგ ტუა გააქტიურდა, თუმცა, არა ისე, რომ გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა. დუელი თანაბარძალოვანი გამოდგა და ეს მსაჯთა შეფასებიდანაც ჩანს. სამიდან ერთმა, ბილ კლენსიმ, 116-112 წინააღმდეგ რაჰმანის სასარგებლოდ დაითვალა, ხოლო მეორე მსაჯმა, ბობ გრასომ, ზუსტად იმავე მაჩვენებლით – ტუას სასარგებლოდ. მესამე მსაჯმა, ჯორჯ ჰილიმ კი, არც ერთ მათგანს არ მიანიჭა უპირატესობა. მეტოქეები საყაიმო ანგარიშით – 114:114 გაყარა. ასე რომ, ფილადელფიურმა პაექრობამ ბევრი ვერაფერი გამოავლინა, ანუ, ისევ გაურკვეველია კრის ბერდის ოფიციალური პრეტენდენტის ვინაობა. ტუამ რაჰმანთან ბრძოლისთვის ერთი მილიონი დოლარი მიიღო, ხოლო რაჰმანმა - 750 ათასი.

ინფორმაცია

### ინგლისი დაუმარცხებელია

ტრიუმფით დაასრულა ექვსი ერის პირველობა ინგლისის ნაკრებმა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გუნდს ევროპაში ბადალი არ ჰყავს. გუშინ ინგლისელები ირლანდიას სტუმრობდნენ. პოპულარულ საიტ planet-rugby-ზე მოწყობილი გამოკითხვის შედეგად გულშემატკივართა უმეტესობა გამარჯვებას ირლანდიელებს უწინასწარმეტყველებდა. სხვაგვარად კი მოხდა - ინგლისელებმა პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე და 42:6 დაამარცხეს კელტები. ტურის სხვა მატჩებში ფრანგებმა როგორც მოსალოდნელი იყო იოლად მოუგეს უელსელებს 33:5, შოტლანდიამ კი იტალია დაამარცხა 33:25.

### შუმახერი პელეს ნაკვალევზე

ფორმულა 1-ის ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, მიხაელ შუმახერი, გარდა იმისა, რომ Ferrari-ის დააქროლებს, თავისუფალ დროს ფეხბურთითაც იქცევს თავს. რადგანაც გერმანელი პილოტის ფეხბურთით გატაცება ცნობილი ამბავია, მას ხშირად იწვევენ საქველმოქმედო მატჩებზე. ახლაც ასეა. ტრუს-მაისურში გამოწყობილ შუმახერს ოთხშაბათს ბრაზილიაში ელიან, თანაც სად - 2002 წლის ქვეყნის ჩემპიონ კლუბ "სანტოსში", რომელშიც ოდესღაც პელესაც უთამაშია. საჩვენებელ მატჩზე დასასწრები ბილეთებიც უკვე გაყიდვაშია. მატჩის ორგანიზატორებს სურთ, ბილეთებისთვის გაღებული თანხა უსახლკარო ბავშვთა დახმარების პროგრამას მოახმარონ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბრაზილიური ტელეკომპანია TV Globo შესაბამისი წინადადებით თუ თხოვნით Ferrari-ის საჯინიბოსა და მიხაელ შუმახერს დაუკავშირდა. გერმანელ პილოტს ბევრი არ უფიქრია და ბრაზილიელებს თანხმობის ფურცელი გაუგზავნა. მანამდე კი...

შუმახერმა და ლუკა ბადოერმა იტალიელთა საჯინიბოს სატესტო ტრასაზე ფიორანოში ტესტების მეხუთე და უკანასკნელი დღე დაასრულეს. თუ ბადოერმა შარშანდელი მოდელით 20 წრე 58.818 შედეგით გაიარა, შუმახერმა ახალი ბოლიდი გახედნა და იტალიური ტრასის რეკორდითაც - 56.338 გამოიჩინა თავი. ამისთვის კი გერმანელ პილოტს 90 წრე დასჭირდა.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 28 წლის წინათ...


1975 წლის 25 მაისი. ბელგია. ფორმულა 1-ის ავსტრიელი პილოტი ნიკი ლაუდა.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (საკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22

გაზეთი 24 საათი
31.03.03 N-88

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## მანქანები

### იყიდება !

**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 38-44 43 საღამოს, 61 29 76

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559**

## სხვადასხვა

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

იყიდება რუმინული კედელი „კრისტინა", კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 78 28 55, 35 38 77, 8(93) 30 40 79

შევიძენ 15 ტონიდან 100 ტონამდე სასწორს ავტომობილებისა და ჯართის ასაწონად. 70 60 99, 8(99) 55 91 70




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

იყიდება კომპიუტერის კატრიჯები იაფად. ალ. ყაზბეგის ქუჩა № 14. 91 18 81

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა.
ტელ: 22 06 22

# TV პროგრამა 31 მარტი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.00 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
19.55 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ჰიპნოზის ქვეშ" მთ. რ-ში: ჯოდი ფოსტერი.
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.10 მხ. ფილმი „მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"
11.35 ზოოპარკი
12.00, 15.00, 20.00 „მოამბე"
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 დოკ. სერიალი „შინაური ცხოველების ველური ბუნება" 1-ლი ს.
15.15 მხ. ფილმი „საშობაო ღვეზელი"
17.00 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.15 „რამპა"
17.20 50-50
18.00 „ვესტნიკი"
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.35 ბასტი-ბუბუ
18.55 „გზა პერსპექტივისაკენ"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.55 მუს.პაუზა
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „დოყლაპია"

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ჩემი მამა, ჩემი დედა, ჩემი ძმები და დები"
19.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი ბრავო „სენსაცია" მთ.როლში ჯეისონ პრისტლი
01.40 ფილმი ღამურა „დიდებული ბიჭები"
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე

19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ეძიეთ ქალი"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „გამოქვაბულის დათვის კლანი"
10.20 მხ.ფ. „რით დავიმსახურე ეს"
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ანგარებიანი ქორწინება"
22.40 „ბურთი და მოედანი"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „კოსმოსის ტყვეობაში"
01.30 ღამის ფილმი

## ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ"
13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.00 მხ. ფილმი „ვანილიანი მარწყვის ნაყინი"
15.00, 21.00 ვესტი
15.30 ფილმის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინარული
20.30 „გვარიშვილობა"
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 პირველი ნაბიჯები
23.00 მუსიკალური პაუზა
23.25 ინდური მხ. ფილმი.

## მეცხრე არხი

09.35 მხ. ფილმი „პასეანსი ორისათვის"
11.15, 17.25, 17.50, 18.45, 21.55, 23.50 მუსიკა
11.20 მხ. ფილმი „უკანასკნელი გარიგება"
12.50 დოკ. ფილმი „ფოტორობოტი" მე-6 ს.
13.40 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „პენსია"
13.55 „ოსტატები"-დიზაინერი
14.15 „ბელისიმო"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.15 „ლეო და გეო"
15.30 მულტფილმი „აბა დამაცადე!"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 146-ე ს.
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „ბავშვების გადასარჩენად"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ.ფ. „გრძელი შაბათ-კვირა"

## იმედი

17.00, 01.00 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.50 ახალი ამბების დაიჯესტი

18.00 სერიალი „ლაბირინთი" მე-4 ს.
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი" მე-6 ს.
20.30 8 1-2 სპორტული პროგრამა „გოლი"
21.00 სერიალი „განდიტური პეტერბურგი" მე-10 ს.
22.45 კინონოსტალგია „თავდასხმა" (მ. ბუკე, ფ. ნუარე)

## აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 სათავგადასავლო ფილმი „პატარა სტიუარტი"
10.45 ფილმი-ფანტასტიკა „კაპიტანი ნემო" 1 ს.
12.10 კომედია „ფორტუნა"
13.40 მხატვრული ფილმი „გამოსასყიდი"
16.10 მულტფილმი „პაკემონი: შუაღამის დარაჯი"
17.10 ისტორიული ფილმი „ბენ-ჰური" 1 ს.
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30 ფილმი-კატასტროფა „იდეალური შტორმი"
21.35 დოკუმენტური ფილმი
23.00 „ალტერნატივა" (ავტორი ნ.რატიშვილი)
00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.10 მხატვრული ფილმი „შიდა გამოძიება"
03.20 დოკუმენტური ფილმი „ბარსელონა"
03.45 მელოდრამა „ჰოლივუდის პრინცესა"

## VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით)
12.50 კომპიუტერული ტექნიკა
13.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.50 კომპიუტერული თამაშები
14.15 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 მელოდია
20.40 კომპიუტერული თამაშები
20.55 „ლა-ლა-ლა"
21.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.15 „კინოკლუბი „ - „მთიელი"
00.05 მობილურები
01.10 „ბიორითმი"

## ОРТ

13.00, 16.00, 19.00 Новости
13.15 Что? Где? Когда?
14.40 Смак
15.00 Путешествие натуралиста
15.30 Док. детектив „Приходите меня убивать"
16.20 Детектив „ВЫСТРЕЛ В СПИНУ"
18.00 „Большая стирка"
19.30, 00.55 „Фабрика звезд-2"
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00, 00.30 Время
22.40 „Последний герой-3"
23.45 Независимое расследование
01.10 „На футболе"
01.40 „Новый день". „Подводный мир А. Макаревича"

02.10 Апология
03.10 Триллер „БЕЗ ПРЕДЕЛА"
05.05 Комедия „ЭТО МОЯ ЖИЗНЬ"
06.40 „Без лица"

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Худ. фильм „ТАКСИ"
11.30, 17.45 Экспертиза
11.40, 18.20 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 В „Городке"
13.30 Вести недели
14.30 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина". Ток-шоу Е. Яковлевой.
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15 „Честный детектив"
18.50 Дорожный патруль
19.05 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Провинциалы"
23.00 Сериал „Кобра. АНТИТЕРРОР"
00.00 „Вести +"
00.30 Дежурный по стране
01.20 Комедия „ЗА ПРЕКРАСНЫХ ДАМ!"
02.30 „Футбол России"
02.55 Худ. фильм „СМЕРТЬ В ЛИССАБОНЕ"

## НТВ

09.50 Детектив „СЫЩИКИ"
11.00 Сегодня утром
11.25 Команда.ru
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 Экстремальный контакт: Американский аллигатор
12.35 „Домбайский Экстрим". „Профессия-репортер"
13.05 Комедия „ЧУДОВИЩЕ"
15.05 „Женский взгляд". М. Рудинштейн
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.30 Принцип „Домино"
18.10 Сериал „Бандитский Петербург".
19.15 „Внимание розыск!"
20.35 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ". 1-я с.
21.50 Сериал „Бандитский Петербург".
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
00.20 Худ. фильм „ЛЮБОВНИЦА ИЗ МОСКВЫ"
01.40 Гордон

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# აფიშა

## თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო საღარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**
ლეილა შელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა
**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 13:00; 19:00; 22:30 სთ; ფასი 6-9 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 17:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
**„რუსთაველი„**
"განძთა კუნძული"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 19:00; ფასი 5 ლარი
**„ელისო„**
"განძთა პლანეტა"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00 ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი



# "ჟუვაჩკა! კევა! პედრო!"

## ამერიკული კულტურის ინგრედიენტები

ირაკლი მახარაძე

ბავშვობიდან მახსოვს თბილისის ქუჩებში მოსიარულე ბოშა ქალები, რომლებიც რაც ძალი ღონე ჰქონდათ გაჰყვიროდნენ "ჟუვაჩკა, კევა! პედრო! პედრო!" ეს "პედრო" 50 კაპიკი ღირდა და როგორც კი ფული ჩაგვივარდებოდა ან ამ ქალებისაგან ვყიდულობდით ან კიდევ შაუმიანის (ახლანდელი ქეთევან წამებულის) ქუჩაზე, სასამართლოს მოპირდაპირე მხარეს მდებარე "ხუჟანების" ეზოში შევივლიდით, სადაც ბლომად ჰქონდათ "სემიჩკაც", "ჟუვაჩკაც" და ბევრი სხვა რამ. ეს ქალაქში, სოფელში კი ყველა "კევზე" იყო გადასული, რომლის დაღეჭვასაც დიდი მონდომება და ძლიერი ყბები სჭირდებოდა, სამაგიეროდ, ის იაფი და თანაც ნატურალური პროდუქტი იყო. მაგრამ ყველაზე დიდ აღტაცებას ის იწვევდა, როცა ვინმე უცხოეთიდან მანამდე არნახულ სალეჭ რეზინას ჩამოიტანდა, ეს ოცნების ზღვარი იყო ბავშვებისათვის. მაგრამ მაშინ, 60-იანი წლების ბოლოს, ცოტა ვინმე თუ დადიოდა საზღვარგარეთ (გიორგი დანელიას წიგნში "უბილეთო მგზავრი" ვკითხულობთ: "დანაზოგი ფულით კი ბავშვებისათვის პრალის აეროპორტში (დიუთი ფრიში) ვიყიდე ორი შეკვრა სალეჭი რეზინა". ეს ხდება 1961 წელს, ახლა ხომ წარმოუდგენელია, რომ ვინმემ უცხოეთიდან ბავშვს საჩუქრად სალეჭი რეზინა ჩამოუტანოს, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, კომუნიზმის მშენებლობის დიადი წლები).

მახსენდება ერთი ამბავი, რომელიც ჩემს ახლობლებს, მაშინ 8-9 წლის გოგო-ბიჭს, გადახდათ თავს. მშობლები ამერიკიდან ჩამოვიდნენ და სხვა სუვენირებთან ერთად ბლომად სალეჭი რეზინაც ჩამოიტანეს. "ჩემოდანი რომ გახსნეს, იქიდან ნიაღვარივით წამოვიდა "ჟუვაჩკებიო", ყველანი ბედნიერები იყვნენ, ყველაზე მეტად კი ბავშვები. მშობლების ჩამოსვლის ამბავი, რაღა თქმა უნდა, მეზობლის ბავშვებსაც არ გამორჩენიათ და მუქთა "ჟუვაჩკისთვის" მათ მიადგნენ, ისინიც, როგორც ხელგაშლილ მასპინძლებს შეეფერებათ, თავის თანატოლებს ურიგებდნენ სალეჭ რეზინას, მაგრამ სულ მალე მარაგი ამოიწურა, მსურველთა რიგები კი არა; მაშინ ბავშვებმა ექიმი დედის აფთიაქიდან ამოიღეს ბუასილის საწინააღმდეგო სანთლები (ეს კი ადვილად საშოვნი იყო) და ისევ განაგრძეს მეზობლების დასაჩუქრება, ამჯერადაც ყველა კმაყოფილი და ბედნიერი დარჩა. მას შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა და სანთლის მღეჭავებს დღემდე ჰგონიათ, რომ ისინი ამერიკიდან ჩამოტანილ რიგლის "ჟუვაჩკებს" ღეჭავდნენ...

დღევანდელი სახით, (უამრავი სახეცვლილებების შედეგად, ამის დეტალურად მოყოლა ძალიან შორს წაგვიყვანს), სალეჭმა რეზინამ დღის სინათლე მე-19 საუკუნის მიწურულს ნახა. თუმცა, პირველად ადამიანმა სალეჭი რეზინა რამოდენიმე ათასი წლის წინათ იგემა. ძველი ბერძნები ღეჭავდნენ დანამასტაკის ფისს და რამდენადაც ვიცი, დღესაც აგრძელებენ. ცენტრალურ ამერიკაშიც მაიას ტომის ინდიელები ღეჭავდნენ წიწვოვანი ხის გამონადენს, რომელიც შემდგომ ევროპელმა კოლონისტებმაც იგემეს და ძალიანაც მოეწონათ.

პირველად სალეჭი რეზინის კომერციული წარმოება მეზღვაურმა ჯონ კერტისმა დაიწყო 1848 წელს. იგი ყიდდა თავის ნაწარმს პატარა პარტიებად და მას ერქვა "მეინის შტატის ნაღდი წიწვოვანი სალეჭი". ორი ცალი ერთი პენი ღირდა. როგორც ყველა ახალი პროდუქტი, ის ნელ-ნელა იყიდებოდა, სანამ ხალხმა გემო არ გაუგო. კერტისს საქმე კარგად წაუვიდა, მან ჩამოაყალიბა "კერტისის სალეჭი რეზინის კომპანია", სადაც 200 კაცი მუშაობდა. სალეჭი რეზინა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მარკ ტვენმაც კი შეიტანა ის "ტომ სოიერის თავგადასავალში":

"- არა, საერთოდ, ვირთაგვები არ მიყვარს. მე მიყვარს რეზინის ღეჭვა.

- ოღონდაც! ვწუხვარ, რომ არა მაქვს.

- გინდა? მე მაქვს პატარა ნაჭერი.


უილიამ რიგლი



ასე ავრცელებდნენ "რიგლის"


"ბავშვი სალეჭი რეზინით" - როქუელის ნახატი



"რიგლი"-ს ერთ-ერთი პირველი რეკლამა

მოგცემ დასაღეჭად, მხოლოდ უკანვე დამიბრუნე.

ტომი დათანხმდა. დაიწყეს რიგრიგობით ღეჭვა, თან მეტის სიამოვნებისაგან ფეხებს აქნევდნენ". (თარგმანი გრიგოლ ყიფშიძისა. ნაკადული, თბილისი, 1965წ)

მაგრამ მიუხედავად წარმატებისა, კერტისის სალეჭ რეზინას დიდი ნაკლი ჰქონდა - ის ძნელად იღეჭებოდა და თანაც არანაირი სურნელოვანი დანამატები არ ჰქონდა. 1869 წელს დანტისტმა უილიამ სემპლმა სალეჭის დამზადება დაიწყო ხის წებოსა და კბილის ფხვნილის შენარევისაგან, ამ კომბინაციამ უკეთესი შედეგი გამოიღო, სემპლმა დააპატენტა კიდევაც ახალი პროდუქტი, მაგრამ, რატომღაც, ვაჭრობა არ დაუწყია. იმავე წელს ფოტოგრაფი და გამომგონებელი ტომას ადამსი ნიუ-ჯერსიში შეხვდა მექსიკიდან გამოქცეულ გენერალ ანტონიო ლოპეზ დე სანტა ანას, ცნობილს, როგორც "ალამოს ყასაბი" (1836 წელს 4 ათასიანმა მექსიკურმა არმიამ სანტა ანას მეთაურობით გაანადგურა ფორტ ალამოს მცველი 187 ამერიკელი). სანამ ფოტოგრაფი გახდებოდა, ადამსი ბევრს მუშაობდა სინთეტიკურ რეზინაზე - ცდილობდა გაეკეთებინა სათამაშოები, ჩექმები, ნიღბები, მაგრამ ყველაფერში ხელი მოეცარა. მექსიკელ გენერალთან შეხვედრამ კი მისი ბედი ალმა დაატრიალა. სანტა ანას თან ჩამოტანილი ჰქონდა ტონამდე წიწვოვანი ხის პროდუქტი და ცდილობდა რაიმე საქმეში გამოეყენებინა. მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა, თანაც სულ ცოტა ხანში იგი შეიწყალეს, გენერალი მექსიკაში დაბრუნდა, სადაც მალევე გარდაიცვალა. სანტა ანას ჩანაფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ადამსს და ერთხელაც, რეზინის ღეჭვის დროს, თავში მოუვიდა იდეა, რათა მისთვის სიტკბო დაემატებინა. სულ მალე მან გახსნა მსოფლიოში პირველი ფაბრიკა და 1871 წლიდან უკვე უშვებდა ყუთებში ჩალაგებულ სალეჭ რეზინას წარწერით: "ადამსის ნიუ-იორკული სალეჭი რეზინა - მსუბუქი და იწელება". ერთი ცალი ერთი პენი ღირდა. შემდეგში მან გამოუშვა სხვადასხვა სახეობის რეზინა, მათ შორის ცნობილი black jack, მას ახლაც ამზადებენ და tutti-frutti-ს ბურთულები, რომელიც სპეციალური მანქანის მეშვეობით იყიდებოდა.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებისათვის როცა "ჟუვაჩკის" ბიზნესში ბევრი ადამიანი იყო ჩაბმული (დაახლოებით 90 კომპანია აწარმოებდა ამ პროდუქტს) და ბევრიც უკვე გამდიდრებული. სწორედ მაშინ გამოჩნდა უილიამ რიგლი (Wrigley) უმცროსი, საპნისა და საკვები სოდის გამყიდველი, რომელმაც კარდინალურად განსხვავებული გემოს სალეჭი რეზინა გამოუშვა: ჩვენშიც საკმაოდ კარგად ცნობილი juicy fruit და spearmint, ეს უდიდესი წარმატება იყო. სხვა ბიზნესმენებმა სთხოვეს მას რათა ის ტრესტში გაერთიანებულიყო, მაგრამ მან უარი განუცხადა. მოგვიანებით, ბევრი მისი მეტოქე გაკოტრდა და ზოგიერთმა შეამცირა წარმოება, მან კი პირიქით გაასამკეცა. სხვებისაგან განსხვავებით უამრავი ფული დახარჯა რეკლამაზე, ჯამში დაახლოებით 100 მილიონი დოლარი და თან ამტკიცებდა, რომ ადამიანი უფრო ბევრს ღეჭავს, როდესაც ცუდ ხასიათზეა, რასაც იმდროინდელი და შემდგომი გამოკვლევებიც ამტკიცებენ.

ამასთან ერთად, მეტი მყიდველი რომ მიეზიდა, იგი 1915 წლიდან ამერიკის სატელეფონო წიგნში ჩაწერილ ყოველ აბონენტს უფასოდ უგზავნიდა ოთხ ფირფიტა სალეჭ რეზინას, ხოლო რესტორნებში კი მისი პროდუქტი სალაროს აპარატებთან იყიდებოდა და რეკლამა იუწყებოდა, რომ ის ხელს უწყობდა საჭმლის მონელებას. რიგლის აგრესიული რეკლამა არავის არ ინდობდა, ხშირად იგი სულ პატარებს დაბადების დღეებზე უგზავნიდა "ჟუვაჩკას", რათა ღეჭვას ბავშვობიდანვე მიჩვეულიყვნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ამერიკელ ჯარისკაცებს პრეზერვატივებთან ერთად აუცილებლად თან ჰქონდათ სალეჭი რეზინა, ხოლო სამხედრო ქარხნებში მომუშავეებს რიგლის რეკლამა მოუწოდებდა დღეში არანაკლებ ხუთი ფირფიტის დაეღეჭათ, რადგან "ქარხანაში ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენეს, რომ ეს აუმჯობესებს შრომისუნარიანობასა და გუნება-განწყობას" (საინტერესოა, რომ მძიმე წონის მოკრივე, სახელგანთქმული ჯეკ დემპსი ყოველი მატჩის წინ მონდომებით ღეჭავდა რეზინას, ეს, მისი აზრით, ყბებს ამაგრებდა). უილიამ რიგლი იყო პირველი, ვინც შაბათი უქმე დღედ გამოაცხადა, მოსამსახურეებისათვის შემოიღო სამედიცინო დაზღვევა, გახსნა კაფე, სამრეცხაო და ქალებისავის კი თვეში ერთხელ უფასო მანიკური და შამპუნი დააწესა. რიგლის იმპერია დღესაც ერთ-ერთი უძლიერესია ამ ბაზარზე და ახლა მას მისი შთამომავლები უძღვებიან.

სალეჭ რეზინას თაყვანისმცემლებთან ერთად ყოველთვის ჰყავდა მოწინააღმდეგენი. 30-იან წლებში წიგნში "მანერები მილიონებისათვის" სალეჭი რეზინა მიჩნეული იყო უმდაბლესი ფენის, განგსტერების, ბუტლეგერებისა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მავნე ჩვეულებად, (სხვათაშორის, გასული საუკუნის 20-იან წლებში, მშრალი კანონის დროს, გამოშვებული იყო სპეციალური რეზინი, რომელიც თითქოსდა სპობდა სასმელის სუნს). მაგრამ მათთვის, ვისაც მიდრეკილება გააჩნდა მისდამი, მოცემული იყო რამოდენიმე რჩევა, თუ როგორ უნდა დაეღეჭათ რეზინი: "არასოდეს ხმაურით არ ღეჭოთ, ნურასოდეს ნუ გაწელავთ მას, ნურასოდეს ნუ დაღეჭავთ სხვის ნაპირალს" და ა.შ, ხოლო 1940 წელს გამოცემულ "ეტიკეტში" კი გამოთქმული იყო წუხილი იმის შესახებ, რომ ბევრი სხვამხრივ ყველანაირად დადებითი პიროვნება იფუჭებს იმიჯს და ძროხასავით იცოხნება. ფსიქიატრები სალეჭ რეზინს ორალურ მასტურბაციას უწოდებდნენ, დანტისტები ამტკიცებდნენ, რომ ღეჭვა აფუჭებს კბილებს. სინგაპურში 1992 წლიდან "ჟუვაჩკის" გაყიდვა აკრძალული იყო, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ტროტუარებზე, მატარებლების კარებსა და სხვა ადგილებზე მიწებებული სალეჭი რეზინის მოცილება დიდ სირთულეს წარმოადგენდა, მხოლოდ შარშან მოიხსნა ეს აკრძალვა, ოღონდაც უშაქრო რეზინა ახლა აფთიაქებში იყიდება. მაგრამ, მიუხედავად ყველა ნეგატიური შეფასებისა, სალეჭი რეზინა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროდუქტია მსოფლიოში: ყოველ წელს ამერიკაში ორ მილიარდ ნახევარი დოლარის ღირებულების "ჟუვაჩკა" იყიდება; თითოეული ამერიკელი წელიწადში 300 ფირფიტას ღეჭავს; წელიწადში აშშ-ში გაყიდული ყველა სალეჭი რეზინა ერთმანეთს რომ გადავაბათ, გამოვა 5 მილიონი მილის სიგრძის ზოლი; თუ შოკოლადისა და სხვა ტკბილეულობის გასაღება ხან იწევს და ხან ვარდება, "ჟუვაჩკა" ყოველთვის სტაბილურად იყიდება (ყველაზე კარგად ჰელოუინსა და შობის დღესასწაულს შორის). დაახლოებით იგივე სიტუაციაა მთელ მსოფლიოშიც, სულ ახლახან, ბრიტანელი მეცნიერები მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ სალეჭი რეზინა სასიკეთოდ მოქმედებს მახსოვრობაზე (დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს "ჟუვაჩკის" ბიზნესის ლობისტების შეკვეთით არის გაკეთებული), მაგრამ იაპონიაში უფრო შორს წავიდნენ - იქ შეიქმნა ასოციაცია "მოდით, მეტი რეზინა დავღეჭოთ" და იქაურმა მღვდელმა ამის აღსანიშნავად "დიადი სალეჭი რეზინის სულისადმი" მიძღვნილი ლოცვაც კი აღავლინა. სალეჭმა რეზინამ კინემატოგრაფშიც მყარად მოიკიდა ფეხი, მით უმეტეს, რაც სიგარეტის მოწევა დასავლეთში ცუდ ტონად ჩაითვალა. ჩემი აზრით, ამ პროდუქტთან დაკავშირებული ყველაზე სასაცილო და საუკეთესო ეპიზოდი წარმოდგენილია ჩვენთვის კარგად ნაცნობ ფილმში "რაბინ იაკობის თავგადასავალი" უბადლო ლუი დე ფიუნესით მთავარ როლში.

1951 წლიდან კომპანია "ტოპსმა" სალეჭი რეზინის ბიზნესში ინოვაცია შეიტანა - "ჟუვაჩკებთან" ერთად, ერთი ღერი სიგარეტის მაგივრად, ახლა იყიდებოდა ბეისბოლისტების ფოტოები, ასეთი საჩუქრის შემდეგ ბავშვებიც და მშობლებიც მთლად გადაირივნენ. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ბეისბოლისტების ფოტოებს მოჰყვა სხვა ცნობილი პიროვნებების გამოსახულებანი.

დღეს მსოფლიოში ათასგვარი სალეჭი რეზინა გამოდის, ყველაზე გავრცელებული ფერი ვარდისფერია, და ყველა ტკბილეულობათა შორის ის უდავოდ ყველაზე პოპულარულ პროდუქტად რჩება. და მეც დღემდე მახსოვს იმ დაბალხარისხიანი, მაგრამ ყველაზე გემრიელი "ჟუვაჩკის" - "პედროს" გემო.

---

### კალეიდოსკოპი

## Givenchy-ს ახალი სახე

ამერიკელი მსახიობი, ყოფილი მოდელი, ლივ ტაილერი, Givenchy-ს ახალი სურნელის სახე იქნება. ეს სუნამო სექტემბრიდან გაიყიდება.

"ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სარეკლამო კამპანიაში ლივი იღებს მონაწილეობას," განაცხადეს წარმომადგენლებმა, "სურნელის შესახებ ინფორმაცია კი საიდუმლოდ რჩება."

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლივ ტაილერი ფირმის ტანსაცმლის რეკლამაში მონაწილეობას არ მიიღებს, ის მხოლოდ სურნელის სახე იქნება. ტანსაცმლის რეკლამისთვის Givenchy რომელიმე სუპერმოდელის მოწვევას აპირებს. გასულ წლებში ამ როლში მსოფლიოს ფრენკი რეიდეი და კარმენ კასი მოევლინენ.

50-იანი წლების დასაწყისში Givenchy-ს სუნამოს სახე ლეგენდარული ოდრი ჰეპბერნი იყო. ლივ ტაილერის მეგობრები თვლიან, რომ ლივი ოდრის ღირსეული მემკვიდრე იქნება – "ისეთივე ბუნებრივი სილამაზე აქვს".

## დიდებულად ცრუობს კარლ ლაგერფელდი...

პარიზის გალერეაში Karsten Greve დიზაინერ კარლ ლაგერფელდის ფოტონამუშევრების გამოფენა გაიმართა. ფოტონამუშევრებზე, რომლებიც უფრო ფერწერულ ტილოებს მოგვაგონებს, მოდელი ოდრი მარნე მიშელ კლაინის ახალი კოლექციის დემონსტრირებას ახდენს.

ლაგერფელდისეულ ფოტოსურათებზე მარნე უამრავი, სრულიად განსხვავებული სახითაა გამოსახული: პინოქიო, მონპარნასელი კიკი, ნაჭრის თოჯინა, უჩინმაჩინი... ყველაზე დიდი მოწონება მოდელის იმ პორტრეტმა გამოიწვია, რომლის უკანაც ჩრდილი ჩანს – თავად კარლ ლაგერფელდის ჩრდილი.

მიშელ კლაინმა ლაგერფელდი მაშინ გაიცნო, როცა 15 წლისა იყო – დედამისი ჟაკ ლენუართან, მოდების სახლ Chloe-ს მფლობელთან მეგობრობდა, და იმხანად ამ სახლს ლაგერფელდი ედგა სათავეში. "ის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული, ნიჭიერი და მხიარული ადამიანია, ვინც კი ოდესმე შემხვედრია, - ჰყვება კლაინი ლაგერფელდზე,- ერთხელ, როცა გადაღებას ღამის ორ საათზე მოვრჩით, კარლმა მკითხა, - ხვალ რა გადავიღოთო."

გამოფენის გახსნას თავად ოდრი მარნე, მისი მეუღლე, სტილისტი ალექს დე ბეტაკი, ლინდა ევანგელისტა, კენზო და დიზაინერი ჟაბატისტა ვალი ესწრებოდნენ.

ლაგერფელდის ყველა ეს ფოტონამუშევარი შემდგომ ერთ წიგნად იქნება გამოცემული, როგორც კლაინის ახალი სურნელის, Illusion-ის დამატება. წიგნი ლაგერფელდის საგამომცემლო სახლში, 7L ში გამოქვეყნდება, და მისი სახელწოდება "სიცრუე" გახლავთ. სიცრუეც ხომ ხელოვნებაა...

### დღეს
#### ორშაბათს 31 მარტს




1492 წელი: ესპანეთში ებრაელებს სამეფო ედიქტი მისცეს - მათ ან ქრისტიანობა უნდა მიეღოთ, ან ქვეყანა დაეტოვებინათ.

1901 წელი: გოტლიბ დაიმლერმა თავის ახალ მანქანას ქალიშვილის სახელი - "მერსედესი" დაარქვა.

1959 წელი: დალაი ლამამ ტიბეტი დატოვა და პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო ინდოეთში.

1999 წელი: კომპანია "ფორდ მოტორსმა" დაასრულა შვედური "ვოლვოს" ავტომობილების შესყიდვა 6.45 მილიარდ დოლარად.

2002 წელი: პალესტინელმა ტერორისტმა ისრაელის ქალაქ ჰაიფის რესტორანში თავი აიფეთქა და 15 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს გახლდათ მეორე მსგავსი შემთხვევა ებრაული პასექის დღესასწაულის განმავლობაში.

© GRAPHIC NEWS



# ტკბილად აღტაცება

იტალიური დესერტის ქართული რეცეპტი ინგლისელი კულინარისგან



ტირამისუ



მადი სერებრიაკოვა

ვისაც ზედმეტი კალორიებისა და წონაში მომატების შიში მადას არ უკარგავს, მისთვის იტალიური ტკბილეული მისწრებაა. ტირამისუ, ალბათ, ყველაზე პოპულარული იტალიური დესერტია მთელ მსოფლიოში. კლასიკური ტირამისუს მომზადება თბილისში საკმაოდ რთულია - ინგრედიენტების შოვნის პრობლემას თავი რომ დავანებოთ, ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაცაა. ისე, მარჯვე კულინარი გამოსავალს მაინც გამონახავს. ტირამისუს ქართულ სამზარეულოსთან ადაპტირებული რეცეპტი ინგლისური წარმოშობის რიჩარდ ლექსმა გამიზიარა. იგი საქართველოში დიპლომატიური მისიით არის ჩამოსული, კულინარიით კი ერთობა - რიჩარდი ქართველ მეგობრებს და, უბრალოდ, ხელოვნების მოყვარულთ დროდადრო საკუთარი ნახელავით უმასპინძლდება "კლუბ 22"-ში მოწყობილი წვეულებებზე. გუშინ ეს ტრადიცია "ტირამისუ-ფართიზე" გაგრძელდა.

ტირამისუც (სიტყვასიტყვით ნიშნავს "აღმიტაცე," "მაღლა ამწიე") კერძია და სათავეს სიენადან, იტალიის ჩრდილო-დასავლეთიდან იღებს. იქაურმა კულინარებმა პირველი ტირამისუ დიდი დუკა კოზიმო დე მედიჩი III-ს საპატივცემულოდ მოამზადეს. ამიტომაც, მეორე სახელად მას "დუკას სუფი" ჰქვია. მეცხრამეტე საუკუნეში ტირამისუ ინგლისელებმაც შეიყვარეს (ამის გამო, მას "ინგლისურ სუფსაც" ეძახიან), შემდეგ კი ეს კერძი მთელ ევროპასა და ამერიკაში გავრცელდა. ტირამისუ ვენეციელი კურტიზანების საყვარელი დესერტიც ყოფილა.

რეალურად, ტირამისუ, მართლაც, აღტაცების მომგვრელი კერძია - ჰაეროვანი, ტკბილი და უზომოდ არომატული. კლასიკური ტირამისუ იტალიური ყველის რბილი და საკმაოდ ცხიმიანი სახეობით – მასკაპონეთი მზადდება. ყველის სქელ ფენას ესპრესოსა და ლიქიორით მომზადებულ სოუსში დასველებულ ბისკვიტს უსვამენ და კაკაოს ან დაფხვნილ შოკოლადს აყრიან. ტირამისუს ჭეშმარიტი სპეციალისტები ამ ყველაფერს ხილის, ჯემების, კარამელისა და შაქარლამების ათასგვარ სახეობასაც უმატებენ – როგორც იტყვიან, "გემოვნების მიხედვით". ამ შექამანდს გამოცხობაც არ სჭირდება - უბრალოდ, ოდნავ უნდა შეგრილდეს მაცივარში. მისი პორცია შეიძლება ჭიქებით მოგართვან, თუმცა მე ტირამისუს ტორტს ვამჯობინებდი (უფრო ბევრია!).

ბარემ, ტირამისუს მომზადების პრაქტიკულ რჩევებსაც მოგახსენებთ: როგორც აღვნიშნე, თბილისში მასკაპონე მხოლოდ იტალიურ სუპერმარკეტში იყიდება – თანაც, საკმაოდ ძვირიც ღირს. იგივე შეიძლება ითქვას სპეციალურ თხელ და წვრილ ბისკვიტზე, რომელსაც, მისი ფორმის გამო, "ქალბატონის თითებს" (ladyfingers) ეძახიან. პრაქტიკულმა ინგლისელმა კულინარმა ამ სიტუაციაში ძალზედ ეკონომიური გამოსავალი მოძებნა - მასკაპონე "მამა-პაპური" ნადუღითა და არაჟნით შეცვალა; თხლად დაჭრილი ჩვეულებრივი ბისკვიტიც მშვენივრად ცვლის "იტალიელი ქალბატონის თითებს"; ტრადიციულ კაკაოს ფხვნილს რიჩარდ ლექსმა დარიჩინის არომატიც დაუმატა. ასე რომ, გუშინდელი "ტირამისუ-ფართის" სტუმრებმა დიდად ისიამოვნეს. რა თქმა უნდა, ტირამისუს ქართული რეცეპტის ვერსიის ყველა დეტალის აღწერა ასე ნაუცბათევად შეუძლებელია. ინგლისელი გურმანი თავის გამოცდილებას თითქმის სამ საათს მიზიარებდა. თუმცა, ყველაფერი მონდომებაზეა - ნიჭიერი კულინარი თავადაც მიხვდება ყველაფერს; მით უმეტეს, რომ ტირამისუს რეცეპტი მსოფლიოში იმდენია, რამდენიც მისი მომზადების მსურველი.

**ტირამისუ იტალიურად**

*ინგრედიენტები:*
*1 ყუთი ბისკვიტი ladyfingers*
*16 უნცია მასკაპონე*
*1 ჭიქა შაქრის ფხვნილი*
*4 კვერცხის ცილა*
*შოკოლადის ფილა*
*1 – ჭიქა მაგარი, ტკბილი ყავა (მაგალითად "ესპრესო")*
*2 კოვზი შოკოლადის ლიქიორი*
*1 – ჭიქა კრემი*
*კაკაოს ფხვნილი*
*ჯემი ან ცოცხალი ხილი (მაგალითად, რაიმე კენკრა) გემოვნებით*

საშუალო ზომის მათლაფა (სასურველია შუშის) საყინულეში მოათავსეთ. მეორე მათლაფაში კვერცხის ცილა და შაქარი ათქვიფეთ მასკაპონესთან ერთად. ლიქიორი და ყავა (ცივი) ერთმანეთში აურიეთ. ბისკვიტი იმ გაციებულ მათლაფაში მოათავსეთ და ყავითა და ლიქიორით დაასველეთ. ჯემი წაუსვით ან ხილი დაალაგეთ. შემდეგ კი სქელ ფენად მასკაპონეთი მომზადებული კრემი წაუსვით. ეს ყველაფერი შეიძლება რამოდენიმე ფენადაც დააწყოთ, ზემოდან კი კაკაოს ფხვნილი მოაყარეთ; გააწყვეთ ჩვეულებრივი კრემითა და შოკოლადით. ტირამისუ, შეიძლება, ცალკეულ პორციებად ღრმა ჭიქებშიც მომზადდეს. ბოლოს ეს ყველაფერი 4 საათით მაცივარში მოათავსეთ.

**ტირამისუ ქართულად**

*ინგრედიენტები:*
*1 კგ. ნადუღი*
*500 გრ. არაჟანი*
*4 კვერცის ცილა*
*კაკაოს ფხვნილი*
*დარიჩინი*
*1 – ჭიქა კონცენტრირებული, ტკბილი ყავა (მაგალითად "ესპრესო")*
*2-3 კოვზი ლიქიორი*
*მარწყვის ჯემი*
*საშუალო ზომის ბისკვიტი*

ისევე, როგორც იტალიურ ვერსიაში, "ქართული" ტირამისუსთვის ბისკვიტი (თუ ladyfingers არ გაქვთ, ჩვეულებრივი თხლად დაჭრილი ბისკვიტი) ყავასა და ლიქიორში დაასველეთ. ჯემი წაუსვით. სქელ ფენად დაუმატეთ ერთმანეთში კარგად ათქვეფილი ნადუღის, არაჟნისა და კვერცხის გულის კრემი (მიაქციეთ ყურადღება, რომ კრემი საკმაოდ მკვრივი იყოს – ეს ნადუღის ცხიმიანობაზეცაა დამოკიდებული). ბოლოს კაკაოსა და დარიჩინის პუდრი მოაყარეთ.

P.S. იმპროვიზაციისთვის კი საკუთარი პირის გემოსა და ფანტაზიას მიენდეთ.

# კუკის მკვლელობის იარაღის ამბავი



ჯეიმს კუკი

დიდი მოგზაური, კაპიტანი ჯეიმს კუკი 1779 წლის 14 თებერვალს, მის მიერ აღმოჩენილ ერთ-ერთ კუნძულზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოკლეს. თავდაპირველად კუნძულელები მას ღვთის მსგავსად ეთაყვანებოდნენ, მაგრამ შემდეგ ურთიერთობა გაუფუჭდათ, და როცა კუკმა ერთ-ერთი ბელადი დაატყვევა, დიდი ჩხუბი ატყდა. კუნძულელმა მეომარმა შუბი ისროლა და კაპიტანი მოკლა.

ის, რომ კუკი შეჭამეს, მტკნარი სიცრუე გახლავთ: მეზღვაურებმა მისი სხეული წყნარი ოკეანის ტალღებს მიაბარეს.

ახლა კი გაზეთი Times იუწყება, რომ შუბი, რომლითაც ცნობილი ინგლისელი მოგზაური, ჯეიმს კუკი მოკლეს, შოტლანდიის ერთ-ერთ აუქციონზე 135 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

შუბი შუბად არ გაყიდულა. იარაღისგან ხელჯოხი იყო გაკეთებული, რომელიც კუკის მეგობრის, ადმირალ დევიდ მილნის ოჯახის წევრებს საუკუნეების განმავლობაში მემკვიდრეობით გადაეცემოდათ.

აუქციონში 17 ადამიანი იღებდა მონაწილეობას – კანადიდან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ჰავაის კუნძულებიდან ჩამოსული კუკის "ფანები". მათ შორის ავსტრალიის ნაციონალური მუზეუმის წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო ჰავაიდან ჩამოსული სტუმრის სახლი, უშუალოდ, იმ ნაპირზე მდგარა, სადაც მოგზაური დაიღუპა.

ხელჯოხი საბოლოოდ ლონდონის მცხოვრებმა იყიდა, რომელსაც ეს სიამოვნება, ათასგვარი საკომისიო გადასახადის ჩათვლით, 156 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. თავის, გულუხვობა მან იმით ახსნა, რომ, მისი მტკიცე რწმენით, ხელჯოხი ინგლისში უნდა დარჩენილიყო. რატომ? კაცმა არ იცის. ფაქტია, რომ დარჩა.

## კროსვორდი




20%-იანი ფასდაკლება კუპონით

პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე - "Discover Georgia"

43 ვიდეო რგოლი, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი ტექსტი

DIGITAL ENCYCLOPEDIA ON GEORGIA




NeoMedia

ადგილზე მიტანით

მხოლოდ 33 ლარად!

დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთწვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.